

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ინსტიტუტი ტექნოლოგიების

ჰუმანიტარული რეფერატული ჟურნალი

#4, 2024

თბილისი
2024

მთ. რედაქტორი: **ირმა რატიანი** (შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი)

მთ. რედაქტორის
მოადგილე **ფიქრია წოწკოლაური** (ინსტიტუტი ტექინფორმი)

სარედაქციო კოლეგია: **ირინა ბედინაშვილი** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **მაკა ელბაქიძე** (შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი), **მადონა კოპალეიშვილი** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **ნელი მახვილაძე** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **ჯაბა სამუშია** (შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი), **მარინე ქავთარაძე** (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია), **ლია ქაროსანიძე** (თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი), **მზია ლოღელიანი** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **მანანა შეყილაძე** (ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია), **თეიმურაზ ჩუბინიშვილი** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **ნათია ფუტყარაძე** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **მანანა რუსიშვილი** (Online Journal of Humanities ETAGTSU)

ინგლისური ტექსტის
რედაქტორი **ვალერი სარჯველაძე**

საკონტაქტო მისამართი: **თბილისი, ტექინფორმი, კოსტავას 47**
ტელ.: 233 53 15; 233 51 22
ელ. ფოსტა: tech@gtu.ge
https: //techinformi.ge

© ტექინფორმი
[https: //techinformi.ge](https://techinformi.ge)

გამომცემლის ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია გამოცემის რომელიმე ნაწილის რეპროდუცირება ან გადაცემა ნებისმიერი ელექტრონული, მექანიკური თუ ფოტოგადამღები საშუალებით, ან შეტანა ნებისმიერი სახის საძიებელ სისტემაში გამომცემლის ნებართვის გარეშე. განაცხადი ნებართვის მიღებაზე ეგზავნება ტექინფორმს, ამასთან წერილობითი ნებართვის აღება საჭიროა მოხდეს მანამ, სანამ გამოცემის რომელიმე ნაწილი შეიტანება ნებისმიერი სახის საძიებელ სისტემაში.

წინასიტყვაობა

რეფერატული ჟურნალი ასახავს საქართველოს სამეცნიერო პუბლიკაციებს ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში. მასში მოცემულია სამეცნიერო სტატიების, მონოგრაფიების, დისერტაციების, ჩატარებული კონფერენციების მოხსენებების რეფერატები ისტორიისა და არქეოლოგიის, ენისა და ლიტერატურის, ფილოსოფიის, რელიგიის, ხელოვნების დარგებში.

ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს პუბლიკაციების რეფერატული ჟურნალი გამოიცემა 2000 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექნიკური მიერ. მის ბაზაზე შექმნილია ქართულ-ინგლისურენოვანი მონაცემთა ბაზა „**საქართველოს სამეცნიერო პუბლიკაციები**“, რომელიც თავისუფალი წვდომის რეჟიმში განთავსებულია ინტერნეტში. აღნიშნული ბაზის შევსება ჰუმანიტარული მეცნიერებების პუბლიკაციებით დაგვიანებული, მაგრამ უდავოდ საშური საქმეა.

ჰუმანიტარული მეცნიერებების ქართული რეფერატული ჟურნალი ორენოვანია, გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე. რეფერატები სისტემატიზებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო კვლევების კლასიფიკატორის მიხედვით. ჟურნალს თანდართული აქვს ავტორთა და თემატური სამიუზღები.

ახალი რეფერატული ჟურნალი გააფართოებს საქართველოს მეცნიერთა პუბლიკაციების გავრცელების არეალს და ხელს შეუწყობს კვლევებში მონაწილე პარტნიორების მოძიებას.

სარედაქციო კოლეგია

თემატური რუბრიკები

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო დარგების კლასიფიკატორის (FOS) მიხედვით

6. Humanities

6.1 History & archaeology

History (*history of science and technology to be 6.3. history of specific sciences to be under the respective headings*)

Archaeology

6.2 Languages & literature

General language studies

Specific languages

General literature studies

Literary theory

Specific literatures

Linguistics

6.3 Philosophy, ethics & religion

Philosophy, history & philosophy of science & technology

Ethics (*except ethics related to specific subfields*)

Theology

Religious studies

6.4 Arts (arts, history of arts, performing arts, music)

Arts, art history

Architectural design

Performing arts studies (musicology, theater science, dramaturgy)

Folklore studies

Studies on film, radio & television

6.5 Other humanities

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.1 ისტორია და არქეოლოგია

ისტორია (*მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია უნდა იყოს რუბრიკაში 6.3.*

ცალკეული მეცნიერებების ისტორია უნდა გაერთიანდეს შესაბამის რუბრიკებში)

არქეოლოგია

6.2 ენა და ლიტერატურა

ზოგადი ენათმეცნიერება

ცალკეული ენები

ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა

ლიტერატურის თეორია

ცალკეული ლიტერატურული

მიმდინარეობები

ენათმეცნიერება

6.3 ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია

ფილოსოფია, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია და ფილოსოფია

ეთიკა (*გარდა ცალკეული დარგების ეთიკისა*)

თეოლოგია

რელიგიათმცოდნეობა

6.4 ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, სასცენო ხელოვნება, მუსიკა)

ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

არქიტექტურული დიზაინი

საშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა

(მუსიკათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, დრამატურგია)

ფოლკლორისტიკა

კვლევები კინოხელოვნების, რადიოსა და ტელევიზიის სფეროში

6.5 სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები

შინაარსი

რეფერატულ ჟურნალში ასახული პერიოდული გამოცემები	6
წინამდებარე ჟურნალში ასახული პერიოდული გამოცემები	7
თემატური რუბრიკები	
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები	8
6.1. ისტორია და არქეოლოგია	8
6.1.1. ისტორია	8
6.1.2. არქეოლოგია	14
6.2. ენა და ლიტერატურა	15
6.2.1. ენების ზოგადი კვლევები	15
6.2.2. ცალკეული ენები	16
6.2.3. ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა	21
6.2.4. ლიტერატურის თეორია	24
6.2.5. ცალკეული ლიტერატურული მიმდინარეობები	30
6.2.6. ენათმეცნიერება	36
6.3. ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია	54
6.3.1. ფილოსოფია, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია და ფილოსოფია	54
6.3.2. ეთიკა (გარდა ცალკეული დარგების ეთიკისა)	
6.3.3. თეოლოგია	55
6.3.4. რელიგიათმცოდნეობა	56
6.4. ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა)	57
6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	57
6.4.2. არქიტექტურული დიზაინი	59
6.4.3. საშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა (მუსიკათმცოდნეობა, თეატრთმცოდნეობა, დრამატურგია)	60
6.4.4. ფოლკლორისტიკა	62
6.4.5. კვლევები კინოხელოვნების, რადიოსა და ტელევიზიის სფეროში	63
6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები	65
ავტორთა სამიუზელო	70
თემატური სამიუზელო	

რეფერატულ ჟურნალში ასახული სამეცნიერო გამოცემები

1	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე	ISSN 0132-1447
2	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია	ISSN 0132-6058 E-ISSN 2720-8214
3	ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები	ISSN 2233-3363
4	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, სამეცნიერო ჟურნალი სჯანი	E-ISSN 2346-772X ISSN 1512-2514
5	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული	ISSN 1512-0996
6	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ჟურნალი განათლება	ISSN 2346-8300
7	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე	ISSN 2233-3711
8	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი	ISSN 2587-4810 E-ISSN 2720-8389
9	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული	ISSN 1512-0600
10	შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული კრებსი	ISSN 2720-8559 E-ISSN 2960-9755
11	ჟურნალი ენა და კულტურა	ISSN 1987-7323
12	ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა	ISSN 1512-0953
13	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი სპეკალი	ISSN 1987-8583
14	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, სამეცნიერო ჟურნალი ლიტერატურული ძიებანი	ISSN 0235-3776
15	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომათა კრებული „ტერმინოლოგიის საკითხები“	ISSN 1987-7633
16	საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული	ISSN 2667-9914 E-ISSN 2720-8095
17	საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალი სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი	
18	აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული	ISSN: 2667-9019 E-ISSN: 2720-8257
19	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ონლაინ ჟურნალი „ETAGTSU“	E-ISSN: 2346-8149
20	ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია (ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი)	ISSN 1512-2018
21	ჟურნალი ნოვაცია	ISSN: 1512-3715
22	ჟურნალი გონი	ISSN 1512-066X

წინამდებარე ჟურნალში ასახული პერიოდული გამოცემები

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის **მოამბე**. – 2023. – ტ. 17. – #3, #4; 2024. – ტ. 18. – #1, #2.
2. **მაცნე**. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. – 2023. – #1, #2.
3. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2021. – XXI; 2022. – XXII.
4. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, სამეცნიერო ჟურნალი **სჯანი**. – 2024. – #5.
5. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, სამეცნიერო ჟურნალი **ლიტერატურული ძიებანი**. – 2024. – #44.
6. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომათა კრებული „**ტერმინოლოგიის საკითხები**“. – 2022-2023. – #5.
7. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2023. – #4(530); 2024. – #1(531).
8. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის **მოამბე**. – 2023. – #2(22); 2024. – #1(23).
9. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული. – 2024. – #4(14).
10. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, **სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი**. – 2023. – #3(93).
11. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2023. – #1(36).
12. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული **კრებსი**. – 2023. – #15.
13. ჟურნალი **ენა და კულტურა**. – 2024. – #31.
14. ჟურნალი **ქართველური მემკვიდრეობა**. – 2023. – XXVII; 2024. – XXVIII.
15. ჟურნალი **სპეკალი**. – 2023. – #17, #18.
16. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ონლაინ ჟურნალი „**ETAGTSU**“. – 2024. – #9.
17. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია (ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი). – 2023. – #2(28)

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.1. ისტორია და არქეოლოგია

6.1.1. ისტორია

4.6.1.1.1. საქართველოს მეფეთა და დიდგვაროვან ისტორიულ მოღვაწეთა წოდებები და რიგითი ნომრები. /რ. მეტრეველი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2024. – ტ. 18. – #1. – გვ. 146-152. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომი XI საუკუნის საქართველოს დიდგვაროვან ისტორიულ მოღვაწეთა წოდებისა და მათზე მინიჭებული რიგითი ნომრების გარკვევის მცდელობაა. მათი მეტსახელები გამოხატავს კონკრეტულ პირთა დადებით და უარყოფით წვლილს, ხასიათს, ასევე მათ როლს ქვეყნის წინსვლასა თუ დაქვეითებაში. ეს ზედწოდებები საუკუნეებგამოვლილია და ჩვენთვის პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს, რაც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ესა თუ ის მოღვაწე და მათი ეპოქა. მსოფლიო ისტორიაში იყვნენ ზედწოდებებით ცნობილი მეფეები, რომელთა ხასიათი გამოიხატებოდა მათ მეტსახელებში. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ისტორიულ მოღვაწეთა რიგითი ნომრების ათვლა შესაძლოა დაწყებულიყო საქართველოს გაერთიანებიდან, XI საუკუნეში. უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის 141-ე მღვდელმთავარია. სახელი ილია (ერისკაცობაში ირაკლი შიოლაშვილი) მას მიენიჭა სამღვდლო პირად კურთხევის შემდეგ. ქართული ეკლესიის ისტორიაში არსებული ერთ-ერთი პირველი მამამთავრის, განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელი ელია ილიას იდენტურია, ამიტომაც ელია პირველ ნომრად იქნა ცნობილი და კურთხეული კათოლიკოსად. ილია შიოლაშვილი ეკლესიამ ილია II-დ აღიარა. ნაშრომში წარმოდგენილი საქართველოს მეფეთა და მღვდელმთავართა რიგითობის დამკვიდრება მნიშვნელოვანი საკითხია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ლიტ. 9.

ავტ.

4.6.1.1.2. ახალი დაკვირვებანი ცაიშის ტაძრის ისტორიისთვის ანტიკური კაპიტელებიდან ქრისტიანულ კანკელამდე. /გ. კალანდია/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2024. – ტ. 18. – #1. – გვ. 153-157. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გამოკვლეულია დასავლეთ საქართველოში ცაიშის ტაძრის საინტერესო ისტორია, ტექსტში აქცენტი გაკეთებულია ტაძრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თეთრი მარმარილოს ექვსი კაპიტელის აღმოჩენასა და ანალიზზე. კვლევა, რომელიც ჩატარდა 2014-დან 2017 წლამდე, ავლენს ამ კორინთული სტილის კაპიტელების უნიკალურ თავისებურებებს, მათ შორის, რთული აკანტუსის ფოთლების მოჩუქურთმებას და ყვავილების ორნამენტებს. კვლევა ეხება რესტავრაციის პროცესს, რამაც გამოიწვია მუზეუმში სვეტების გადატანის აუცილებლობა, რომ მათი მხატვრული ელემენტების დეტალურად შესწავლის შესაძლებლობა გვქონოდა. ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა ჰიპოთეზა ცაიშის კათედრალის დანიშნულებასა და წარმომავლობასთან დაკავშირებით. აღმოჩენები ხაზს უსვამს ცაიშის, როგორც რელიგიური ცენტრის მნიშვნელობას და მის ევოლუციას სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. დასასრულ, მარმარილოს კაპიტელები, რომლებიც ახლა ხელოვნების სასახლეშია განთავსებული, ხელოვნების ფასდაუდებელი ნიმუშებია, რომლებიც იმსახურებს მუდმივ ზრუნვასა და ყურადღებას. ლიტ. 5.

ავტ.

4.6.1.1.3. თანამედროვე თურქეთის ორი ძირითადი პოლიტიკური დოქტრინის ანალიზი. /ე. მაკარაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2024. – ტ. 18. – #1. – გვ. 158-164. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

თანამედროვე თურქეთის ორი ძირითადი პოლიტიკური დოქტრინის – „ქემალიზმის“ და „ერდოღანიზმის“ შესწავლა და ანალიზი განაპირობა იმან, რომ ქართული ისტორიოგრაფია ამ პრობლემას სათანადო ყურადღებას არ აქცევდა და აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომები არ არსებობს. წინამდებარე ნაშრომში უწყვეტ ჯაჭვში განვიხილავთ „ქემალიზმისა“ და „ერდოღანიზმის“ ანალიზს, რაც საკითხის როგორც ისტორიული ასპექტის, ისე მისი თანამედროვე რეალობის ვიზუალიზაციას შესაძლებელს გახდის. კვლევაში შევეცადეთ მკაფიო ხაზი გაგვევლო იმ პრობლემებზე, რომლებიც აქტიურად ჩნდებოდა მათ ურთიერთობაში. ნაშრომი ეხება თანამედროვე თურქეთის ორი ძირითადი პოლიტიკური დოქტრინის – „ქემალიზმის“ და „ერდოღანიზმის“ საკითხის შესწავლას კრიტიკული ანალიზის მეთოდის გამოყენებით. თანამედროვე თურქეთის ორი ძირითადი პოლიტიკური დოქტრინის – „ქემალიზმისა“ და „ერდოღანიზმის“ ანალიზმა და აღნიშნული საკითხების შესწავლამ მოგვცა საშუალება ნათლად გაგვეგო პრობლემის ძირითადი საკითხები და ისტორიული ასპექტები. ნაშრომში ცალ-ცალკეა გადმოცემული „ქემალიზმისა“ და „ერდოღანიზმის“ საკითხები და ახლებურად არის წარმოდგენილი თანამედროვე მიდგომები. ლიტ. 8.

ავტ.

4.6.1.1.4. ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ-სამართლებრივი მემკვიდრეობა ევროპულ კონტექსტში. /ე. ჯაფარიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2023. – ტ. 17. – #4. – გვ. 179-183. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

თანამედროვე საქართველოში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა და ჩვენი ქვეყნის მთავარი ამოსავალი პრინციპი გახდა ევროპულ სტრუქტურებთან ინტეგრაცია და დასავლური ორიენტაციის პრაქტიკული სახით განხორციელება. ბუნებრივია, დასახული მიზნის მიღწევა მარტივ საკითხს არ წარმოადგენს და მნიშვნელოვანია გეგმაზომიერი ნაბიჯების გადადგმა, როგორც პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გააზრება, ასევე ისტორიული გამოცდილების სრულყოფილი ცოდნა და საქართველოს სამომავლო განვითარების გზაზე მის საკეთილდღეოდ გამოყენება. ამ ფონზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ისეთ პიროვნებათა მოღვაწეობის შესწავლა და ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა, როგორიცაა მიხეილ მუსხელიშვილი და ალექსანდრე ნიკურაძე. ნაშრომში წარმოდგენილი მასალის შეფასება და ანალიზი, მხოლოდ ზემოხსენებულ პიროვნებათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის განხილვას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ ქართულ-ევროპული ურთიერთობის ისტორიული გამოცდილების სააშკარაოზე გამოტანას და, რაც მთავარია, სამომავლო კავშირის განმტკიცების პროცესში არსებული მონაპოვრის შენარჩუნებას და ახალი გზების დასახვას. მიხეილ მუსხელიშვილის ბიოგრაფიის და შემოქმედების შესწავლის შედეგად გამოკვლეულ და გამოვლენილ იქნა შემდეგი ახალი ფაქტები, რომელიც ევროინტეგრაციაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის წარმოჩენას ეხება, კერძოდ: ა) 1948 წელს მან გასტონ სტეფანისთან ერთად შექმნა ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი, რომლის მნიშვნელოვანი დებულებანი საფუძვლად დაედო თანამედროვე ევროპული კავშირის სამართალს, ბ) ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნისა და ევროგაერთიანების ინსტიტუციების დაარსების იდეა (რაც მერე განხორციელდა ევროპარლამენტის, ევროკომისიის, ევროკავშირის საბჭოს და სხვათა შექმნით), გ) ევროპული საგანმანათლებლო სივრცის მოდერნიზაცია და ევროპული საგანმანათლებლო სისტემებისა და პროგრამების ჰარმონიზაცია (რაც მერე განხორციელდა ე.წ. „ბოლონიის

პროცესის“ სახით და ა.შ), დ) ევროპაში საზღვრების მოშლის კონცეფცია, რაც მოგვიანებით განხორციელდა ე.წ. შენგენის ვიზის სახით, რამაც ევროკავშირში ფაქტობრივად საზღვრები მოშალა. ლიტ. 10.

ავტ.

4.6.1.1.5. საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები ცივი ომის ფინალურ ეტაპზე (1975-1990) და მის შემდგომ პერიოდში (1991-2005). /ზ. აბაშიძე, გ. ანაიშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2023. – ტ. 17. – #4. – გვ. 184-190. – ინგლ.; რუზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებიც წარმოადგენს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დიდი კონფრონტაციის ობიექტებს „ცივი ომის“ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში (1975-1990) და განიცადეს არაერთგვაროვანი ტრანსფორმაცია შემდგომ პერიოდში (1991-2005). სხვადასხვა მონაცემების თანახმად, თითქმის იმავე რაოდენობის შეიარაღებული კონფლიქტი არსებობდა აღნიშნულ პერიოდებში. 1975 წლიდან 1990-ის ჩათვლით მსოფლიოში მიმდინარეობდა 35-დან 40-მდე შიდასახელმწიფოებრივი და 15 საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი. 20 შიდასახელმწიფოებრივი და 8 სახელმწიფოთაშორისი შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო და დასრულდა 1990 წლამდე, დანარჩენი კი ცივი ომის შემდგომაც აგრძელებდა არსებობას, რომელთაგან 9 შიდასახელმწიფოებრივი და 4 საერთაშორისო კონფლიქტის დარეგულირება მოხდა მე-20 საუკუნის დასრულებამდე. იმავე მონაცემებზე დაყრდნობით, მანამდე წარმოქმნილი 40-მდე შეიარაღებული დაპირისპირების ნახევარზე მეტის დეესკალაცია მოხდა 1991-2005 წლების პერიოდში. აღნიშნულ დროით ინტერვალებში საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების ანალიზმა, ისევე, როგორც ცალკეული შემთხვევების შესწავლამ (ნიკარაგუა, ანგოლა, ისრაელი-პალესტინა, ერაყი-ირანი), გამოავლინა ტრანსფორმაციის გარკვეული ტენდენციები, რომლებიც ახასიათებდა მოცემულ პერიოდში მიმდინარე კონფლიქტებს. ლიტ. 17.

ავტ.

4.6.1.1.6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ორგანიზაციის შეიარაღება 1918 წელს. /არ. ჩაჩხიანი/. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. – 2023. – #1. – გვ. 82-99. – ქართ.; რუზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ორგანიზაციის შეიარაღების საკითხები 1918 წლის მდგომარეობით. საუბარია როგორც რეგულარულ ჯარზე, ასევე სახალხო გვარდიაზე. წარმოდგენილია როგორც მსუბუქი, ასევე მძიმე შეიარაღებით უზრუნველყოფის საკითხები. 1918 წლისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ორგანიზაციის შეიარაღების მდგომარეობა ჯეროვან სიმაღლეზე იდგა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების, სომხეთისა და აზერბაიჯანის, აგრეთვე, ოსმალეთის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა ინდივიდუალური სასროლი იარაღისა და საარტილერიო შეიარაღების ტიპებით დაახლოებით ერთნაირად იყო უზრუნველყოფილი. თუმცა, მსხვილკალიბრიანი საალყე არტილერიის რაოდენობის მხრივ ოსმალეთი გამორჩეული იყო. რაც შეეხება ცეცხლის წარმოებისა და ქვეითთა საბრძოლო მხარდაჭერის ისეთ მძლავრ ტექნიკურ საშუალებებს, როგორიცაა ჯავშნოსანი მატარებლები და ჯავშანმანქანები, და მით უმეტეს ავიაცია, აქ, ქართული მხარის უპირატესობა აშკარა იყო. საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც 1918 წლისათვის ჯავშნოსანი მატარებლების, ჯავშანმანქანებისა და ავიაციის პარკს ფლობდა. ლიტ. 26.

ავტ.

4.6.1.1.7. უდების თვითმყოფადობის ელემენტების კვლევა საქართველოში. /მ. დათუაშვილი, ი. ჩარკვიანი, ნ. თხელიძე, გ. სორდია/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2023. – #2(22). – გვ. 52-61. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

მიუხედავად საქართველოს ტერიტორიული სიმცირისა, მისი მოსახლეობა ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები მკვიდრდებოდნენ და წარმატებით ახერხებდნენ მშვიდობიან თანაცხოვრებას ადგილობრივ მოსახლეობასთან. საქართველოს ეთნიკური გარემოს ჩამოყალიბება ძირითადად რუსეთის იმპერიის სამხრეთსა და ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება. აღნიშნულ რეგიონში მიმდინარე ეთნო მიგრაციებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მონღოლებისა და თემურ ლენგის თავდასხმებმა, ირან-ოსმალეთისა და რუსეთ-თურქეთის ომებმა, ასევე სხვადასხვა მომთაბარე ტომების მოძრაობამ. განხილულია თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ერთ-ერთი ჯგუფის, უდების საქართველოში მიგრაციის მიზეზები და პროცესები, ცხოვრების წესი, ტრადიციული სამოსი და აღკაზმულობა. კვლევის აქტუალობა, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მიერ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მის ზოგად ქართულ კულტურულ სივრცეში ინტეგრირების საკითხებიდან გამომდინარეობს. საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად და რელიგიურად გასხვავებული ჯგუფების კულტურული მემკვიდრეობა აღიარებულია ზოგად ქართულ კულტურულ მონაპოვრად. შესაბამისად, კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ ხალხის პოპულარიზაციის პროცესებს ქვეყნის ზოგად კულტურულ სივრცეში. სურ. 3, ლიტ. 3.

ავტ.

4.6.1.1.8. სახელმწიფოთა ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანების საერთაშორისო პოლიტიკური ფაქტორები. /თ. კოსტავა/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2024. – #1(23). – გვ. 91-99. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.08>

მსოფლიოს ისტორიაში ძალიან იშვიათად თუ შევხვდებით დიდი, გამორჩეული და წარმატებული ალიანსების ჩამოყალიბების მაგალითებს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ალიანსების შექმნა დიდი პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ ყველაზე სანდო საშუალებად ჩამოყალიბდა. თუმცა, ასევე, ადგილი ჰქონდა, სრულიად წარმუმატებელ ალიანსებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, ისეთი როგორიცაა ვთქვათ, ერთა ლიგა. არსებულმა მაგალითებმა დახვეწა სისტემები და ყოველი ახალი გაერთიანება უფრო მტკიცედ ჩამოყალიბდა. გაერთიანების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დამოუკიდებელი ინდივიდები აერთიანებენ საკუთარ რესურსებს, რათა ერთად მიაღწიონ საერთო მიზნებს. ასევე, გაერთიანების მთავარ მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოებაზე ზრუნვა. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოები ერთი ქოლგის ქვეშ ერთიანდებიან სხვადასხვა მიზეზით, პოლიტიკური, ეკონომიკური, რეგიონალური საკითხების გამო თუ სხვა. მნიშვნელოვანი სარგებელი, რაც შეიძლება ერთი ქოლგის ქვეშ ცალკეული სახელმწიფოების გაერთიანების პროცესმა მოიტანოს, არის ძალთა ბალანსის შენარჩუნება. ლიტ. 4.

ავტ.

4.6.1.1.9. ისევ „კლიტენი იერუსალჴმისანი“-ს შესახებ. /მ. მარსაგიშვილი/. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. – 2023. – #1. – გვ. 18-40. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

2021 წლის „მაცნე“-ს პირველ ნომერში დაიბეჭდა სტატია ქრისტეს საფლავის ტაძრის იმ შესასვლელის შესახებ, რომელსაც XIV-XVI საუკუნეებში ქართული სამონასტრო თემი ფლობდა. „მეგლი ერისთავთა“-ს მიხედვით, ამ კარს „კლიტენი იერუსალჴმისანი“ ერქვა. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა აზრი, რომ ეს იყო სამხრეთის მხრიდან გაჭრილი ეკლესიაში შესასვლელი მთავარი კარი. მაგრამ, საბუთებისა და წყაროების ცნობებზე დაკვირვების შედეგად, ავტორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქართველთა მფლობელობაში იყო არა სამხრეთის, არამედ დასავლეთის მხარეს გაჭრილი, დღეისათვის მივიწყებული კარიბჭე. 2022 წელს ავტორს მიეცა შესაძლებლობა ეს კარი თავადვე ენახა, რამაც ახალი, დღემდე სრულიად უცნობი ინფორმაცია წარმოაჩინა. 1808 წლის ხანძრის შემდეგ ამოშენებულ კარს დღეს „ქალწული მარიამის თაღი“ ჰქვია. დროთა ვითარების მიუხედავად, შესასვლელის ჩარჩო მეტნაკლებად შემონახულია. კერძოდ, თაღის ზოლური მოჩარჩოება, „ბალიშისებრი“ დეკორი, ორი სვეტი (თავდაპირველად, კარს, სავარაუდოდ, ოთხი სვეტი ჰქონდა) და მესამე სვეტის კაპიტელის (სვეტისთავი) ზედა ნაწილი დღესაც ადგილზეა. გადარჩენილი ორი სვეტიდან ერთი სრულიად განძარცვულია. ნიშნები კი სწორედ მეორე, თავის პერანგიანად დღემდე შემორჩენილი, თავის დროზეც აშკარად მთავარ სვეტზეა შესრულებული. ეს არის 1. ღრმად ამოტვიფრული ქართული „სანი“ და „ფარი“, რომლებიც, ავტორის აზრით, სიტყვა „საფლავის“ დაქარაგმებული სახეა და 2. მეტად მკრთალად შემორჩენილი, ანთებული კელაპტარით ხელში გამოსახული ქერუბიმი. სურ. 8., ლიტ. 22.

ავტ.

4.6.1.1.10. მეფედ კურთხევის შესახებ XI საუკუნის საქართველოში. /მ. ბახტაძე/. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. – 2023. – #1. – გვ. 7-17. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

978 წელს ბაგრატ გურგენის ძე ბაგრატიონი, მომავალი მეფე ბაგრატ III, ქუთაისში „აფხაზთა მეფედ“ აკურთხეს. 1001 წელს ბაგრატ III-მ „ქართველთა მეფის“ ტიტულიც მიიღო. ჩვენი აზრით, აფხაზთა სამეფოშიც და ქართველთა სამეფოშიც იარსებებდა მეფედ კურთხევის ცერემონიალი. ამიტომ ბაგრატ III-ის ორჯერ კურთხევა, 978 წელს აფხაზთა მეფედ და 1001 წელს ქართველთა მეფედ სრულიად დასაშვები გვგონია. შესაძლოა კახეთისა და ჰერეთის საბოლოოდ შემოერთების შემდეგ, 1010 წელს, ბაგრატ III კიდევ ერთხელ ეკურთხა მეფედ, ოღონდ ამჯერად ტიტულით „აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაოძსა და რანთა, კახთა“. ბაგრატ III-ის შემდეგ გიორგი I-სა და ბაგრატ IV-ის რამდენჯერმე მეფედ კურთხევა სავარაუდოდ აღარ მოხდებოდა. სიტუაცია იცვლება გიორგი II-სთან დაკავშირებით. როდესაც 1054 წელს მეფე ბაგრატ IV ბიზანტიაში წავიდა, გიორგი II რუისში მეფედ აკურთხეს ლიპარიტ ბაღვაშის ინიციატივით. გიორგი II-ის რუისში კურთხევა არაორდინალური იყო და არც თუ სასიამოვნო ბაგრატიონთათვის. სავარაუდოდ გიორგი II-ს არ სიამოვნებდა მეფედ კურთხევის ამ ცერემონიალის გახსენება და ცდილობდა დაევიწყებინა. ცდილობდა დაევიწყებინა არა მხოლოდ თავად, არამედ „დაევიწყებინა“ საზოგადოებასაც, ფეოდალურ ელიტას პირველ რიგში. ამიტომ ვფიქრობ, რომ 1072 წელს ბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემდეგ გიორგი II ხელახლა უნდა ეკურთხებინათ მეფედ ქუთაისში, ბაგრატის ტაძარში. სავარაუდოდ გიორგი II-ის 1072 წელს ქუთაისში ხელმეორედ მეფედ კურთხევიდან ჩაეყარა საფუძველი ორჯერ მეფედ კურთხევის ტრადიციას. ლიტ. 7.

ავტ.

4.6.1.1.11. ეთნიკური იდენტობის ასპექტები დევსქელის ხეობის მოსახლეობის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაში. /რ. მალაყმაძე, ე. ფუტკარაძე, თ. ლომთათიძე, ნ. ჩელებაძე, მ. ჭიჭილიშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2024. – ტ. 18. – #2. – გვ. 180-186. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია დევსქელის ხეობის ეთნიკური ქართველების დამოკიდებულება მშობლიური ხალხის ეთნოკულტურულ ფასეულობებთან. დევსქელის ხეობა ისტორიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ისტორიული ვითარების გამო ხეობის სოფლები თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში მოექცა, რამაც, ბუნებრივია, შეცვალა მათი ეთნიკური გარემო. მიუხედავად ხანგრძლივი დროით უცხო პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ გარემოში ცხოვრებისა, აქაურმა მოსახლეობამ შეინარჩუნა ეთნიკური იდენტობის სხვადასხვა მნიშვნელოვანი მარკერი, რაზეც მეტყველებს ხეობის დღევანდელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფა, კულტურა, ქართული მეტყველება. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, დევსქელის ხეობის ჯერ კიდევ ცოცხალ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ტრადიციების, რიტუალების, დღესასწაულების, ფოლკლორის, ოჯახური და საზოგადოებრივი ურთიერთობების, ტრადიციული ღირებულებებისადმი დამოკიდებულებების შესწავლა, ხოლო, მეორე მხრივ, დევსქელის ხეობის ეთნიკური ქართველების ისტორიულ მემკვიდრეობაში შემონახული იმ არქაული ელემენტების კვლევა, რაც ქართველთა ეთნოგრაფიული ყოფიდან გამქრალია ან მკრთალი ნაშთის სახითაა შემონახული და, ამდენად, მნიშვნელოვანი მასალაა რიტუალების არქაული არქექტიპის აღსადგენად. შესწავლილია ის სპეციფიკური ნიშნებიც, რაც ტრადიციული ყოფის ისტორიული ტრანსფორმაციის შედეგად გაჩნდა დევსქელის ხეობის ცხოვრებაში. კვლევამ გვიჩვენა, რომ უცხო გარემოში მცხოვრები დევსქელის ხეობის მოსახლეობისთვის ეთნიკური კუთვნილების განმსაზღვრელად იქცა მშობლიური ერის ტრადიციული ღირებულებებისადმი ერთგულება, ქართული ენის, მატერიალური და სულიერი კულტურის ელემენტების შენარჩუნება, რაც მათ თავს მშობლიური ერის ნაწილად, მისი ტრადიციული ფასეულობების მატარებლად აგრძნობინებს. ლიტ. 12.

ავტ.

4.6.1.1.12. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკა აფხაზეთში. /ლ. ახალაძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 7-19. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/PUTK.2024.28.01>

განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკა აფხაზეთში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების, 1918-1921 წწ. პრესის, საარქივო დოკუმენტების, სახელმწიფო მოღვაწეთა მოგონებებისა და სხვა ისტორიული წყაროების ციკლური შესწავლის საფუძველზე გაანალიზებულია პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები განათლებისა და კულტურის დარგში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდანვე, 1918 წლის 26 მაისიდან, დაიწყო რეფორმები საქართველოს მასშტაბით, მათ შორის აფხაზეთში: საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისა და ახალი ტიპის საგანმანათლებლო ურთიერთობების ჩამოყალიბებას; პირველად, ინსტიტუციურად ყველა სასწავლო დაწესებულება დაექვემდებარა სახელმწიფოს, „გაეროვნულა“ და მოაწესრიგა სასწავლო პროცესი, მხარი დაუჭირა და დააფინანსა მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, დიდი ყურადღება დაუთმო

ეროვნული უმცირესობების, განსაკუთრებით აფხაზების საგანმანათლებლო უფლებებს, შექმნა რამდენიმე უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი - სოხუმში, გაგრაში, ოჩამჩირესა და სამურზაყანოში, ხოლო სოხუმის სამასწავლებლო სემინარია სასწავლო შინაარსით სამასწავლებლო ინსტიტუტად გადააკეთა. აფხაზეთში ამ დროს ჩამოყალიბდა მასწავლებელთა პირველი პროფესიული გაერთიანებები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პირველად აფხაზი ხალხის ისტორიაში, საფუძველი ეყრება აფხაზური ენის მეცნიერული შესწავლისა და კვლევის საქმეს. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, თბილისიდან გაგზავნილი პროფესიული კადრების მიერ აფხაზეთში ჩამოყალიბდა პირველი სამუსიკო და თეატრალური საზოგადოებები, რომლებმაც მომავალში საფუძველი ჩაუყარეს პროფესიული მუსიკალური და თეატრალური კოლექტივების ინსტიტუციურ განვითარებას. დემოკრატიული საქართველოს პირობებში, ცნობილმა აფხაზმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი გულიამ თბილისელი მეგობრების მხარდაჭერით შეძლო პირველი აფხაზურენოვანი გაზეთის შექმნა, რომელიც მოგვიანებით ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გააუქმა. ლიტ. 12.

ავტ.

6.1.2. არქეოლოგია

4.6.1.2.1. ევრაზიის სივრცეში ფერადი ლითონების მეტალურგიასთან დაკავშირებული ახლად-აღმოჩენილი კულტურის კერები (ექსპრეს ინფორმაცია). /ა. კახიძე, ე. კახიძე, გ. ჩხატარაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2023. – ტ. 17. – #3. – გვ. 153-159. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმს წილად ერგო გამხდარიყო ევრაზიის სივრცეში არქეოლოგიურ მეცნიერებაში სრულიად ახალი კულტურის აღმოჩენი, რომელიც უკავშირდება ფერადი ლითონების მეტალურგიას (ძვ.წ. V-II ათასწლეულები). აჭარის მაგალითზე მიკვლეულია 60-ზე მეტი უძველესი კერა. ინოვაციები აცოცხლებს მეგალითური კულტურის სრულიად ახალ სახეობას. დასტურდება, რომ საერთაშორისო ბაზარზე სასიცოცხლოდ აუცილებელ ლითონზე მოთხოვნილებების მკვეთრი ზრდის შესაბამისად სამხრეთ კავკასიის შემომქმედი მეტალურგები ნერგავენ ინოვაციურ გზებსა და ხერხებს წყლის ენერგიის გამოყენებით საბადოებიდან გამოტანილი ნედლეულის ფლოტაციის და დაფშვნა-დაქუცმაცების პროცესების დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების მკვეთრი, თითქმის ინდუსტრიულ დონეზე გაზრდის მიზნით. მათვე ეკუთვნით მეტალურგიის ისტორიაში პირველი მარტივი მექანიზმის შექმნის პრიორიტეტი. ფართოა ახალი კულტურის გავრცელების არეალი (ესპანეთი, ავსტრია, თურქეთი, საქართველო, ინდოეთი და სხვ.). დიდია პოლიმეტალებით მდიდარი სამხრეთ კავკასიის წვლილი აღმოსავლური ცივილიზაციების ფორმირების პროცესებში. სახეზეა ათასწლეულების მომცველი კონტაქტები. დიდია უახლესი კვლევების პერსპექტივები. ეჭვს აღარ იწვევს, რომ უახლესი აღმოჩენებით სათავე დაედო ტრანსკონტინენტური მეგა კულტურის მეტად აქტუალური პრობლემების კვლევას. დიაგ. 6, ლიტ. 9.

ავტ.

4.6.1.2.2. მოჭიქული კერამიკის დამზადების ტრადიციების ამსახველი არტეფაქტები ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან. /ნ. ქარციძე, ო. ლანჩავა, ი. უგრეხელიძე, დ. სულაბერიძე, ნ. სარავა/. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. – 2023. – #2. – გვ. 128-138. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში დაცული მეთუნეობის არტეფაქტები, რომლებიც მნიშვნელოვანია მოჭიქული კერამიკის დამზადების ტრადიციების გარკვევისათვის. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შუასაუკუნეების კერამიკული სახელოსნოების ნაშთების და ჭიქური არტეფაქტების შესწავლისა და ანალიზის გზით, ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოჭიქული კერამიკის წარმოების ისტორიის გააზრება. კვლევის ბაზას წარმოადგენდა პროფესორ ო. ლანჩავას ხელმძღვანელობით 1984-2010 წლებში ქუთაისის ნაქალაქარზე ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალები: კერამიკული სახელოსნოს ნაშთი, კერამიკის გამოსაწვავი ქურები, ქვის სამეთუნეო ჩარხი, კერამიკის წარმოების ამსახველი ნივთები, ჭიქურიანი კერამიკის ფრაგმენტები და სხვ. აღნიშნული მასალების ანალიზისა და სტრატиграფიული მონაცემების განსაზღვრის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქუთაისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე VIII-XI საუკუნეებში ფუნქციონირებდა კერამიკული სახელოსნო და მზადდებოდა, როგორც მოჭიქული კერამიკის ქურჭელი, ისე სამშენებლო კერამიკა. კვლევა მნიშვნელოვანია კერამიკის ქუთაისური კოლექციის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის თვალსაზრისით და ქუთაისქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ყოფა-ცხოვრების დადგენის მიზნით. ცხრ. 1, დიაგ. 2, ლიტ. 16.

ავტ.

4.6.1.2.3. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ ანაკლიაში. /ლ. ჯიქია/. შრომათა კრებული კრების. – 2023. – #15. – გვ. 99-112. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/zssu.2023.15.03>

ანაკლია მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ანაკლია უძველესი დროიდან ჩანს დასახლებული. ევროპელი მოგზაურებისა და მწერლების ცნობების მიხედვით, ანაკლია ძველ დროში არსებულ ჰერაკლეს წარმოადგენდა. უახლესმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა ანაკლიაში ადრეანტიკური ხანის ადგილობრივი, კოლხური ძლიერი ნამოსახლარის არსებობა, რომელიც, მართალია, განიცდის ელინიზმის გავლენას, მაგრამ არა იმ დონეზე, რომ ადგილობრივ კულტურაზე არსებითი გავლენა მოეხდინა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ ბერძნული ქალაქური დასახლების (ჰერაკლეა) მნიშვნელოვანი კვალი ჯერ გამოვლენილი არაა. პირიქით, აქ აღმოჩენილი დასახლება – თავდაცვითი თხრილით – გარშემორტყმულია ხელოვნური ბორცვით, საცხოვრებელი მოედნით, ტიპოლოგიურად იმეორებს წმინდა კოლხური დასახლების მოდელს. ნაწარმიც უპირატესად კოლხურია და იმპორტული კერამიკა – მცირერიცხოვანი. არსებობს მოსაზრება აქ დროებითი სავაჭრო ფაქტორი არსებობდა. სურ. 5., ლიტ. 11.

ავტ.

6.2. ენა და ლიტერატურა

6.2.1. ენების ზოგადი კვლევები

4.6.2.1.1. ყვავილის კონცეპტური გააზრებისათვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. /დ. ბაღდადე-ლიშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2023. – #1(36). – გვ. 93-96. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2023.01.36.13>

საკვლევი საკითხი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ნიმუშებს ემყარება. საანალიზო წყაროებზე წინასწარი დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ მხატვრულ დისკურსში ყვავილთა დიდი ნაწილი არა

მხოლოდ საგნობრივი დატვირთვის მქონე, არამედ მეტაფორული და კონცეპტუალურია. სწორედ ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია მათი, როგორც კონცეპტების, კვლევა ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტების სიღრმისეული ძიებით. ცვდილობთ, შევექმნათ ყვავილთა ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, განვსაზღვროთ ყვავილთა მეტაფორული მნიშვნელობებით გამოყენების სიხშირული მაჩვენებელი... ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ წინასწარი მოკვლევით ყვავილთა მეტაფორულ მნიშვნელობებში კონცეპტუალურად კარგად ჩანს ქართული ეროვნული მენტალობა; იკვეთება ქართველთა სულისკვეთება. მაგალითად, კონკრეტულად ზოგიერთი ყვავილი საქართველოს მეტაფორაა და გვასწავლის, რომ მას მოფრთხილება და მოვლა-პატრონობა სჭირდება; ყვავილი დედის სიმბოლო - მეტაფორაა; ყვავილი - მთის სიამაყის სიმბოლოა და ა. შ. კვლევის თვისებრივი, რაოდენობრივი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდებზე დაყრდნობით, გამოგვაქვს ძირითადი დასკვნები.

ავტ.

4.6.2.1.2. ძირითადი ფერების ლექსიკური გააზრება ტერენტი გრანელის შემოქმედებაში. /ფ. სანაია/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2023. – #1(36). – გვ. 97-103. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2023.01.36.14>

განხილულია თუ რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ფერის აღმნიშვნელ ლექსიკას ტერენტი გრანელის პოეზიაში. იმ თავისებურებათა შორის, რომლებიც განსაზღვრავენ პოეტთა ინდივიდუალობას, პოეზიაში ფერს, როგორც მეტაფორას, შედარებას, ეპითეტს, ალეგორიული გამოსახვის საშუალებას თუ სიმბოლოს განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ ფერი ლიტერატურულ კონტექსტში ტექსტის უფრო ღრმა გააზრების საშუალებას იძლევა, შეიძლება ითქვას, გვამცნობს მწერლის მხატვრულ ჩანაფიქრს. ეს არის ერთგვარი პოეტური განცდის გამოაშკარავებაც და ინტუიციური წვდომის პოეტური ხერხიც. ფერი საშუალებას იძლევა წარმოაჩინოს უჩვეულო და ამასთანავე, ბუნდოვანი პოეტური სახე. ლიტ. 10.

ავტ.

4.6.2.1.3. ტერენტი გრანელის პოეტური ლექსიკა (ლინგვისტური ანალიზი). /ფ. სანაია/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2023. – #1(36). – გვ. 104-110. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2023.01.36.15>

განხილულია ტერენტი გრანელის პოეტური ლექსიკა. ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, მწერალი რომელი ლექსიკური ერთეულებით ამდიდრებს ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ მარაგს. წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება დაკვირვების, აღწერისა და განმარტების მეთოდებს. საანალიზო მასალად გამოყენებულია ტერენტი გრანელის როგორც ლექსები, ასევე პუბლიცისტური წერილები, სალიტერატურო და პირადი წერილები. ლიტ. 11.

ავტ.

6.2.2. ცალკეული ენები

4.6.2.2.1. ომონიმური ორაზროვანი მნიშვნელობების ავტომატური გარჩევა ქართულ ენაში. /დ. მელიქიძე, ალ. გამყრელიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2024. – ტ. 18. – #2. – გვ. 169-173. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ომონიმური ორაზროვანი მნიშვნელობების ავტომატური გარჩევის პრობლემა უმნიშვნელოვანესი საკითხია ბუნებრივი ენის დამუშავებაში, რაც ქართულში განსაკუთრებულ გამოწვევასთანაა დაკავშირებული. წარმოდგენილ ნაშრომში შემოთავაზებულია ქართულ ენაში ომონიმური ორაზროვანი მნიშვნელობების ავტომატური გარჩევის ახალი მიდგომა, რომელიც წინასწარ გაწვრთნილ დიდი ენის მოდელების (LLM) კონტროლირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული, რომლის მონაცემები ქართული ენის კორპუსის წინასწარი გაფილტვრით იქნა მიღებული. ამას გარდა, ომონიმების გასარჩევად გამოყენებულია LSTM (Long Short-Term Memory) მოდელები. განხილული მეთოდებით მიღწეულია 95% სიზუსტე ხელით გადარჩეულ 7500 წინადადებაზე. ცხრ. 1, დიაგ. 1, ლიტ. 3.

ავტ.

4.6.2.2.2. სომხური, ბერძნული, ესტონური და გერმანული ენები აფხაზეთში (1864-1939 წწ.). /გ. გვანცელაძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 39-46. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

1864 წლიდან რუსეთის იმპერიამ აფხაზეთში მასობრივად შემოასახლა სხვადასხვა ეროვნების კოლონისტები, რამაც რადიკალურად შეცვალა მხარის ეთნიკური და ენობრივი ვითარება. ამ დიასპორათა ენებიდან პრივილეგირებულ მდგომარეობაში არცერთი არ ყოფილა, რუსულის გარდა, რომლის ცოდნა სავალდებულო იყო ყველა ეროვნების მოსახლეობისათვის. სხვა ენათაგან ხანდახან ნებადართული იყო სკოლებსა და სალოცავებში ქართულის, აფხაზურის, სომხურის, ბერძნულის, გერმანულის, ესტონურის გამოყენება, თუმცა ამ ენებზე სწავლება და ღვთისმსახურება საკმაოდ ხშირად იკრძალებოდა. XIX საუკუნის მიწურულამდე აფხაზეთში არარუსულ ენებზე არ იბეჭდებოდა სასკოლო სახელმძღვანელოები, მხატვრული, რელიგიური, სასწავლო ლიტერატურა, არ არსებობდა პრესა, ეროვნული თეატრები. ყოველგვარი ეროვნულის აკრძალვას განაპირობებდა რეჟიმის პანიკური შიში ცოდნისა და პროგრესისადმი. მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გახდა შესაძლებელი აფხაზეთში ეროვნული სკოლების დაარსება, თეატრალური დასების ამოქმედება და ა.შ., რაც საკმარისი არ იყო. თავისებური იყო კომუნისტური რეჟიმის პოლიტიკა უმცირესობათა ენებისადმი აფხაზეთში 1921-1939 წლებში. უმცირესობათა ენები დაიყო ორ ჯგუფად: ბერძნულ, სომხურ, ესტონურ, გერმანულ და თურქულ ენებს მიენიჭათ მეტი უფლებები: ხუთივე ენაზე დაარსდა ეროვნული სკოლები, ბერძნულად და სომხურად გამოიცემოდა გაზეთები, მწერალთა კავშირს ჰქონდა ბერძნული და სომხური სექციები, არსებობდა ბერძნული და სომხური თეატრები და ა.შ. ამ ფონზე სრულიად უუფლებო იყო უკრაინული, ბელარუსული, აზაზური, პოლონური, ყარაიმული, ყაზანის თათრული და სხვა ენები, რომლებიც მხოლოდ ოჯახში გამოიყენებოდნენ. ეს ენები განწირული იყო გასაქრობად რუსული ენის სასარგებლოდ. ამგვარი დიფერენციაცია გაგრძელდა 1938 წლამდე, როცა მთელ საბჭოთა კავშირში უეცრად დაიწყო მასობრივი შეტევა ავტონომიების არმქონე აბსოლუტურად ყველა ეთნიკური ჯგუფის ენებისადმი. ამ შეტევის დროს აფხაზეთში დაიხურა ბერძნული, გერმანული, ესტონური და თურქული სკოლები; აფხაზეთის მწერალთა კავშირში გაუქმდა ბერძნული და სომხური სექციები; დაითხოვეს სოხუმის ბერძნული და სომხური თეატრების მსახიობები, რეჟისორები და სხვა პერსონალი; კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს 1938 წლის 24 იანვრის დადგენილების საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა ყველა ბერძნული, ესტონური, გერმანული სკოლა და მათ მაგიერ შეიქმნა რუსული და ქართული სკოლები. ამ რეპრესიული აქციების დროს მოსახლეობას შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ყველა ეს აქტი დაიგეგმა და განხორციელდა თბილისის ინიციატივით, თუმცა ლინგვისტური რეპრესიები მიმდინარეობდა მთელ სსრკ-ში და მისი რეალური მიზანი რეპრესირებულ ენებზე მოლაპარაკე უმცირესობათა გარუსების პროცესის დაჩქარება იყო,

ხოლო საბოლოო სტრატეგიულ ამოცანას მთელ მსოფლიოში სოციალიზმის დამყარების შემდეგ ეთნოსთა და ენათა შერწყმა და ერთი, ან ორი ენის გაბატონება წარმოადგენდა. ლიტ. 6.

ავტ.

4.6.2.2.3. ეკონომიურობის პრინციპი ენაში (ინგლისური ენის მაგალითზე). /რ. გვილავა, ი. რუსაძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2024. – #31. – გვ. 19-22. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომი „ეკონომიურობის პრინციპი ენაში“ ეძღვნება მეტად აქტუალურ საკითხს ენათმეცნიერებაში. ისეთი ბგერათცვლილებები, როგორიცაა ასიმილაცია, ბგერის შესუსტება, ბგერის რედუქცია, ბგერათშერწყმა და ა.შ. ღრმად და საფუძვლიანად არის შესწავლილი ტრადიციულ ენათმეცნიერებაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის მთავარი მიზეზი, რაც ამ ბგერათცვლილებებს იწვევს, ყურადღების მიღმა არის დარჩენილი. ჩვენ მიერ ამ საკითხის კვლევა განხორციელდა გაბმული მეტყველების ჭრილში. სწრაფ გაბმულ მეტყველებაში მიმდინარე ფონეტიკურ პროცესებს საფუძვლად უდევს ენის მიდრეკილება „ეკონომიურობისაკენ“, რაც იმას ნიშნავს, რომ გაბმულ მეტყველებაში მიმდინარე ყველა ბგერათცვლილება, ეს იქნება სიტყვის შიგნით თუ სიტყვათგასაყარზე, მიზნად ისახავს ზეპირი მეტყველების გამარტივებას, წარმოთქმის გაიოლებას. ნაშრომში განხილულია ინგლისური ენის ზეპირმეტყველებაში მიმდინარე ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი. ინგლისურისათვის დამახასიათებელი ნეიტრალური ხმოვანი - schwa განაპირობებს სიტყვათა კუმშვას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ინგლისური ენის რიტმულობას. სიახლედ მიგვაჩნია $t+s = \text{ც}$ და $d+z = \text{ძ}$ ბგერათშერწყმისას ინგლისურ ენაში არარსებული ც და ძ ბგერების გამოყენება. ცხრ. 1, ლიტ. 6.

ავტ.

2.6.2.2.4. გვარ-სახელთა წარმოება გერმანულსა და ქართულში. /ნ. ზედგინიძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 69-79. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

ისტორიული წყაროების მიხედვით, დაახლოებით მე-12 საუკუნემდე გერმანულში ადამიანს მხოლოდ სახელი ჰქონდა. დასახლებული პუნქტები საკმაოდ პატარა იყო, ამიტომ სოფელში ხშირად მხოლოდ ერთი კონრადი ან კლაუსი შეიძლება ყოფილიყო. მალე პიროვნული სახელი აღარ კმაროდა. თავდაპირველად განვითარდა ტენდენცია, სახელისათვის დაემატებინათ ხელობის ან ფიზიკური აღნაგობისათვის დამახასიათებელი სიტყვები. მოგვიანებით ეს ეპითეტები იქცევა გვარად. თანამედროვე გერმანულში ანთროპონიმის აქვს ორნაწილიანი სისტემა, რაც ნიშნავს, რომ ადამიანი იყენებს სახელსა და გვარს. გვარი თავისი სემანტიკითა და ფუნქციით საკმაოდ ფართო ცნებაა. გერმანულ ენაში გვარის აღმნიშვნელი ბევრი ტერმინი არსებობს. მაგალითად, Nachnamen – გვარი, Familiennamen – გვარი, Sippennamen – გვარი / შტოგვარი (Sippe – გვარი, კლანი, ნათესაობა); Sammesnamen – გვარი/ჯიშის სახელი; Völkernamen – ეთნოსის/ხალხთა სახელები. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გვარის ცნება ქართულ ენაში უფრო გამჭვირვალეა, რადგან ქართულში არ არის კანონიზებული მრავალსახელიანობა, ცხადია, ქართულშიც გვაქვს მეტგვარი, მეტსახელი, შტოგვარი და სხვ. გერმანულში შტოგვარს აიგივებენ მეტგვართან, საგვარეულო სახელთან. ქართული ანთროპონიმული სისტემა მხოლოდ გვარისა და სახელისაგან შედგება. მამის სახელის პრობლემა ყოველთვის იდგა სხვადასხვა ქვეყნის კულტურის ისტორიაში. ასე იყო ქართულ სინამდვილეში, მაგრამ გარემო პირობები მოითხოვდა მამის სახელის დაფიქსირებას, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია გვარის ჩამოყალიბებაც. ამის კარგი მაგალითია ცნობილი მწერალი იოანე საბანისძე (VIII ს.), რომლის მამის სახელიც სრულად არის წარმოდგენილი, ის უფრო მამის სახელია, ვიდრე გვარი, რადგან ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ჯერ კიდევ არსებობს, უნდა ყოფილიყო „საბანიძე“. მამისგან გვარის მიღება საკმაოდ ხანგრძლივ დროს მოიცავდა. ეს პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა, მაგრამ რუსეთთან

ურთიერთობის გააქტიურების შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისში, მამის სახელის აღნიშვნა ხდება არა როგორც გვარის გარკვეული ეტაპის აღმნიშვნელად, არამედ მამის სახელისა. მაგ., ივანე პეტრეს ძე – ივან პეტროვიჩ. ეს იყო სხვა კულტურა, რომელთანაც მოუწია შეხება ქართულ ანთროპონიმის, რომელთანაც ურთიერთობა წლების განმავლობაში კანონიკურ ნორმად იქცა. XXI საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ქართულ ანთროპონიმიაში: საპასპორტო მონაცემებიდან ამოღებულ იქნა მამის სახელი. ამით ქართული ანთროპონიმიული კულტურა დაუბრუნდა ქართულ ტრადიციას. პოლიტიკა გარკვეულ როლს თამაშობდა და თამაშობს ანთროპონიმიაში. პირთა სახელები ენის ლექსიკური ფონდის იმ ნაწილს განეკუთვნება, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება, ახლდება და მეყსეულად რეაგირებს საზოგადოების სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე. დიაგ. 5, ლიტ. 12.

ავტ.

4.6.2.2.5. რეფლექსურობის კატეგორია და „თავ“ უკუქცევითი ნაცვალსახელი ქართულში. /რ. ზეჟალაშვილი/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 80-92. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

განხილულია ენათმეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, კერძოდ, უკუქცევითობის (ანუ რეფლექსურობის) კატეგორია და მისი გამომხატველი ლექსიკური საშუალებები ქართულში. მოკლედ მიმოხილულია ამ კატეგორიის შესწავლის ისტორია ქართულ და უცხოურ ლინგვისტიკაში, განსაკუთრებით გამოყოფილია საკითხის ახლებური ხედვა ბოლოდროინდელ გამოკვლევებში. კვლევის მიზანია „თავ“ უკუქცევითი ნაცვალსახელის მორფოლოგიურ-სინტაქსური დახასიათება ქართულში და მისი შემცველი კონსტრუქციების გამოყენების სპეციფიკის დადგენა. ხაზგასმულია რეფლექსურობის ვიწრო და ფართო გაგების განსხვავების აუცილებლობა. ვიწრო მნიშვნელობით, უკუქცევითობა დამახასიათებელია „თავ“ ნაცვალსახელისთვის, რომელიც ფორმალურად პირდაპირი დამატებაა. ფართო მნიშვნელობით კი, ის მოიცავს „ი-“ ხმოვანპრეფიქსით გამოხატულ სათავისო ქცევის ფორმებსაც. რეფლექსურად მიიჩნევენ ასევე ერთვალენტთან ზმნებსაც, რომლებშიც მოქმედება არ გადადის ობიექტზე და სუბიექტს არ სცილდება. უკუქცევითი ნაცვალსახელი მიღებულია „თავ“ არსებითი სახელის გრამატიკალიზაციის გზით (მსგავსი მოვლენა დასტურდება ზოგიერთ სხვა ენაშიც). „თავ“-ის გამოყენება უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქციით დასტურდება ჯერ კიდევ ძველი და საშუალო ქართულის ტექსტებში. ნ. ამირიძის შეხედულებით, გამოიყოფა ე.წ. მარტივი და რთული რეფლექსივები: 1. მარტივია რეფლექსივი, როცა ზმნასთან დაკავშირებულია მხოლოდ „თავ“ ნაცვალსახელი; 2. რთულია რეფლექსივი, როცა უკუქცევითი ნაცვალსახელს ახლავს კუთვნილებითი ნაცვალსახელი: ჩემი თავი, შენი თავი, თავისი თავი. მორფოსინტაქსურ დონეზე შესაძლებელია „თავ“-ნაცვალსახელიანი ფორმების დიფერენცირება: 1. პირველ ჯგუფში შედის ორ- და სამვალენტთან ზმნებთან გამოყენებული „თავ“ ნაცვალსახელი, რომელიც ძირითადად პირდაპირ ობიექტს ანაცვლებს სუბიექტისა და ობიექტის იდენტურობის დროს. ზოგჯერ შესაძლებელია ირიბი ობიექტისა და სუბიექტის ჩანაცვლებაც მეორე და მესამე დიათეზის ზმნებთან (მაგ., თავის თავს ემალება, შენს თავს ელაპარაკები, საკუთარი თავი უყვარს...). აღსანიშნავია, რომ უკუქცევით ნაცვალსახელთან ერთად ყოველთვის არაა სავალდებულო, რომ ზმნა იდგეს სათავისო ქცევის ფორმით. 2. მეორე ჯგუფში ვაერთიანებთ ზმნებს, რომლებთანაც სავალდებულოა „თავ“ ნაცვალსახელის (მარტივი რეფლექსივი) გამოყენება და ქმნიან მყარ გამოთქმებს (მაგ., თავი შეიქცია, თავი მოიწონა, თავი მოიტყუა). ლიტ. 21.

ავტ.

4.6.2.2.6. მიმღეობურ ფორმათა სტრუქტურული მახასიათებლები მარკოზის სახარების ათონურ რედაქციაში. /თ. დევძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2024. – #1(23). – გვ. 100-114. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.09>

მიმღეობა ზმნისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელია. მიმღეობურ ფორმათა ანალიზი, ტრადიციულად, საუღლებელ ერთეულთა კლასიფიკაციას ეფუძნება. წარმოების თვალსაზრისით, მიმღეობური ფორმები მრავალფეროვანია და ეს მრავალფეროვნება ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურის, არაერთი დიალექტური წრის მონაცემთა ასახვითაა შეპირობებული. სინქრონიულ დონეზე არაერთი წარმოშობით მიმღეობური ფორმა არსებით სახელადაა გააზრებული. მორფოლოგიური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ამგვარი ფორმები მაინც მიმღეობებია, რადგან მათში ადვილად ამოიცნობა მიმღეობის ყალიბი. გასუბსტანტივების პროცესის შედეგებზე საუბარი მხოლოდ სინტაქტურ დონეზეა შესაძლებელი, რადგან ენა, როგორც სისტემა, მხოლოდ სინტაქსის დონეზე არსებობს. სტატიაში განხილულია მარკოზის სახარების ათონურ რედაქციებში დადასტურებული მიმღეობური ფორმები სტრუქტურის თვალსაზრისით. ანალიზის სისრულისათვის ემპირიული მასალა შევუდარეთ სხვა რედაქციათა ჩვენებებს. რაც მთავარია, გავითვალისწინეთ ტექსტის ძველბერძნული იკითხვისები. ლიტ. 12.

ავტ.

4.6.2.2.7. მეორადი ნომინაციის მეტაფორული ტიპი სომატურ იდიომებთან მიმართებით. /ი. რუსაძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2024. – #1(23). – გვ. 115-126. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.10>

განხილულია მეორადი ნომინაციის ერთ-ერთი სახე როგორცაა მეტაფორული ნომინაცია, თუ როგორ ვლინდება ის სომატურ იდიომებში, რომლებსაც თავისებურ ესთეტიურ ელფერს მატებს. ზოგადად, ნომინაციას, რომელიც ენათმეცნიერებაში იყო და რჩება ერთ-ერთ მარად აქტუალურ პრობლემად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენის სხვადასხვა დონეზე მოქმედი კანონზომიერებების გამოსავლენად. მას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს იდიომის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებთან. განხილულია მეტაფორულ გამონათქვამებსა და სომატურ იდიომებს შორის არსებული რთული ურთიერთობა, კონკრეტულად გამახვილებულია ყურადღება მეორადი ნომინაციის მეტაფორულ ტიპზე, ინტერდისციპლინური მიდგომის მეშვეობით, რომელიც მოიცავს ენობრივ, შემეცნებით და კულტურულ პერსპექტივებს. საერთოდ, ნომინაციას ენათმეცნიერები ორი კუთხით, ორი თვალსაზრისით, განიხილავენ. განასხვავებენ ნომინაციის ორ სახეს - პირველადსა და მეორადს. მეორადი ნომინაცია სომატური იდიომების გამოვლენის ერთ-ერთ მოდელად შეიძლება ჩაითვალოს. იგი განიხილავს პირველადის შედეგად მიღებული სიტყვისაგან თუ როგორ ხდება ახალი ელემენტების მიღება. ლიტ. 5.

ავტ.

4.6.2.2.8. პოლიტიკური სლოგანების მულტიდიმენსიონალური ანალიზის საკითხისათვის. /რ. სვანიძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2024. – #1(23). – გვ. 127-145. – გერმ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.11>

პოლიტიკური სლოგანები პოლიტიკური ცხოვრების, განსაკუთრებით საარჩევნო ბრძოლის, შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სტატიაში გაანალიზებულია რვა პარტიის 216

საარჩევნო სლოგანი ბუნდესთაგის საარჩევნო კამპანიის პერიოდებიდან რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. სლოგანის კვლევის თეორიული ასპექტების განხილვის შემდეგ საარჩევნო გამონათქვამები შესწავლილია სტრუქტურული, კორპუსლინგვისტური, ლექსიკური, რიტორიკული და სინტაქსური პერსპექტივიდან. სლოგანების საშუალებით ცდილობენ პარტიები, ამომრჩეველთა ემოციებზე მოახდინონ რაც შეიძლება დიდი ზეგავლენა და ისინი თავიანთი იდეებით აღაფრთოვანონ. პოლიტიკური აქტიორები იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებს, რათა საკუთარი პოზიციები პოზიტიურად და კონკურენტები ნეგატიურად წარმოაჩინონ. წარმატებულ ფრაზებს წვლილი შეაქვთ ამომრჩეველთა მობილიზაციასა და არჩევნებში ხმათა დიდი რაოდენობის მოპოვებაში. საარჩევნო სლოგანები უმეტესწილად ლაკონურობით გამოირჩევა. ცხრ. 3, ლიტ. 15.

ავტ.

4.6.2.2.9. მცენარეული ლექსიკისა და მათი წარმომავლობის შესახებ ლაზურში. /ც. ნარაკიძე/. ჟურნალი ქართველური მეცნიერება. – 2023. – XXVII. – გვ. 166-172. – ქართ.; რუზ.: ინგლ.

ნაშრომში განხილულია არა მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურისთვის უცნობი მცენარეების სახელები, არამედ ზოგიერთი მცენარის წარმოშობა. ლაზები, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებნი, სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ ბალახოვან მცენარეებს. არსებობს განსხვავება ველურ და კულტივირებულ მცენარეებს შორის; მეცნიერულად დადგენილია, რომ ყოველი კულტივირებული მცენარის წინაპარი მისი ველური სახეობაა. მცენარის გაშენება და თანდათანობითი გაუმჯობესება მიმდინარე პროცესი და კონტროლური პროცესი იყო, რომელშიც კულტივირებული მცენარეები ველურ მდგომარეობას უბრუნდებოდნენ. მცენარეების გაშენება ან ველურობა განსაკუთრებული მნიშვნელობის პროცესია აგრობოტანიკისა და ბუნებისმეტყველების ისტორიისთვის, აგრეთვე, ენისა და მცენარეთა სახელების ისტორიისთვის. მცენარეთა გაშენება არა მხოლოდ მრავალფეროვნებას იძლეოდა, არამედ აისახებოდა ენაში და ქმნიდა სინონიმებს სხვაობათა მიხედვით. ლაზური დიალექტის მცენარეთა ლექსიკა სინონიმების სიმრავლით ხასიათდება, მსგავსად საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სხვა დიალექტებისა. ლიტ. 11.

ავტ.

6.2.3. ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა

4.6.2.3.1. ომის ტრავმის ანარეკლი პოსტმოდერნისტულ რადიოპიესაში (ზურაბ კანდელაკის „დაუმთავრებელი პიესისა“ და „კალიდოსკოპი“-ს მაგალითზე). /ნ. მინდიაშვილი, ნ. კუცია, ნ. სადალაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2023. – ტ. 17. – #4. – გვ. 130-137. – ინგლ.; რუზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში წარმოდგენილია რადიო პიესა, როგორც დრამატურგიის შედარებით ახალი სივრცე, რომელიც ლიტერატურის შინაგან კანონთა დინამიკამ გამოკვეთა ერთიან ლიტერატურულ პროცესში. ჩვენი კვლევის მიზანია, ერთი მხრივ, რადიოპიესის, როგორც დრამატურგიის ორიგინალური ჟანრის, თეორიული ასპექტების წარმოჩენა, ხოლო, მეორე მხრივ, ზურაბ კანდელაკის პოსტმოდერნისტული რადიოპიესების მაგალითზე, კოლექტიური ტრავმის კონცეპტების ჩვენება. საკვლევ საკითხზე მუშაობისას გათვალისწინებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა, გამოყენებულია ტექსტზე დაკვირვებისა თუ შედარებითი ანალიზის, ინდუქციურ-დედუქციური კვლევის მეთოდები, რამაც საშუალება მოგვცა მთლიანობაში გაგვეაზრებინა საკითხი და რელევანტური დასკვნები წარმოგვეჩინა. ლიტ. 12.

4.6.2.3.2. ადრინდელი შუასაუკუნეების ქართული ნოველა სიბრძნე ბალავარისი და მისი მნიშვნელობა აღმოსავლური ფილოლოგიისათვის. /ე. ხინთიბიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2024. – ტ. 18. – #1. – გვ. 170-182. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ბუდას ცხოვრების ამბავზე ამოზრდილი ბალავარისა და იოდასაფის ისტორიის პრობლემატიკა ერთი უმთავრესთაგანია შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობისათვის. ამ ინდური წარმოშობის თხზულების რედაქციები ფართოდაა ცნობილი ახლო აღმოსავლეთის და ევროპის ბევრ სამწერლობო ენაზე. კერძოდ, ევროპის ხალხთა ენებზე თარგმნილი თუ გადამუშავებული ბერძნული თხზულების ვერსიები სულისმარგებელი ისტორია ვარლამისა და იოასაფისა, რომელიც შექმნილია ქართული ბალავარიანის საფუძველზე ეფთვიმე ათონელის მიერ, რენესანსის უშუალოდ წინარე ეპოქის ერთ ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებად ითვლებოდა. ქართულ ხელნაწერებში ბალავარიანის ორი ვერსიაა შემონახული: მოკლე – სიბრძნე ბალაჰვარისი და ვრცელი – ნეტარი იოდასაფის ცხოვრება. მათი ერთმანეთთან მიმართების თაობაზე გაზიარებულია ის თვალსაზრისი, რომ მოკლე რედაქცია ვრცელის შემოკლებაა. ქართული ბალავარიანი არაბულ-ისმაილური რედაქციის (ბალაჰვარ და ბუდასაფის წიგნის) გადამუშავებადაა მიჩნეული. არაბული რედაქციის თავდაპირველი სახის მიება კი აღმოსავლურ ფილოლოგიაში მრავალ პრობლემას აწყდება. აღნიშნულია, რომ თუ მოკლე ქართული რედაქცია ვრცელზე ადრინდელია (როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს), მაშინ არაა გამორიცხული, რომ იგი არაბული რედაქციების პროტოტიპის მონაცემებს დედანთან ერთგულებით ინახავდეს. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია იმ კვლევის შედეგები, რომლებიც, ვფიქრობ, რომ ბალავარიანის ქართული მოკლე ვერსია ვრცელთან შედარებით, როგორც ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევდა, უფრო ძველი უნდა იყოს. ვრცელი ვერსია მას განავრცობს უპირატესად ქრისტიანული ელემენტის გაძლიერებით და გაფართოებით. სიბრძნე ბალაჰვარისის ზომიერი ქრისტოლოგიური მსჯელობანი ამ პროცესის თავდაპირველ ეტაპზე მიაწვდის. სიბრძნე ბალაჰვარისის ღვთისმეტყველური პასაჟები ზოგადრელიგიური ხასიათისაა. უმთავრესად შეეხება ღმერთის მიერ სამყაროს შექმნას, სამოთხესა და ანგელოზებზე საუბარს, სულის ზეცად აღვლენას. სიბრძნე ბალავარისის უმთავრესი აქცენტი ამბის გადმოცემაა, სიუჟეტის გაშლაა იმ ზოგადრელიგიური სიბრძნითურთ, რაც ალეგორიული სახით ჩართულ იგავებში ამოიკითხება. ამ რედაქციათა თვით სათაურებიც სხვადასხვა ტიპის აგიოგრაფიულ სტილზე, ან უფრო მეტიც, ქრისტოლოგიურ ჟანრზე მიაწვდის. ვრცელის სათაური აგიოგრაფიული ჟანრის თხზულების ტიპური სათაურია; მაშინ როცა მოკლე რედაქციის სათაური პატერიკული ჟანრის თხზულებას ემსგავსება. ძალზე მნიშვნელოვანია აბენეს მეფის ერთმანეთისაგან განსხვავებული სახე მოკლე და ვრცელ რედაქციებში. მოკლე რედაქციის უფრო 182 Elguja Khintibidze Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol. 18, no. 1, 2024 ზომიერი თუ ღმობიერი მეფე-მამა, ვფიქრობ, ვრცელ რედაქციასთან შედარებით უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს ბუდას ცხოვრების მეფე-მამასთან. ჩვენი აზრით, სიბრძნე ბალავარისის ქართულ თხზულებაში დაცულია ამ აღმოსავლური სიუჟეტის ადრინდელი ქრისტიანული გადამუშავება. ეს კი ძალზე საინტერესოს და მნიშვნელოვანს ხდის მას თვით არაბული ბალაჰვარ და ბუდასაფის წიგნის რედაქციების შესწავლის თვალსაზრისითაც, რაც თავისთავად აღმოსავლური ფილოლოგიის ერთი კარდინალური პრობლემაა. ლიტ. 21.

4.6.2.3.3. შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურა და აღმოსავლური კონტექსტი შესავალი. /თ. შურღაია/. ჟურნალი სპეკალი. – 2023. – #18. – ქართ., ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ქართულ ლიტერატურას ქვაკუთხედად ქრისტიანული მსოფლმხედველობა დაედო, ქრისტიანობა იქცა მის მთავარ საყრდენად. მაშინაც კი, როცა აღმოსავლური კულტურული ექსპანსიის მსხვერპლი ხდებოდა, აღმოსავლურობის დამღევის ტენდენცია [რ. სირამე] ქართული ლიტერატურის განმსაზღვრელი ნიშანი იყო. ამდენად, რა საზომითა თუ მეთოდოლოგიითაც არ უნდა მივუდგეთ შუა საუკუნეების ქართულ მწერლობას, მისი ორი მარკერი - ქრისტიანული საფუძველი და აღმოსავლურობის დამღევის ტენდენცია - უცვლელი რჩება. გარკვეული თვალსაზრისით, ქართული მწერლობის მსოფლმხედველობრივი კუთვნილების საკითხი დღეს აქტუალურ პოლიტიკურ დილემასაც შეგვიძლია დავუკავშიროთ - საქართველო დასავლეთია თუ აღმოსავლეთი - და ჩვენი ევროპული ორიენტაციის ერთ-ერთ არგუმენტად განვიხილოთ. „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითიც იკმარებს იმის საჩვენებლად, თუ როგორ ორგანულად და ჰარმონიულად შეიძლება შენივთდეს დასავლური მსოფლმხედველობა აღმოსავლური ესთეტიკის ელემენტებთან და შედეგად იშვას ორიგინალური „სხვა“. ლიტ. 26.

ავტ.

4.6.2.3.4. საუკუნე ერთი მოთხრობის პრიზმაში (კოტე ჯანდიერის „გლობალიზაცია“). /ა. ნემსაძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 181-188. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

მეოცე საუკუნის ქართული რეალობა ლიტერატურისთვის არაერთხელ გამხდარა ასახვის თემა სხვადასხვა ჟანრისა და სტილის მხატვრულ ტექსტში, იქნებოდა ეს სრულად (მოცულობით ეპიკურ ჟანრებში – რომანი, ვრცელი მოთხრობა) თუ ნაწილობრივ (გარკვეული ეტაპი, ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, გამორჩეული პირი და მისი ისტორია და ა.შ.). ასეთ შემთხვევებში სიუჟეტიც ხან ამბის გარშემო ეწყობა, ხან – ცალკეული პერსონაჟის. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო მოთხრობაა კოტე ჯანდიერის „გლობალიზაცია“, რომელიც თითქმის მთელი ეპოქის მხატვრული სურათია (თხრობა იწყება მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან და ოცდამეერთე საუკუნემდე მოდის). მწერალი აღადგენს და გვიჩვენებს მასშტაბურ სურათს, ყველა მნიშვნელოვან მოვლენას და ფაქტს, რომელთაც შექმნეს უაღრესად ჭრელი მეოცე საუკუნე და გავლენა მოახდინეს საუკუნის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. თხრობა მიმდინარეობს ერთი პერსონაჟის – კამეჩაანთკარელი გლეხის – პირით და ყველა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოვლენა სწორედ მისი ოჯახის პრიზმიდანაა დანახული. 50-გვერდიან მოთხრობაში მიზანს მწერალი თხრობის სპეციფიკური ხერხის გამოყენებით აღწევს. ამბის თხრობა ხდება წარსულის გახსენებით; პერსონაჟი იგონებს, ყვება და შიგადაშიგ აფასებს მოთხრობილ ამბებს, ანუ ტექსტში ერთმანეთს ერწყმის ნარაცია და რეფლექსია, ოღონდ ეს სინთეზი ისე ფაქიზი და ერთგვაროვანია, რომ არც სტილურ სიჭრელეს და არც მოზაიკურობას არ ქმნის. სტატიაში კ. ჯანდიერის ამ მოთხრობის ხსენებული ასპექტებია გაანალიზებული სემიოტიკური და ჰერმენევტიკული მეთოდების გამოყენებით. ლიტ. 6.

ავტ.

4.6.2.3.5. ადამიანური ბუნების მოდიფიკაცია ევროპულ და ქართულ დისტოპიურ ლიტერატურაში. /ე. ჭუმბურიძე-შეწირული/. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ონლაინჟურნალი „ETAGTSU“. – 2024. – #9. – 15 გვ. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

დისტოპია, ეტიმოლოგიურად განსაზღვრული, როგორც უტოპიის საპირისპირო, თუნდაც ანტითეზა, დღესაც ადასტურებს მის მნიშვნელოვან ყოვლისმომცველ არსებობას დასავლურ წარმოსახვაში, რითაც იძენს კულტურულ ფორმას, რომელიც ძალას იღებს თანამედროვე საზოგადოების გამოწვევებიდან. ლიტერატურა, თავის მხრივ, ასახავს დისტოპიური აზროვნების იდეებს და ითვისებს საგანს, რათა ბიძგი მისცეს იმედგაცრუებული სამყაროს წარმოდგენებს,

რომლებიც აფრთხილებენ კაცობრიობის აშენებულ რეალობისგან წარმოქმნილ მავნე რეპერკუ-
სიებს და ექსცესებს. ამრიგად, დისტოპია - როგორც ფილოსოფიური, პოლიტიკური ან სოცია-
ლური რეფლექსიის გზაჯვარედინზე ჩამოყალიბებული აზროვნების ფორმა - წარმოსახვითი
ლიტერატურის ჟანრად გვევლინება, რომელიც კითხვის ნიშნებს სვავს და საზოგადოებას
აფრთხილებს წარუმატებლობისთვის განწირული უტოპიური პროექტის კომმარული ანალოგის
არსებობაზე. ლიტერატურაში დისტოპია XX საუკუნეში გამოჩნდა, იგი თამაშობდა უტოპია/
დისტოპიის დიქოტომიაზე და ჩამოყალიბდა დისტოპიის ცნების ამბივალენტურობიდან, რათა
არ ჩაეკეტა შეზღუდულ ბინარულ სტრუქტურაში. ამრიგად, დისტოპია ასახავს აწმყოს საზრუ-
ნავს, რომელიც აღინიშნება თანამედროვეობის ძირითადი მოვლენებით - როგორიცაა სამხედრო
კონფლიქტები, ბირთვული საფრთხე, ადამიანის ურთიერთობა გარემოსთან და, საკუთარ თავ-
თან. ამრიგად, დისტოპიის ლიტერატურული ფორმა ყალიბდება ახალ გამოწვევებთან კორელა-
ციაში, რომლებზეც ადამიანი საკუთარ თავსაც ახლებურად ავლენს. სტატია მიზნად ისახავს
შეისწავლოს დისტოპიური აზროვნების გამოვლინებები ევროპულ ლიტერატურაში მე-20-21
საუკუნის მიჯნაზე და განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილოს ადამიანის, მისი ბუნებისა და
აზროვნების ტრასფორმაციაზე დისტოპიურ გარემოში, რაც ასახულია ევროპელი და ქართველი
ავტორების მიერ აგებულ და წარმოსახულ სისტემაში. ლიტ. 9.

ავტ.

6.2.4. ლიტერატურის თეორია

4.6.2.4.1. თანამედროვე ტრაგედია და მისი ქართული იმპლიკაციები. /ი. რატიანი/. ჟურნალი
სჯანი. – 2024. – # 25. – გვ. 7-22. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გვიანი რეალიზმისა და ადრეული მოდერნიზმის ესთეტიკამ დიდი ცვლილებები მოიტანა
მსოფლიო ლიტერატურაში, მათ შორის, შეცვალა ტრაგედიის ჟანრის კანონი და დინამიკა. ამ
პერიოდის ტრაგედიებში გამოვლენილ ფუნდამენტურ ცვლილებებს შორის განსაკუთრებული
აღნიშვნის ღირსია: *ტრაგედიის ეპიცენტრის გადატანა „გმირიდან“ „მსხვერპლზე“; *ტრაგედიის
ამბების ჩართვა ყოველდღიურ ცხოვრებაში; *ტაბუირებული თემების გააქტიურება;
*ტრაგიკული პათოსის ტრანსფორმაცია. ამ ცვლილებების პიონერია ჰენრიკ იბსენი (1828-1906),
რომელიც სამართლიანად ითვლება თანამედროვე ტრაგედიის ფუძემდებლად. იბსენმა
ტრაგიკული ისტორიები სასახლეებისა და მდიდრული ინტერიერის კედლებიდან
ყოველდღიურ ცხოვრებაში გადაიტანა. იბსენის გმირები იკვლევენ ურთიერთსაწინააღმდეგო
სამყაროს, სავსეს სიცრუით, თვალთმაქცობითა და სიყალბით, მხოლოდ იმისთვის, რომ
აღმოაჩინონ, რომ წინააღმდეგობის მიუხედავად, ისინი, როგორც ადამიანები, არიან ამ სამყაროს
ნაწილი და მემკვიდრეობით, თავადაც ატარებენ დესტრუქციულ კოდს. ამავე მიმართულებით
წარმატებით მუშაობენ სხვა ევროპელი დრამატურგები: ავგუსტ სტრინდბერგი, ჯონ
მილინგტონ საინგი, გერჰარტ ჰაუპტმანი, ანტონ ჩეხოვი, ლუიჯი პირანდेलო, რომლებიც
ავითარებენ „ცოდვილი რეალობისა“ და ადამიანის თვითიზოლაციის ტრაგიკულ თემას.
გმირიდან მსხვერპლზე ყურადღების გადატანის პროცესი ქართულ მწერლობაშიც აისახა. ეს
მეტამორფოზა პირველად გვიანი რეალიზმის ეპოქის ავტორის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში
გამოვლინდა, კერძოდ, პოემაში – „გველის მჭამელი“. დასახელებულ ტექსტში ვაჟა-ფშაველას
ყურადღების მთავარი საგანი ადამიანია, ინდივიდი, რომელიც არსებობს გარკვეული
საზოგადოების, ანუ ობიექტური გარემოს პირობებში და ცდილობს მასში დამკვიდრდეს,
როგორც ცალკეული პიროვნება. შედეგად, ის საზოგადოებასთან საბედისწერო კონფლიქტში
აღმოჩნდება. ვაჟა-ფშაველას ტექსტში გამოხატული ხედვის ეს ახალი პერსპექტივა, დეკადანსის
ცნებასთან ერთად, წარმოადგენს პირდაპირ გზას ქართული მოდერნიზმისკენ. გმირიდან
მსხვერპლზე ყურადღების გადატანის ტენდენცია დიდი წარმატებით გაგრძელდა დავით
კლდიაშვილის შემოქმედებაში, რომელმაც შეძლო წაეკითხა თავისი დროის ტრაგიკული კოდი:
სოციალური გაჭირვებისა და მწვავე სულიერი კრიზისის პირობებში, მწერალმა ტრაგედიად

აქცია ადამიანის არა სიკვდილი, არამედ - სიცოცხლე, და ამ ეფექტს სატირისა და იუმორის ხერხის სიღრმისეული გამოყენებით მიაღწია. ცრემლებში გაზავებული სატირა და იუმორი დავით კლდიაშვილის მწერლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტილისტურ ბერკეტად იქცა. კლდიაშვილის დრამატურგიაში იუმორმა პაროდის თითქმის შუა საუკუნეების სიღრმე (რაბლე, სერვანტესი) და აღმდგენი (დაკარგული ფასეულობების) ფუნქცია შეიძინა. კლდიაშვილის იუმორი წარმოადგენდა დრამატული, დამაბული, ხშირად ტრაგიკულის ესთეტიკურ უკუსვლას, რომელიც ხელახლა ხსნიდა უბრალო ადამიანების სოციალური ცხოვრების დილემებს, მათი მდგომარეობის უკიდურესობას, ურთიერთობების კრიზისს. კლდიაშვილის გმირები იძულებულნი არიან იცხოვრონ ტყუილსა და ილუზიებში, იმ იმედით, რომ როგორმე გადარჩებიან. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ილუზიები იმსხვრევა და მათი გაქრობა მსხვრევა იწვევს კიდევ ტრაგიკულ შედეგებს. დავით კლდიაშვილის ორი პიესა - „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“ - უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე ევროპული ტრაგედიის პრემიერად ქართულ ეროვნულ დრამატურგიაში. ამ ტექსტების დრამატიზმს განსაზღვრავს მათში ასახული რეალობა: მომავლადი კლასის უკიდურესი სოციალური სიღარიბე - წვრილი თავადაზნაურობის ეკონომიკური, სულიერი და ინტელექტუალური განადგურება, ურთიერთობების კრიზისი. „დარისპანის გასაჭირი“ თანამედროვე ტრაგედიაა, რომელიც ესაზღვრება, მაგრამ არ უტოლდება შექსპირის ტრაგიკომედიების პათოსს: კლდიაშვილის პიესა სტილისტურად - ტრაგიკულისა და კომიკურის სინთეზით, ასევე გროტესკ-კომიკურისა და ხაზგასმით. ფილოსოფიური სიცილით - პრო-შექსპირიანული სულისკვეთების მატარებელია, თუმცა, კონცეპტუალურად, იგი აკმაყოფილებს თავისი ეპოქის ესთეტიკურ მოთხოვნებს და რჩება იბსენის, ჩეხოვის და თანამედროვე დრამის სხვა ფუძემდებლების ტრაგედიის ქართულ ანალოგად. „ირინეს ბედნიერება“ მოკლებულია ტრაგიკომედიურობას და წარმოჩნდება როგორც სერიოზული დრამა. პიესის ცენტრალური პერსონაჟი - ირინე, თავისი ძლიერი ხასიათითა და ღირსების გრძნობით, ლოპე დე ვეგასა და ტირსო დე მოლინას მიერ შექმნილ „ძლიერ ქალთა“ გალერეას მოგვაგონებს. ირინე სრულყოფილად იაზრებს თავის მდგომარეობას, საკუთარი ფსევდობედნიერების ტრაგედიას და იბრძვის კიდევ გადასარჩენად, მაგრამ - ამაოდ. მწერალს პერსონაჟის ფიზიკური სიკვდილი უკანა პლანზე გადააქვს - ირინე სულიერად კვდება. მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში განხილული კლდიაშვილის მესამე ტექსტი - „სამანიშვილის დედინაცვალი“ - არ არის პიესა, მიგვაჩნია, რომ მისი ინტერპრეტაცია საკმაოდ მიზანშეწონილია თანამედროვე ტრაგედიისა და ლესინგის თანაგრძნობის თეატრის თეორიული მოდელის თვალსაზრისით. ამ ტექსტში პაროდის რეგენერაციული ფუნქციაა დანერგილი, მკითხველის ფუნქციის გაძლიერების ფონზე. მკითხველი/მაყურებელი აკვირდება არა მხოლოდ პერსონაჟების, გარკვეული სოციალური ფენის წარმომადგენელთა ბედს, არამედ ამ უბედურებიდან გამომდინარე ქმედებებსა და შედეგებს და თავადვე გადის ეთიკური ტრანსფორმაციის ურთულეს ფაზებს. მკითხველი თვოდან იბადება. ლიტ. 12.

ავტ.

4.6.2.4.2. აბსურდის კონცეპტი და მისი რეფლექსია ქართულ მწერლობაში. /ი. რატიანი/.
 ჟურნალი **ლიტერატურული მივანი**. - 2024. - #44. - გვ. 158-179. - ინგლ., რუხ.: ქართ., ინგლ.

აბსურდის კონცეპტი მსოფლიო ლიტერატურაში ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის ავტორებთან იჩენს თავს (არისტოფანე, პლაუტუსი და სხვ.), თუმცა უფრო ჩამოყალიბებული სახით შედარებით გვიანდელ თხულებებსა („გულივერის მოგზაურობა“, „ტრისტრამ შენდი“, „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“) და კალდერონის დრამატურგიაში („ცხოვრება სიზმარია“) გვხვდება. აღნიშნულ ტექსტებში უკვე რეალიზებას იწყებს აბსურდის კონცეპტისათვის ნიშანდობლივი

მახასიათებლები, რომლებიც XX საუკუნეში ჯერ აბსურდის ფილოსოფიის, შემდეგ კი აბსურდის თეატრის სახეს მიიღეს. ფრანგი ექსისტენციალისტები ჟან პოლ სარტრი და ალბერ კამიუ ამ ფილოსოფიის საწყისებთან დგანან. სწორედ მათ ნააზრევში ჩამოყალიბდა აბსურდის თეორია, რომელიც ამ ორი მწერლის შემოქმედებაში ინდივიდუალური კუთხით წარმოჩინდა. ამ საკითხს ალბერ კამიუმ მიუძღვნა შესანიშნავი ესე „სიზიფეს მითი“, რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი აბსურდის ფილოსოფიის შესახებ. ამ ფილოსოფიის ყველაზე მკაფიო გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ აბსურდის თეატრი, რომლის ფორმირებაც 1950-იანი წლების ევროპაში მოხდა სემიუელ ბეკეტის შემოქმედებასა და დრამატურგიაში. ბეკეტმა, იონესკომ, ადამოვმა და სხვებმა სრულიად ახალი ფურცელი ჩაწერეს მსოფლიო დრამატურგიისა და მწერლობის ისტორიაში. საგულისხმოა, რომ ქართულმა ლიტერატურამ, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიის ჩარჩოებში ვითარდებოდა, მაინც შეძლო ამ მოვლენის რეფლექსირება და მკითხველს აბსურდის ლიტერატურული მოდელის განსხვავებული ფორმები შესთავაზა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართველი მწერლების - გურამ რჩეულიშვილისა და რევაზ ჭიეშვილის შემოქმედება. სპეციალური ტერმინი „საბჭოთა აბსურდი“ წინამდებარე სტატიის ავტორმა სწორედ მათ ნოველებთან დაკავშირებით გამოიყენა, როგორც იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის გამოხატულება. ლიტ. 14.

ავტ.

4.6.2.4.3. მოწამეობა როგორც სილამაზე: წმიდა დედოფალ ქეთევანის წამება სულხან-საბა ორბელიანისა და დიმიტრი ბაგრატიონის პოეტური ხედვებით. /მ. ლაღანიძე/. ჟურნალი ლიტერატურული ძიებანი. – 2024. – #44. – გვ. 74-101. – ინგლ.; რუბ.: ქართ., ინგლ.

პოემა თავისი დედის, დედოფალ ქეთევანის, მოწამეობის შესახებ, – „წამება და წიგნი ქეთევან დედოფლისა“, – დაუწერია მეფე თეიმურაზ პირველს (1589-1663), დაახლოებით 1627-1628 წლებში. ნაწარმოებში, ისტორიული თანამიმდევრობით, მოკლდება აღწერილი კახეთის დედოფლის – წმიდა ქეთევანის 1560-1624 წწ. სიცოცხლის დასასრული და მისი მოწამეობრივი თავდადებული ერთგულება ქრისტიანულ სარწმუნოების მიმართ. პოემაში ჩართულია სულხან-საბა ორბელიანის მიერ დაწერილი სამი სტროფი, სადაც უშუალოდ, პირდაპირ ნაჩვენებია ქეთევანის წამება, მაგრამ, განსხვავებით თეიმურაზისეული თავდაპირველი და უმეტესწილად რეალისტურ-ფაქტობრივი თხრობისაგან, საბა საგანგებო, განსაკუთრებული გულისყურით, თავიდანვე წარმოაჩენს დედოფლის მარტვილობის სულიერ და ესთეტიკურ განზომილებას, ხოლო ამგვარ ხედვას საფუძვლად უდევს თავად მოვლენის სარწმუნოებრივი შინაარსის ღრმად გააზრება. წამება პოეტის მიერ აღიწერება როგორც მოწამის გალამაზება, მისი სრულყოფილი აღჭურვა სხეულებრივი სილამაზის შემამკობელი ნიშნებით. წამება კარგავს თავის ტრაგიკულ შინაარსს, რადგან ის წარმოსახულია როგორც დედოფლის დგომა სარკის წინ და როგორც სახისა თუ სხეულის გამშვენირება. საბას ქრისტიანული თვალსაზრისით, ადამიანი ლამაზია მაშინ, როცა იგი, ღმრთის წინაშე წარდგომისას, სულიერად შემკობილია. ყველაზე ლამაზი კი წმიდანია, რომელიც საკუთარ სხეულს სწირავს ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულებას. საგანგებოდ აღსანიშნავია, – უწინარესად, ტექსტის პოეტური ღირებულების გამო, – კიდევ ერთი პოემა: „წამება წმიდისა ქეთევან დედოფლისა“, რომელიც 1819 წელს გამოქვეყნდა და რომლის შემქმნელია დიმიტრი ბაგრატიონი (1746-1826), რუსეთში მცხოვრები ქართველი პოეტი და მეომარი. ღირსშესანიშნავია, რომ ავტორი თავისი თხზულების წერისას დაუფარავად, ცხადად, ეფუძნება თეიმურაზის ტექსტს, მაგრამ იგი ფართოდ გაშლის და ავითარებს საბასეული ჩანართის ხედვას, – წამების ესთეტიკურ განზომილებას, რომელიც აუცილებლად გულისხმობს ტანჯვის მიღმა მარტვილის სულიერი სილამაზისა და სულიერი გამარჯვების დანახვას. დიმიტრი ბაგრატიონის თხზულებაში გამოხატულია ორმაგი ხედვა: მიწიერად დანახული, ხილული სინამდვილე განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს და ატარებს სულიერი თვალსაწიერიდან, ხოლო ის, და სწორედ ის, რაც ქვეყნად ხდება, შესატყვისად ფასდება

ზეციური სიმაღლიდან. პოეტები, – სულხან-საბა ორბელიანი და დიმიტრი ორბელიანი, – მყარად გაჰყვნენ თეიმურაზის მინიშნებულ მიმართულებას და, თავიანთი საკუთარი პოეტური ხედვის კვალობაზე, ორივემ შთამბეჭდავად წარმოაჩინა თავად წამების სილამაზე. ლიტ. 48.

ავტ.

4.6.2.4.4. ევაგრე პონტოელის სწავლათა წმ. ექვთიმე ათონელისეული თარგმანები. /ლ. ტყეშელაშვილი/. ჟურნალი სპეკალი. – 2023. – #17. – ქართ., ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.55804/jtsuSPEKALI-17-20>

სტატიაში განხილული და იდენტიფიცირებულია ევაგრე პონტოელის (IV ს.) შრომათა წმ. ექვთიმე ათონელისეული თარგმანები. ევაგრე მონაზონი, ცნობილი ორიგენისტი და V მსოფლიო საეკლესიო კრების (553 წ.) მიერ განკვეთილი, ბერძნულ ენაზე მრავალი ასკეტური ნაშრომის ავტორია. მისი შრომების დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში სხვა საეკლესიო მწერალთა სახელით გავრცელდა, ზოგიერთის ორიგინალი კი საერთოდ დაიკარგა, ისინი მხოლოდ თარგმანებში შემოინახა. ევაგრეს შეგონებები ქართულ ენაზე ფრაგმენტულად ადრევე გახდა ცნობილი (წინათონურ პერიოდში), თუმცა ირკვევა, რომ მისი მრავალი თხზულება ექვთიმე ათონელსაც უთარგმნია წმ. ბასილი დიდისა და წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელით. ლიტ. 59.

ავტ.

4.6.2.4.5. სარდიონ ალექსი-მესხიშვილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მთარგმნელი. /თ. სიხარულიძე/. ჟურნალი სპეკალი. – 2023. – #17. – ქართ., ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.55804/jtsuSPEKALI-17-19>

XIX საუკუნის ერთ-ერთი პირველი ქართველი ექიმი, მთარგმნელი სარდიონ ალექსი-მესხიშვილი ნაკლებად არის შესწავლილი თარგმანმცოდნეობის კუთხით. სტატიაში შესწავლილია ს. ალექსი-მესხიშვილის მთარგმნელობითი საქმიანობის პრინციპები, მისი აქტიური მონაწილეობა „მამათა და შვილთა“ დისკუსიაში („უსტარი ანტიკრიტიკული“). შედარებითი კვლევის საფუძველზე, სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯ. გ. ბაირონის პოემის „ოსკარ დ'ალვას“ ს. ალექსი-მესხიშვილისეული ქართული თარგმანის ე.წ. პირველწყარო შუალედური ფრანგული ტექსტია. ლიტ. 13.

ავტ.

4.6.2.4.6. ქალთა ემანსიპაციის საკითხი თამარ პაპავას ადრეულ პუბლიკაციებში. /ნ. კუტივაძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 106-114. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

XX საუკუნის ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია თამარ გოგოლაშვილი-პაპავა მრავალფეროვანი მემკვიდრეობით, რომელშიც კარგად აისახა ეპოქის აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხები. მათ შორის უნდა გამოიყოს ქალთა ემანსიპაციის პრობლემა. ცნობილია, რომ ქალთა ემანსიპაციის საკითხი განსაკუთრებით გააქტიურდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში, რასაც თავისი გამოცდილი მოჰყვა საქართველოშიც. ქალთა ბრძოლა საკუთარი უფლებებისათვის საკმაოდ რთული და წინააღმდეგობებით სავსე პროცესი იყო. ამ ვითარებას არ განაპირობებდა მხოლოდ პატრიარქალური საზოგადოების კონსერვატიზმი, ის გადაჯაჭვული იყო სხვა სოციალურ თემებთანაც. თამარ პაპავამ 1909-1910-იანი წლებში საქართველოში გამომავალ გაზეთებში („მომავალი“, „ახალი სხივი“) არაერთი პუბლიკაცია გამოაქვეყნა ამ საკითხებთან დაკავშირებით. ეს წერილები, გარდა იმისა, რომ ინფორმაციულ და არცთუ იშვიათად საგანმანათლებლო ხასიათსაც ატარებდა, ამასთანავე აჩვენებდა საქართველოში ამ თვალსაზრისით შექმნილ საკმაოდ მძიმე მდგომარეობას. თამარ პაპავა ამ საკითხებზე წერისას მიმოიხილავდა ვითარებას

ევროპაში, ამერიკაში, ფინეთში, ნორვეგიასა თუ რუსეთში, აანალიზებდა საკუთარი უფლებებისათვის დაწყებულ ქალთა აქტიურ ბრძოლას, რომელიც განპირობებული იყო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში მომხდარი ცვლილებებით, არ იზიარებდა მოსაზრებას, რომ ქალისთვის ბუნებრივად იყო დამახასიათებელი სისუსტე და უმოქმედობა, რაც მას მამაკაცთან შედარებით დაბალ სოციალურ საფეხურზე აყენებდა, ყურადღებას ამახვილებდა ქალთა მოძრაობაში კლასობრივ ასპექტებზე, ქალების პოლიტიკაში ჩართვასა და სხვ. თამარ პაპავას კორესპონდენციები კარგად აჩვენებს თავად პრობლემის სიმძიმეს, ტრადიციული საზოგადოების დამოკიდებულებას ქალთა მდგომარეობის მიმართ, ბრძოლას ამგვარი რეალობის შესაცვლელად. მიუხედავად ამ წერილების დესკრიფციული ხასიათისა, მათში დასმული აქცენტები მაინც მკაფიოდ ავლენს ავტორის შეურიგებლობას ქალთა მძიმე საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო. ლიტ. 8.

ავტ.

4.6.2.4.7. ცნობიერისა და არაცნობიერის არქეტიპები გურამ ფანჯიკიძის რომანებში: „მეშვიდე ცა“, „თვალი პატიოსანი“ და „აქტიური მზის წელიწადი“. /თ. მაჭავარიანი/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 129-138. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

პიროვნების ფორმირება მის შინაგან სამყაროში მიმდინარე ცნობიერი თუ არაცნობიერი ფაქტორების კოორდინირებით მიიღწევა, რომელთა ჰარმონიული / დისჰარმონიული ურთიერთობები აყალიბებს მკვეთრად გამოხატულ ნიშან-თვისებებს, რაც განმაპირობებელი ფაქტორია ინდივიდუალიზმის ჩამოყალიბებისას. საბჭოთა ლიტერატურული ნაწარმოებების წაკითხვა აუცილებლად საჭიროებს მათ ახლებურ რეცეფციას ეპოქის ქრონოტოპული არეალის გათვალისწინებით, რაც აბსოლუტურად შეცვლის კრიტიკისა და მკითხველის შეხედულებას არა მარტო ნარატორზე, არამედ ნარაციის წარმმართველ პერსონაჟებზე, მათ ხასიათებსა თუ შეხედულებებზე, მით უმეტეს, მათში ფორმირებული ცნობიერი თუ არაცნობიერი შინაარსების გამომწვევ ფაქტორებზე. რაც მეტად საინტერესო უნდა იყოს პოსტკოლონიური (პოსტსაბჭოთა) ქვეყნებისათვის, რომლებიც აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური კურსით დასდგომიან დაკარგული ნაციონალური იდენტობის ძიების გზას. გურამ ფანჯიკიძის რომანებში („თვალი პატიოსანი“ და „აქტიური მზის წელიწადი“) წარმოდგენილი ხასიათების ანალიზი აჩვენებს, რომ პიროვნების ფორმირების რთული პროცესი წარმოადგენს ცნობიერისა და არაცნობიერის თანხვედრით გაფორმებულ ვერსიას. ნებისმიერი ავტორიტარული სახელმწიფოს ზეგავლენა ასახვას პოვნებს კოლექტიურ არაცნობიერში, რისგანაც გათავისუფლება იშვიათად უნდება ადამიანს. სტატიაში ნაჩვენებია, როგორ ჩაკლა საბჭოთა იდეოლოგიამ ადამიანში ადამიანი მისგან დამოუკიდებლად უმნიშვნელო ასპექტშიც კი. თუ პიროვნული არაცნობიერი, მეტ-ნაკლებად, კონტოლირებადია და ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის აღზრდის ხარისხს, ამის თქმა შეუძლებელია არქეტიპებზე, რომლისგანაც გათავისუფლება ყველას არ უნდება, მით უმეტეს, ვერც ახერხებს. კრახის გაცნობიერება კი აუცილებლად ბადებს მასში შინაგან და ქვეცნობიერ გაუცხოებას, რისი მაგალითებიც წარმოადგინა მწერალმა. ლიტ. 7.

ავტ.

4.6.2.4.8. პოსტმოდერნისტული ტენდენციებისათვის ქართულ და თურქულ რომანებში. /მ. სუსარეიშვილი/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 227-231. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

პოსტმოდერნიზმი არის აქტიური და დომინანტური მიმდინარეობა, რომელმაც გამოჩენისთანავე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ჰპოვა ადგილი.

განსაკუთრებით ეს ტენდენცია შეინიშნება 1980-იანი წლებიდან და იგი განსხვავებული სახით მანიფესტირდება კულტურის ყველა სფეროში. მსოფლიო ლიტერატურის მუდმივად განვითარებად ლანდშაფტში პოსტმოდერნიზმი წარმოიშვა, როგორც ლიტერატურული მოძრაობა, რომელიც უპირისპირდება მოდერნიზმის კონცეფციასა და იდეოლოგიას, ეჭვქვეშ აყენებს დამკვიდრებულ ნორმებს, ნარატიულ სტრუქტურებს, იდენტობისა და ობიექტურობის კლასიკურ ცნებებს, უნივერსალური პროგრესისა და ემანსიპაციის იდეებს, დიდ ნარატივებს. პოსტმოდერნიზმის წარმოშობა და განვითარება თურქულ და ქართულ ლიტერატურაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ორი ქვეყნის ისტორიულ, კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტთან, ასევე, იმ გლობალურ პროცესებთან, რომლებიც მიმდინარეობდა მსოფლიოში. ქართულ და თურქულ პოსტმოდერნისტულ რომანებს ახასიათებთ პოსტმოდერნისტული კულტურის უმთავრესი პრინციპები: მეტაფიქცია, ინტერტექსტუალობა, ორმაგი კოდირება, ფრაგმენტაცია, სწრაფვა ნარატიული ექსპერიმენტებისკენ და კულტურულ იდენტობაზე ფოკუსირება, მათ განსხვავებულობასა და უნიკალურობას კი ის კულტურული და ენობრივი გარემო ქმნის, რომელშიც ისინი წარმოიშვნენ. ლიტ. 14.

ავტ.

4.6.2.4.9. აპულიუსი. „ოქროს ვირი“: მეორეხარისხოვანი პერსონაჟები. /ვ. ენდელაძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2023. – #2(22). – გვ. 90-103. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ლიტერატურულ ნაწარმოებში ცენტრალური ადგილი ადამიანს ეთმობა. მწერლისათვის გამოსახვის მთავარი საგანი არის ადამიანი და მისი საზოგადოება. მხატვრულ ტექსტში მთავარი პერსონაჟის გვერდით არიან მეორეხარისხოვანი გმირები, რომლებიც სხვადასხვა დანიშნულებით შემოჰყავთ ხოლმე ავტორებს და მათ გარკვეულ (ხშირ შემთხვევაში, საკვანძო) ფუნქციებს აკისრებს. სტატიაში, ნაჩვენებია თუ როგორ ვითარდება მთავარი გმირის, ვირად ქცეული ლუციუსის ამბავი მთელ რომანში; რა სირთულეების გავლა უწევს მთავარ გმირს, სანამ პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდება და რაც მთავარია, რა მიმართება აქვს მთავარ გმირს მეორეხარისხოვან პერსონაჟებთან. ეს უკანასკნელნი ხშირად გაუსაძლისი მდგომარეობაში აგდებენ მთავარ გმირს, ლუციუსს, ზოგჯერ კი პირიქით, მის მიმართ შემწყნარებლურ უნარს და ემპათიის განცდასაც კი ავლენენ. ლუციუსის სირთულეებით სავსე თავგადასავალს მეორეხარისხოვანი პერსონაჟები კიდევ უფრო საინტერესოს ხდიან, წარმოგვიდგენენ მთავარ გმირს სხვადასხვა სიტუაციაში და გვაჩვენებენ მის სულიერ სიმტკიცესა და გაუტეხელობას. მთავარ გმირთან ურთიერთმიმართების თვალსაზრისით აპულიუსის რომანში მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ჯგუფდებიან გარკვეული ნიშნების/მახასიათებლების მიხედვით: მთავარ გმირში ინტერესის აღმძვრელი; უსახელო პერსონაჟები; პერსონაჟები, რომლებიც ხელს უწყობენ გმირს სასურველი მიზნის მიღწევაში; პერსონაჟები, რომლებიც ცხოველებისა და ფრინველების სახით არიან წარმოდგენილი და რომელთა სიმბოლური ნიშნები თუ მოქმედებანი მთავარ გმირს გარკვეული სახის, მისთვის საჭირო ინფორმაციას აწვდიან; პერსონაჟები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მთავარ გმირს; პერსონაჟები, რომლებიც ძაბავენ სიუჟეტს; პერსონაჟები, რომელთაც ებრალებათ მთავარი გმირი... აღნიშნულ პერსონაჟებს, ცხადია, რომანში განსხვავებული ფუნქციები აკისრიათ, თუმცა მიზანი მაინც ერთია: მთავარი გმირის უკეთ წარმოჩენა, მისი ხასიათის გახსნა, მისი გამჭრიახი გონების ხაზგასმა და გმირის მიმართ მკითხველის სიმპათიის ან ანტიპათიის გამოვლენა. ლიტ. 11.

ავტ.

4.6.2.4.10. საათი, როგორც ანტიუტოპიური დროის სიმბოლო. /თ. მაჭავარიანი/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2023. – #2(22). – გვ. 137-146. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ. საბჭოთა ლიტერატურის არსებობა თავის თავად გულისხმობს ანტიუტოპიური რომანის ფორმირებას, რომლისთვისაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია „გაჩერებული“ ანუ „გაყინული დრო“, რაც გარკვეულ ჩარჩოში მოქცევის, უმოქმედობის ნიშანია და ხდება მიზეზი მომავლისკენ ხედვის. ამ დროს მწერალი „იმულებულია“ მყოფადის სახელით რაღაც შეცვალოს, „დაასრულოს“ ისტორია, მაგრამ ისე, რომ პერსონის მიერ განხორციელებული დროში ნახტომი შენიღბოს. გურამ ფანჯიკიძის რომანების ანტიუტოპიურ ჭრილში განხილვისას აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს დროის ფაქტორს, რაც ბევრჯერ წამოჭრილა მის ტექსტებში. გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“ უძრაობის ეპოქაში შექმნილი რომანია, რომლის პერსონაჟებიც მხოლოდ კრიტიკულ სიტუაციაში აცნობიერებენ მოქმედების არსს თუ საჭიროებას და საათის აჩქარებულ ისრებთან ერთად დინამიკაში მოჰყავთ საკუთარი თავი, რომ შეძლონ აწმყოს სახელით მომავლისკენ ხედვა, იმისათვის, რომ „სხვა“ სივრცეში მაინც დადგეს „სხვა“ დრო. ლიტ. 11.

ავტ.

6.2.5. ცალკეული ლიტერატურული მიმდინარეობები

4.6.2.5.1. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და ლიმიანლობის თეორია (ინტერპრეტაცია). /ა. ლეთოდიანი/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 114-122. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

სტატიის მიზანია ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ ლიმიანლობის თეორიის კონტექსტში გააზრება და ამ მხატვრული ტექსტის ახლებური ინტერპრეტაციის შემოთავაზება. ლიმიანლობის ცნება „ორ განსხვავებულ სივრცეს შორის გასასვლელს, მიჯნას“ აღნიშნავს. ლიმიანლობა სოციალური სტატუსის, ღირებულებების, წესების, პრინციპების, პიროვნული თუ სხვა ტიპის ტრანსფორმაციას, უპირველესად, კი, იდენტობის ძიების პროცესს უკავშირდება. ლიმიანლობის ანთროპოლოგიური თეორიის თანახმად, ნებისმიერი სახის ცვალებადობა გულისხმობს 3 ფაზას. 1. სეპარაცია ანუ გამოცალკევება; გარკვეული სოციალური ერთობისაგან გამიჯვნა ინდივიდუალური არჩევანის საფუძველზე; ამ დროს ინდივიდი ერთობისათვის ნიშნულ მახასიათებლებს კარგავს, 2. ლიმიანლობა, ეს სტადია მოიცავს ნორმატიული კონტექსტისაგან გამოცალკევებას და ადრინდელის საპირისპირო სამყაროს შექმნას, 3. ინკორპორაცია/რეაგრეგაცია, გაერთიანება, საზოგადოებაში განახლებული სოციალური სტატუსით დაბრუნება. ლიმიანლობის თეორია კვლევის ინტერდისციპლინურ მეთოდად მიიჩნევა. მისი საშუალებით შესაძლებელია ჰუმანიტარული თუ სოციალური აზროვნების სფეროს სხვადასხვა მოვლენის გააზრება. ამ მხრივ საყურადღებო სურათს გვთავაზობს მხატვრული ლიტერატურაც. სწორედ ამ თვალსაზრისით შევარჩიეთ საკვლევ ტექსტად ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“. ვფიქრობთ, საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს ამ პოემის ლიმიანლობის თეორიის დახმარებით შესწავლა; ამ კონტექსტში, სიუჟეტური ხაზის კვალდაკვალ, პერსონაჟთა თვითშემეცნების პროცესის ფაზების გამოკვეთა და გააზრება. ლიტ. 9.

ავტ.

4.6.2.5.2. ბერძნული სამყარო და ბაირონი. /თ. სიხარულიძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 204-212. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

რომანტიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, ამ ლიტერატურული მიმართულების ერთი ძირითადი ნიშანი უცხოურით, კერძოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებით, იქ მოგზაურობით გატაცებაც იყო. ჯორჯ გორდონ ბაირონს (1788-1824) იზიდავს ანტიკური კულტურა, საბერძნეთი. ასე უძღვნის ის თავისი ცხოვრების მეორე ეტაპს თავისუფლებისათვის მებრძოლ ბერძენ ერს, თავისი შემოქმედებით კი იმ თემებს აშუქებს, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო ანტიკური სამყაროსათვის. პოეტის ბიოგრაფიის ბერძნულ პერიოდზე არაერთი წერილი, გამოკვლევა ეკუთვნის აკადემიკოს ინესა მერაბიშვილს: 1. Byron, Greece and Georgia and The Mediterranean World, Proceedings of the Twentieth International Byron Conference, Published by the Hellenic Byron Society in Athens 20-21, September, 1994, p. 201-209; 2. ბაირონი, პრომეთე და ნაპოლეონი, ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოების ორენოვანი ჟურნალი „ნაპოლეონი“, თბ., 2000 (5 გვერდი); 3 The Reception of Argonauts by Lord Byron, Phasis, Greek and Roman Studies, The Argonautica and World Culture, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of Classical, Byzantine and Modern Studies, volume 10 (II), 2007, p. 208-215; 4. Ovid's Hero and Medea as Reflected in Byron's Life and Works, Proceedings of the 37 th International Conference, Valladolid, Spain, 2011, at www.internationalassociationofbyronsocieties.org; 5. Lord Byron's Thyrza, Tbilisi, 2007 (64 pages); 6. Byron, Greece and Georgia, in: Byron and the Mediterranean World. Athens, 1995. ჩვენ მიერ განხორციელებულმა კვლევამ წარმოაჩინა ბაირონი როგორც მებრძოლი, საბერძნეთის თავისუფლების სადარაჯოზე მდგარი, რომელმაც არაერთი ლექსი მიუძღვნა საბერძნეთს; ბაირონის ცნობილი უკანასკნელი ლექსის „დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი“ წყარო ტექსტიდან ეკვივალენტური თარგმანი შემოგვთავაზა ინესა მერაბიშვილმა. ლიტ. 12.

ავტ.

4.6.2.5.3. XIX საუკუნის 80-იანი წლების სალიტერატურო კრიტიკა და გიორგი წერეთელი. /მ. ქაჯაია/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 250-256. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

გიორგი წერეთელი XIX საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელია. იგი ქართველ მამულიშვილთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე და ქართული საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრება ძირეულად შეცვალეს. გ. წერეთელი ენერგიულად იღვწოდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ სარბიელზე და უშუალო მონაწილეობას იღებდა იმდროინდელი ყველა მნიშვნელოვან, საჭირობოტო პრობლემის დასმასა და გადაწყვეტაში. გ. წერეთლის მოქალაქეობრივი მრწამსის შინაარსს განსაზღვრავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები. მიუხედავად იმისა, რომ რ. ერისთავის წერილი არ წარმოადგენს გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების განხილვას, ის მაინც შეიცავს ჩვენთვის საყურადღებო ორ მომენტს. პირველი ის, რომ ტერმინების შედარებისას აშკარად ჩანს გ. წერეთლის ლექსიკური ინტუიცია და მეორეც – რ. ერისთავი, როგორც ჩანს, გ. წერეთლის მხატვრული ნაწარმოებების ენასა და კილოს სტილს საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა. კრიტიკოსთა დამოკიდებულება გ. წერეთლის შემოქმედებისადმი 70-80-იან წლებში თანდათან გამოკვეთილ სახეს იღებს. ეს განპირობებულია, ერთი მხრივ, ლიტერატურული კრიტიკის ინტენსიურობითა და კრიტიკოსთა რაზმის გამძლავრებით, მეორე მხრივ, თვით კრიტიკული ანალიზის მეთოდებისა და ხერხების მრავალფეროვნებით. ლიტ. 11.

ავტ.

4.6.2.5.4. სოფრომ მაგლობლიშვილი აკაკი წერეთლის შესახებ. /მ. ჭიქაბერიძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 282-286. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

სოფრომ მაგლობლიშვილის მწერლური ღვაწლის შეფასებისას საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი, როგორც მემუარისტის, დამსახურება. ის მოგონებებს 1900-იანი წლებიდან წერდა და აქვეყნებდა. პირველად 1910 წელს ჟურნალ „ერში“ მისი მოგონებების ხუთი თავი განთავსდა, ხოლო შემდეგი თავები გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა. მოგვიანებით, სოფრომ მაგლობლიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ლიტერატურის მკვლევარმა ლევან ასათიანმა თავი მოუყარა და ერთ წიგნად გამოსცა მწერლის მემუარული ხასიათის თითქმის ყველა ნაწარმოები. სოფრომ მაგლობლიშვილმა დაწერა შესანიშნავი მოგონებები ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების შესახებ. უმეტეს მათგანს ავტორი ახლოს იცნობდა, მათთან პირადი და სამსახურებრივი ურთიერთობა აკავშირებდა. სოფრომ მაგლობლიშვილი მათ შესახებ ბევრ ისეთ შემთხვევას გვაცნობს, როგორსაც სხვა მემუარისტებთან ვერ შევხვდებით. ასეთია მისი მოგონებები აკაკი წერეთლის შესახებ. მას ორი მოგონება მიეძღვნა: „ჩვენთან არს აკაკი“ და „აკაკი“. ისინი პოეტის გარდაცვალების დღეებში გამოქვეყნდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ (№5, №7). მემუარისტი საგანგებოდ აღნიშნავს აკაკის, როგორც ჭეშმარიტი პოეტის, თვისებას – მოგზაურობის სიყვარულს, ხალხთან სიახლოვის სურვილს. ის ერთმანეთს ადარებს ილიასა და აკაკის ბუნებას. მას მოსწონს, რომ აკაკი ხალხს კარგად იცნობს, რადგან ბევრს მოგზაურობს. ილია კი მაინც კაბინეტის კაცია, მას პირადად მხოლოდ ქალაქის ინტელიგენცია, თავადაზნაურობა იცნობს. სოფრომ მაგლობლიშვილის ორივე მოგონება („ჩვენთან არს აკაკი!“, „აკაკი“) დაწერილია აკაკი წერეთლის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. მათში იხატება პოეტის საინტერესო სახე, რომელიც ახლაც დიდ ინტერესს აღძრავს მკითხველში. ლიტ. 3.

ავტ.

4.6.2.5.5. ტრავმული მეხსიერების ქვეცნობიერი პლასტები. (ზაირა არსენიშვილის რომანის „ვა, სოფელო“ მიხედვით). /ზ. კიკვიძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 113-120. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

ქართული ანბანის წარმოშობის, განვითარების, სიმბოლურ-საკრალური არსის შესახებ შექმნილია ფუნდამენტური ნაშრომები. არსებობს თეორიები, ჰიპოთეზებიც, სარწმუნოც, ნაკლებ სარწმუნოც. კვლევით სამყაროში შეიძლება განივრცოს ძველი დამწერლობის ქართულ ასოთა სიმბოლურ-სახისმეტყველებითი დატვირთვის საკითხი. სტატიაში მიმოიხილულია ქართული ანბანის შესახებ განსხვავებული შეხედულებები (თამაზ ჩხენკელი, რამაზ პატარიძე). საკვლევი საკითხია ასომთავრული „დონის“ სიმბოლური დატვირვა. საგულისხმოა, რომ ეს ლაპიდარული წარწერები: მცხეთის ჯვრის გუმბათზე ამოღარული (ჩაჭრილი) და წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძრის ეგვტერზე ამოტიფრული (რელიეფური) „დონი“ იკავებს ცალკე სივრცეს; არ უკავშირდება სიტყვას, ფრაზას, არ არის დეკორი, არ გამოხატავს თარიღს. შესაბამისად, მას თავისი ფუნქცია უნდა ჰქონოდა, რადგან „ქართულ ასომთავრულში უთუოდ მოცემულია სამყაროს აგებულების კონცეფცია“ (რამაზ პატარიძე). ჩვენი დაკვირვებით, ის მიკროკოსმოსისა და მაკროკოსმოსის გამომხატველი შეიძლება იყოს და შეითავსოს სახისმეტყველებით აზროვნებაში ადამიანის ორბუნებოვნების, მჭვრეტელობითი გზით განდრთობის სიმბოლური გამოხატვა. ლიტ. 7.

ავტ.

4.6.2.5.6. რელიგიური ნაკადის რამდენიმე მაგალითი ილია ჭავჭავაძის მხატვრულ მემკვიდრეობაში. /ს. სურმანიძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 142-149. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

მე-19 საუკუნე განსაკუთრებული ქარტეხილების ეპოქაა ქართულ რეალობაში; ეპოქა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა და რომლის გარეშე წარმოუდგენელია საქართველოს ისტორია.

საუკუნის დასაწყისში გადაიდგა ქვენისთვის საბედისწერო ნაბიჯი, რომლის შედეგებსაც დღესაც ვიმკით. საუკუნის მეორე ნახევარში კი თითქოს უფალმა გამოგვიგზავნა და (როგორც ყველა გაჭირვებს ჟამს ხდებოდა ხოლმე) სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან თერგდალეულები, რომელთა მეთაურიც ილია ჭავჭავაძე გახლდათ. თერგდალეულებს და ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდათ, რომ ქართველობის ნაციონალური იდენტობის ერთ-ერთი ძლიერი გამომხატველი რელიგია იყო, ძირითადი შემკვრელი და გამაერთიანებელი ქართველი ერისა. ამიტომაც ისინი ქრისტიანობის პირველი დამცველები იყვნენ. მათს შემოქმედებასა თუ ღვაწლში ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა რელიგიური ნაკადი. თანამედროვე ეპოქაში, როდესაც თითქოს დაიცალა ადამიანი რელიგიურობისგან და ბოლომდე ჩაეფლო ყოფიერებაში, აქტუალური და წინა პლანზე წამოსაწევია მსგავსი ტიპის თემები. ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის საფუძველი სახარებაა. ეს აშკარად გამოიკვეთა მის მხატვრულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში. სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას მკვლევარი აკაკი ბაქრაძე „ოთარაანთ ქვრივის“ მთავარი პერსონაჟის გიორგის ქრისტეშობის დღეს დაბადებისა და მისი სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულის შესახებ. გიორგი არის მსხვერპლი, რომელმაც თვალი უნდა აუხილოს წოდებრივ საფუძველზე დაქუცმაცებულ ერს; შეაგნებინოს ყველას, რომ თითოეულ ადამიანში ეძებოს „ცოცხალი ხატი ღირსებისა“. წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ წმინდა ილია მართლის შემოქმედებაში ქრისტიანული რელიგიის კვალზე. აქ ძირითადად გამოვიყენებთ პროფესორების გურამ ბახტაძისა და შოთა ჯიჯიშვილის ერთობლივ მოხსენებას ილია მართლის შესახებ, რომელიც წარმოდგენილი იყო დიდაქარაში, ანდრია პირველწოდებულისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე 2011 წელს მაისში. გარდა ამისა, მიმოვიხილავთ ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედებიდან რამდენიმე მაგალითს, რათა ვაჩვენოთ, რომ ილია მართლისათვის ქართველობა და ქრისტიანობა გადაჯაჭვულია ერთმანეთში და ისინი ერთურობის გარეშე ვერ წარმოუდგენია. ლიტ. 5.

ავტ.

4.6.2.5.7. თანატოლოგიური მოტივები მხატვრულ ლიტერატურაში. /მ. ქარდავა/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 185-190. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

სიკვდილის პრობლემა, როგორც ონტოლოგიური რეფლექსის ერთ-ერთი მიმართულება, პერმანენტულად იყო სოკრატეს, ეპიკურეს, იოანე დამასკელის, ნეტარი ავგუსტინეს, მარტინ ლუთერის, ბლეზ პასკალის, ჰეგელის, შოპენჰაუერის, ნიცშეს, ჰაიდეგერის, კამიუს და სხვათა შესწავლის საგანი. თანამედროვე მეცნიერება სიკვდილზე – თანატოლოგია – ზოგადდისციპლინურია და მოიცავს კვლევათა ფართო სპექტრს, მაგრამ ადამიანის გარდაცვალება იმდენად დიდი საიდუმლოებაა, რომ მისი შესწავლისას ჩვენ ვერ დავეყრდნობით მეცნიერულ პრიორიტეტებს. პირიქით, წინა პლანზე გამოდიან ჰუმანიტარული დისციპლინები, რომლებიც მუდმივად ეხებიან ირაციონალურ და ირეალურ ხასიათის პრობლემებს, მათ შორის ლიტერატურათმცოდნეობაში. ლიტერატურათმცოდნეობას გააჩნია ძლიერი კვლევითი ტრადიციები, ფორმირებული ტერმინოლოგიით და მეთოდოლოგიური ბაზით. მას შეუძლია შესთავაზოს თანატოლოგიას, ამ შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებას, მეცნიერულ პრობლემათა გადაჭრის საკუთარი ცოდნა და გამოცდილება. ჩემთვის ამ ნაშრომზე მუშაობისას ინსპირაცია გახდა არისტოტელეს, აუერბახის, შკლოვსკის, ტომაშევსკის, ბახტინის, ბარტის... თეორიული და ისტორიულ-ლიტერატურული ნაშრომები. ლიტ. 3.

ავტ.

4.6.2.5.8. ლილი ნუცუბიძის პოეზიის ენისათვის. /მ. ქაცარავა/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 191-198. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

ლილი ნუცუბიძის პოეტური სამყარო განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ მწერლობაში. იგი იყო ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი, მან მრავალი შედეგით გაამდიდრა ქართული ეროვნული პოეზია. ლ. ნუცუბიძის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოირჩევა ადამიანის უწმინდესი გრძნობის, სიყვარულისადმი მიძღვნილი ლექსები. ამ ლექსებმა მრავალი ცნობილი კომპოზიტორის ყურადღება მიიპყრო. შეიქმნა დიდებული სიმღერები. ლილი ნუცუბიძის ლექსებში ჩანს უსაზღვრო სიყვარული მშობლიური ქუთაისისადმი. პოეტი სხვანაირად ეჭირისუფლებოდა ქართულ ენას. იგი მასში ხედავდ მთელ სამყაროს, ჩვენს ისტორიას, ჭირსა და ლხინს. ლ. ნუცუბიძეს ჰქონდა განსაკუთრებული ნიჭი, მკითხველისათვის შეექმნა დადებითი განწყობა, რისთვისაც იგი ახერხებდა ზუსტად მიგნებული სიტყვებით. პოეტი ოსტატურად იყენებს ხატოვან გამოთქმებს, ეპითეტებს, მეტაფორებს, შედარებას... აკად. ბესარიონ ჯორბენაძე წერდა: „ნიჭიერი პოეტის მეტყველებაში ახლებურ ელვარებას იწყებს ენა“. მის ლექსებში ზოგჯერ გაცვეთილი სიტყვები ახალ ფერადოვნებას იძენენ. ლიტ. 6.

ავტ.

4.6.2.5.9. ანა კალანდაძის პოეზია – ღმერთსმოწყურებულ ადამიანთა მეგზური. /მ. ჭიჭინაძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 232-238. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

ტოტალიტარული რეჟიმის ბატონობის პირობებში, ჰუმანიზმისა და რწმენის იგნორირების ეპოქაში, როცა ზეიმობდა შაბლონი და სოკოებივით იქმნებოდა „მწერალი ფლუგერებით“ დაკომპლექტებული „პოეტური არტელები“, გამოჩნდა ანა კალანდაძის პოეზია, როგორც ზნეობრივი იდეალების, შემოქმედებითი ინდივიდუალობისა და სულიერი თავისუფლების ინკარნაცია. ანა კალანდაძემ თავისი ამაღლებული ლექსებით მოიტანა ღვთაებრივი სიყვარულის ცეცხლი - რწმენა, სიბრძნე, მშვენიერება. მისი ლექსების ლირიკული გმირი მკითხველს მიუძღვის ღვთიური ნათლისაკენ, ზნეობრივი სრულყოფისაკენ. მისმა პოეზიამ წაღმა დააყენა ბოლშევიკების მიერ ამობრუნებული სამყარო და სიკეთე, სიყვარული, სათნოება, ჭეშმარიტი რწმენა დაუპირისპირა სულმდაბლობას, ბოროტებასა და უღმერთობას. მისი ლექსების ლირიკული გმირი მიწას კი არაა მიჯაჭვული, რომელიც მხოლოდ მიწიერ დიდებასა და პატივს ესწრაფვის, არამედ მეგზურია ადამიანის სულისა და გულის თვალუწვდენელი შრეებისა, რომელიც ზეციური გვირგვინისათვის იღვწის. ლიტ. 21.

ავტ.

4.6.2.5.10. ათი მცნებისა და ათი პატიმრის ურთიერთმიმართება ნოდარ დუმბაძის რომანში „თეთრი ბაირაღები“. /გ. ხორბალაძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 246-258. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედება, ზოგადად, განსაკუთრებით საინტერესო და გამორჩეულია როგორც მისი მაღალმხატვრული ღირებულებითა და ორიგინალურობით, ისე კვლევის თვალსაზრისით; გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ სრულიად განსხვავებული მხატვრული სამყაროს სათანადო, საფუძვლიანი კვლევა დღემდე არ არის განხორციელებული. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ეტაპზე, უკვე ვმუშაობთ კოპლექსურ, მოცულობით მონოგრაფიაზე, სადაც სხვა და სხვა საინტერესო ასპექტებია გამოკვეთილი მწერლის შემოქმედებიდან და არაერთი პრობლემაა გადაჭრილი ახლებური ინტერპრეტაციის გააზრებით. ზოგიერთი ნაწილი ამ სამუშაოდან უკვე გამოქვეყნებულია სხვა და სხვა სამეცნიერო ჟურნალებში, ამჯერად კი წარმოვადგენთ ნარკვევს, რომელშიც რომან „თეთრი ბაირაღების“ ერთი მეტად საინტერესო და დამაფიქრებელი ასპექტი იქნება შესწავლილი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს რომანი გამორჩეულად საინტერესოა კვლევის თვალსაზრისით, იმდენად რამდენადაც, იგი ბიბლიური პარადიგმებით ნაგები რომანია და მრავალ შრეს მოიცავს ზედაპირზე გამოტანილი სიუჟეტების მიღმა. ერთ-

ერთი ასეთი შრეთაგანია ჩვენი მიმდინარე ნარკვევის ინტერესის საგანი. კერძოდ, წინამდებარე კვლევაში, ჩვენი მიზანია, გამოვკვეთოთ ათი მცნებისა და ათი პატიმრის ურთიერთმიმართება რომანში, რასაც რომანის შინაარსი სრულიად სხვა პრიზმაში გადაჰყავს და სრულიად განსხვავებულ აღქმას უძებნის რომანის სიუჟეტსაც. ლიტ. 12.

ავტ.

4.6.2.5.11. „უჩინარი“ მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ანტიკურ ლიტერატურაში. /ვ. ენდელამე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2024. – #1(23). – გვ. 146-156. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.12>

ტრადიციული გაგებით, პერსონაჟი უნდა იყოს ამბის მონაწილე, ასრულებდეს მოქმედებას, გამოხატავდეს დამოკიდებულებას ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის მიმართ... ამ შეხედულებას, გარკვეულწილად, ცვლიან ის პერსონაჟები, რომლებიც მხოლოდ იხსენიებიან სხვათა მიერ, მაგრამ მათ უკავშირდება ამბის განვითარების რომელიმე შესაძლო ვარიანტი. სტატიაში განვიხილავთ ანტიკური ლიტერატურის ტექსტების იმ მეორეხარისხოვან პერსონაჟებს, რომლებიც სიუჟეტის განვითარების პროცესში არ ჩანან, მაგრამ გარკვეული, ზოგჯერ, საკვანძო ფუნქციაც კი აკისრიათ. უფრო მეტიც, ისინი ეპიზოდურ როლს კი არ ასრულებენ, არამედ მთელი სიუჟეტის მანძილზეც კი ფიგურირებენ. ეს „უჩინრობა“ სულაც არ უშლის ხელს მათ ინდივიდუალიზაციას. ლიტ. 14.

ავტ.

4.6.2.5.12. მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი: პოპულარობის ტერიტორია (XV-XIX საუკუნეები). /ქ. ფუტყარაძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2024. – #1(23). – გვ. 157-164. ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.13>

ახ. წ. პირველ საუკუნეში, მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსმა დაწერა „მქვერმეტყველების სწავლება“, რომელშიც შეცადა ეჩვენებინა ადამიანის იდეალური მოდელი, რომელიც, მისი აზრით, ერთდროულად უნდა ყოფილიყო საუკეთესო ორატორი და პატიოსანი კაცი, ანუ ლათინურად *a vir bonus dicendi peritus*. ეს ნაშრომი უამრავი ინტელექტუალისთვის გადაიქცა შეუცვლელ სახელმძღვანელოდ საუკუნეების განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყანაში. შევეცდებით, წინამდებარე ნაშრომში ვაჩვენოთ მისი ზეგავლენა სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში. ლიტ. 10.

ავტ.

4.6.2.5.13. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და მკვლელობის რეცეფციის თავისებურებები გურამ ბათიაშვილის პიესაში „მოზრუნებული ქართველები“. /ნ. კუტივაძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2024. – #1(23). – გვ. 174-186. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.15>

გურამ ბათიაშვილი სამწერლო ასპარეზზე XX საუკუნის 60-იან წლებში გამოდის, როდესაც მრავალი საგულისხმო ტენდენცია ვითარდება ქართულ ლიტერატურაში და უაღრესად შთამბეჭდავი ტექსტები იქმნება თითქმის ყველა ჟანრში. პუბლიცისტმა, პროზაიკოსმა და დრამატურგმა მის მიერ ასახულ პრობლემათა თუ ქართულ-ებრაული ურთიერთობების მხატვრული ინტერპრეტაციით, გადაწყვეტის ორიგინალურობით, უშუალოდ იმთავითვე მიიქცია ყურადღება. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს როგორც რომანები, ისე დრამატურგიული ნაწარმოებები, გამონაკლისს არ წარმოადგენს არც პიესა „მოზრუნებული ქართველები“,

რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებულ პერიპეტიებს ასახავს. გამორჩეული მოაზროვნის მხატვრული განსახოვნება ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებით საგულისხმო აღმოჩნდა თანამედროვე ქართულ მწერლობაში, რასაც ხელი შეუწყო XX საუკუნის ბოლოს მომხდარმა ისტორიულმა ცვლილებებმა. მართალია, „საუკუნის მკვლელობა“ უკვე საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, მაგრამ არ იცვლება ემოციური დამოკიდებულება ილიას ტრაგიკული აღსასრულის მიმართ. მხატვრული რეპრეზენტირება ხელს უწყობს ილიას მოღვაწეობის სიღრმისეულ გააზრებასა და ჭეშმარიტი ღირებულებების არსში წვდომას, რაც დღესაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამ მუდმივ პროცესში მონაწილეობენ თანამედროვე ქართველი ავტორები, რომელთა შორისაა გურამ ბათიაშვილი. ლიტ. 5.

ავტ.

4.6.2.5.14. კეთილისა და ბოროტის დიქტომია და 1930-იანი წლების რეპრესიები ზაირა არსენიშვილის „კენჭებში“. /ზ. კიკვიძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2024. – #1(23). – გვ. 187-200. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.16>

კომუნისტურმა პარტიამ საზოგადოების გარდაქმნა საბჭოთა ხალხად მიზანმიმართულად დაიწყო სხვადასხვა საშუალებით, რომელთა შორის უმკაცრესი იყო რეპრესიები. მეოცე საუკუნის 30-იანი წლების სისხლიანმა ტერორმა არამარტო ფიზიკურად გაანადგურა, არამედ უდიდესი ფსიქოლოგიური დარტყმა მიაყენა მოაზროვნე პიროვნებებსა და მათ ახლობლებს. რეპრესიების მსხვერპლად იქცნენ ე.წ. „ხალხის მტრები“, „მავნებლები“, რომელთა ოჯახის წევრებიც, გადარჩენის ინსტინქტის გამო, იძულებული გახდნენ კონფორმისტული დამოკიდებულება ჰქონოდათ საბჭოთა სისტემასთან. ზაირა არსენიშვილი მოთხოვნების კრებულში „კენჭები“ თვითმხილველის ტრაგიკული ხედვით მოგვითხრობს ურთულეს დროში კეთილისა და ბოროტის დიქტომიაში ადამიანთა უსასოო ყოფაზე, მედროვეებსა და კეთილშობილებზე. ე.წ. „სტოკპოლმის სინდრომზე“, რის საფუძველზეც ადამიანთა უმრავლესობას დაეკარგა სინამდვილის აღქმის რეალისტური უნარი და მათ წარმოდგენაში ბოროტისა და კეთილის დეფინიციებს ადგილები შეეცვალათ. ლიტ. 8.

ავტ.

4.6.2.5.15. კონცეპტუალური მეტაფორები კრის პრისტლის „შუა ზამთარში“. /ნ. ფერაძე/. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ონლაინჟურნალი „ETAGTSU“. – 2024. – #9. – გვ. 14 – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ.

საბავშვო გოთიკური ლიტერატურა თანამედროვე საბავშვო ლიტერატურაში ერთ-ერთ განვითარებად მიმართულებას წარმოადგენს. წინამდებარე სტატიის ფოკუსი ერთ-ერთი საბავშვო გოთიკური ნაწარმოები „შუა ზამთარშია“, რომელიც გამოკვლეულია კოგნიტური მეტაფორის თეორიის მიხედვით. კვლევის მიზანია აღმოაჩინოს შემოქმედებითი და კონვენციური ლინგვისტური გამონათქვამები და მათი შესაბამისი კონცეპტუალური მეტაფორები. შერჩეული ლინგვისტური გამონათქვამები დაჯგუფდა რამდენიმე კატეგორიად მათი რელევანტურობის მიხედვით, კერძოდ, გამოიყო მოქმედების ადგილთან, ბუნებრივ მოვლენებთან, კულტურასთან, პერსონაჟებთან, ემოციებსა და მდგომარეობებთან დაკავშირებული მეტაფორები. კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოვიყენოთ ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა დარგში, მათ შორის, ლინგვისტური სტილისტიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, ლიტერატურის თეორია და ა.შ. ლიტ. 24.

ავტ.

6.2.6. ენათმეცნიერება

4.6.2.6.1. ფრაზეოლოგიური ერთეულები როგორც ლექსიკური ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი.

/თ. ალფაიძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2024. – #31. – გვ. 9-14. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომი ეხება ფრაზეოლოგიური ელემენტების მიმოხილვას და მათ როლს სწავლა/სწავლების პროცესში. მიმოხილულია ბევრი საინტერესო მაგალითი, რაც ნათელს ხდის მათი მნიშვნელობის შესწავლის აუცილებელ ასპექტებს. კოგნიტურმა ლინგვისტიკამ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა აღქმის კუთხით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. იგი ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, როგორც ერთგვარი მიმდინარეობა ენის იმანენტუზმის გადალახვის პროცესში. კოგნიტური პარადიგმა იკვლევს და განიხილავს ენას არა როგორც იზოლირებულად არსებულ მოცემულობას, არამედ როგორც კოგნიციის ინტეგრალურ ნაწილს. ფრაზეოლოგიური ერთეულები არის მყარი შესიტყვებები, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს ამა თუ იმ კულტურისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, მის ადათ-წესებს, მსოფლხედვას, ტრადიციებს, რწმენას და ა.შ. ენის შესწავლის პროცესი წარმოუდგენელია, და დაუშვებელიც კი ფრაზეოლოგიური ერთეულების გვერდის ავლით. მათი შესწავლით შესაძლებელია კონკრეტული კულტურის უკეთ შესწავლა და აღქმა. ამას გარდა, ფრაზეოლოგიური ერთეულები მნიშვნელოვნად ზრდიან ენის ლექსიკურ ფონდს და მას უფრო მრავალფეროვანსა და შთამბეჭდავს ხდის. ენისა და კულტურის მჭიდრო ურთერთდამოკიდებულება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ენის ლექსიკურ მარაგზე. არა მხოლოდ კულტურაზე დაკვირვება გვეხმარება ენის შესწავლა/აღქმაში, არამედ ენაც გვეხმარება ზოგიერთი კულტურული ფენომენის ახსნაშიც. ფრაზეოლოგია ჩამოყალიბდა ლექსიკოლოგიის ფარგლებში და ამჟამად იგი დამოუკიდებელ დისციპლინადაა დამკვიდრებული. ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოქმნილია თავისუფალი სიტყვაშეთანხმებებისგან და სტრუქტურულად მათ ეთანხმებიან. შინაგანი ფორმა არის ფრაზეოლოგიური ერთეულის მოტივირებული მნიშვნელობა. თუმცა თანამედროვე ენაში შინაგანი ფორმა შეიძლება იყოს არამოტივირებულიც. ფრაზეოლოგიური ერთეულები თავიანთი შინაგანი ბუნებით მნიშვნელოვან მსგავსებას ამჟღავნებენ სიტყვებთან: ისინი იწარმოებიან საუბარში და გააჩნიათ მთელი კონსტრუქციისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობა, შეესაბამებიან ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს, ასრულებენ წინადადების წევრის ფუნქციას და აღენიშნებათ სტილისტური მარკირება. ლიტ. 4.

ავტ.

4.6.2.6.2. თანამედროვე ფრანგული სასაუბრო ენის თავისებურებანი. /ც. ახვლედიანი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2024. – #31. – გვ. 15-18. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ენა მოძრავი სისტემაა, რომელიც მუდამ განიცდის ცვლილებებს: ზოგიერთი სიტყვა აღარ იხმარება და ჩნდება ახალი სიტყვები, პოლიტიკური და საერთაშორისო მოვლენები პროვოცირებენ ახალ აქტუალურ სიტყვათა შექმნას, რომლებიც უკავშირდებიან ამ მოვლენებს. ფრანგული ენაც ემორჩილება ამ წესებს. ყველაზე მეტად შესამჩნევი ცვლილებები ხდება ენის ყველაზე „მოძრავ“ ნაწილში, ანუ სასაუბრო ენაში. სიტყვა, რომელიც არსებობდა მხოლოდ ზეპირმეტყველებაში და არგოტიზმებს მიეკუთვნებოდა, გადადის სასაუბრო ენიდან საყოველთაო ხმარებაში, აისახება ლექსიკონში და ითვლება ნორმატიულად. ენის ამ სფეროში ყველაზე მეტად გავრცელებული მოვლენაა ნასესხობები, განსაკუთრებით ინგლისური ენიდან. ინგლისური ენის გავლენა ფრანგულ ლექსიკაზე დაიწყო XVII საუკუნეში და უმაღლეს მასშტაბებს მიაღწია XVIII - XIX საუკუნეებში. თანამედროვე ფრანგულ ენაში უზვადაა სლენგური გამონათქვამები. სლენგი არის ფამილარული ენა, რომელიც შეიცავს არგოტიკული

წარმოშობის სიტყვებს, რომლებიც დამკვიდრდნენ საერთო ხმარების ენაში. ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალა ადასტურებს, რომ აუცილებელია ვფლობდეთ ფრანგული ენის არა მხოლოდ ნეიტრალურ ლექსიკას და გრამატიკული წესების ცოდნას, არამედ უნდა ვიცოდეთ სასაუბრო ენის ასპექტებიც, რათა გავუგოთ ჩვენს თანამოსაუბრეს, ვუყუროთ ფილმებს და წავიკითხოთ წიგნები ორიგინალში. სლენგის ცოდნა მოგვცემს ამის საშუალებას. სასაუბრო ენის ელემენტების გამოყენება ითვლება „ნატურალურად“ და განსაკუთრებით აქტუალურია ახალგაზრდებთან ურთიერთობისას, რადგან მათ არ იზიდავთ „კლასიკური“ ენა. ლიტ. 2.

ავტ.

4.6.2.6.3. ანტითეზა როგორც სტილისტური მარკერი პოლიტიკურ დისკურსში. /ნ. თავიდაშვილი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2024. – #31. – გვ. 23-30. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში განხილულია ანტითეზი, როგორც პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტილისტური მარკერის, ანალიზი ინგლისური და ქართულენოვანი დომინანტური (საპრეზიდენტო) დისკურსის მასალაზე დაყრდნობით. კვლევის პროცესში მივმართეთ ტექსტის პრაგმატიკული ინტერპრეტაციის, აღწერით და შეპირისპირებით მეთოდებს, რამაც მოგვცა ანტითეზებით გამოხატული ადრესანტის კომუნიკაციური ინტენციის განსაზღვრის, ანტითეზების ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთის და შესაბამის ინგლისურ და ქართულ ანტითეზებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების დადგენის შესაძლებლობა. საკვლევ კორპუსად შერჩეულია მასალა XXI საუკუნის ინგლისური და ქართულენოვანი საპრეზიდენტო დისკურსიდან. ანტითეზა წარმოადგენს სტილისტურ მარკერს, რომელიც ეფუძნება ურთიერთშედარებითი კონცეპტების კონტრასტს. ანტითეზა შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ორი სიტყვით, ან სიტყვათა ორი ჯგუფით, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებს რეგულარული, ან კონტექსტუალური ანტონიმია. პოლიტიკური დისკურსის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მრავალმხრივ კონტექსტუალურ ფაქტორებზე. დისკურსის გააზრებისას საკომუნიკაციო აქტის მონაწილეებს შორის მყარდება კომპლექსური ინტერტექსტუალური, ინტერდისკურსული, სოციალური და ინტერკულტურული კავშირები, რაც საფუძვლად უდევს დისკურსის მრავალფეროვან ინტერპრეტაციებს. პოლიტიკური დისკურსის და მისი შესაძლებლობების მიმართ არსებული მზარდი ინტერესის მიუხედავად, მოცემულ ეტაპზე ანტითეზა, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არგუმენტაციური სტრატეგია, სიღრმისეულად ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული. პოლიტიკური ანტითეზა ეყრდნობა სხვადასხვა სახის ბინარულ ოპოზიციას, რომელიც წარმოადგენს აუდიტორიაზე გავლენის მოხდენის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს პოლიტიკურ დისკურსში. ანტითეზა აგებულია რეგულარული, ან კონტექსტუალური ანტონიმებით და სხვადასხვა სახის კოპეზიური საშუალებებით. საკვლევ კორპუსში, ასევე, გვხვდება მეტაფორის გამოყენების არაერთი მაგალითი. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად აძლიერებს ანტითეზის ექსპრესიულობას. ამრიგად, სახეზეა გამოხატვის განსხვავებული საშუალებების ორგანული სინთეზი, რაც მძლავრ პერსუაზიულ ეფექტს ქმნის და ანტითეზას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტილისტურ მარკერად აქცევს. ლიტ. 12.

ავტ.

4.6.2.6.4. სემანტიკურ-სტრუქტურული ერთეულების კოგნიტური ეფექტი პოლიტიკურ დისკურსში. /ე. თოფურია/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2024. – #31. – გვ. 31-34. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სტატია „ფუნქციურ-სისტემური ელემენტები პოლიტიკოსთა მეტყველებაში“ გამოხატავს უახლეს ნამუშევარს, რომელიც ეხება პოლიტიკოსების გამოსვლების კვლევას პოლიტიკური გამოსვლების სტრატეგიულ-მიზნობრივი შინაარსის სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზის საფუძველზე. სტატია იკვლევს იულიუს კეისრის პოლიტიკურ ტაქტიკათა გამომხატველ სამეტყველო-სისტემურ ერთეულებს. კერძოდ, ნათესაობითი ბრუნვის, საპინის, მიზნისა და მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებს, როგორც სტრატეგი პოლიტიკოსის ჩანაფიქრის გადმოცემის სტრუქტურულ ერთეულებს. სტატიაში მოცემულია თეორიულ-ისტორიული საკვლევი ემპირიული ბაზა და გაანალიზებულია დამამტკიცებელი მაგალითები. აღნიშნული გრამატიკული ერთეულების კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა იულიუს კეისრის, როგორც დიდი სტრატეგის, მეომრის, პატრიოტის და შემწყნარებლის, ისე სერიოზული გრამატიკოსისა და ნარატივის სპეციალისტის საჯარო გამოსვლების განსაკუთრებულობა. თითოეული ფრაზა სტრატეგიული გამარჯვების მოპოვებისათვის, თავდაცვისა ან თავდასხმისათვის იყო გრამატიკულად სწორად აგებული. ენობრივი ლაკუნები კი ზუსტად მიაწინებდნენ მხედართმთავრის სამხედრო ჩანაფიქრს. ლიტ. 4.

ავტ.

4.6.2.6.5. სიტყვა „გულის“ შემცველ სომატურ-იდიომატურ ფრაზეოლოგიზმთა ზოგიერთი ლექსიკურ-სტილისტური თავისებურება ქართულში. /მ. კაკაურიძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2024. – #31. – გვ. 35-46. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

იდიომატური ფრაზეოლოგიზმები ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. იგი ზრდის მხატვრულ-ესთეტიკური ზემოქმედების ძალას და სიცოცხლისუნარიანობას მატებს ენას. მათში მკვეთრად ჩანს ადამიანთა ფანტაზია, ემოცია, კულტურა, სულიერება, სამყაროს ორიგინალური ხედვა და აღქმა. ყოველივე ამის გამო ისინი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენენ ენაში. ჩვენი ინტერესის საგანია სომატიზმების შემცველი გრძნობა-ემოციების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა შორის განსაკუთრებით პროდუქტიულია „გულ“ ფუძის შემცველი იდიომატური ფრაზეოლოგიზმები. მათ გამაერთიანებელ, საერთო ნიშანთან ერთად ერთმანეთისაგან არაერთი განმასხვავებელი თავისებურება აღმოაჩნდათ: ამ ჯგუფში შემავალ იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებს შეიძლება უკავშირდებოდეს ერთმანეთის საპირისპირო კონოტაციის გამოხატვა. მათი ერთი წყება როგორც ფორმობრივად, ასევე შინაარსობრივად უცვლელად არსებობს საუკუნეთა განმავლობაში, ნაწილი კი აზრობრივად გაუფერულდა და საერთოდ აღარ იხმარება. „გულ“ ფუძის შემცველმა ზოგიერთმა ფრაზეოლოგიზმმა ხშირად ხმარების გამო უწინდელი ექსპრესიულობა დაკარგა. მრავალფეროვან სურათს გვაძლევს აღნიშნული ჯგუფის ფრაზეოლოგიზმები იმ თვალსაზრისით, რომ ზოგიერთ მათგანში ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულებია შემონახული, ზოგიერთში უცხოური წარმომავლობის სიტყვებს ვხვდებით, ზოგი კი ასემანტიკურ ლექსემებს შეიცავს. ამავე ჯგუფის. ფრაზეოლოგიზმებში განსხვავებული ლიტერატურულ-მხატვრული ხერხებია გამოყენებული. მაგალითად: ჰიპერბოლიზაცია, გრადაცია, ტავტოლოგია, ოქსიმორონი, რაც, შესაბამისად, სხვადასხვა ლიტერატურულ რემინისცენციას იწვევს, ზოგიერთ მათგანში კი რელიგიურ ტერმინთა გამოყენება თუ მეტაფორული ხატოვანება ხდება მათი გამომსახველობითი გამძაფრების განმაპირობებელი. ენის ბუნებას, გარკვეულწილად, ერის მსოფლადქმა განსაზღვრავს. იდიომები და ფრაზეოლოგიზმები კი ადამიანთა მიერ აღქმულ სამყაროს აღწერს ხატოვნად, ამიტომაც მათში აღბეჭდილია ჩვენი ენის შინაგანი სიმდიდრე და შთამბეჭდავად გამოვლენილი მისი შესაძლებლობები. მათი მონაწილეობით ხდება მეტყველება კიდევ უფრო

საინტერესო, ტევადი და დახვეწილი. ვფიქრობთ, რომ სომატურ ფრაზეოლოგიზმთა შემდგომი კვლევა კიდევ მეტ თავისებურებას გამოავლენს. ლიტ. 8.

ავტ.

4.6.2.6.6. ენა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი. /ს. ლაღამე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2024. – #31. – გვ. 47-52. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

წარმატებული კომუნიკაციის დამყარების უმთავრესი საშუალებაა ენა. მისი სწორად ათვისება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის განვითარების პროცესში. ენა განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც მხოლოდ ადამიანებისათვისაა დამახასიათებელი. მისი უმთავრესი ფუნქციაა კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური გზით ხელშეწყობა. ადამიანი, სოციალური არსებაა. შესაბამისად, სოციალური კომუნიკაციის დამყარება ადამიანის ერთერთ საბაზისო მოთხოვნილებაა. წარმატებული კომუნიკაციის დამყარების უმთავრესი იარაღი კი ენაა. ენა არის იდეების გამოხატვა, სამეტყველო ბგერებით წარმოთქმული სიტყვების საშუალებით. სიტყვები ერთიანდებიან წინადადებებში. სწორედ, ამ წინადადებებით გარდაიქმნება იდეები ფიქრებად და შემდეგ გამოიხატება. ენა არის სოციალური ფენომენი, რომელიც წარმოადგენს წესებისა და ნორმების ერთობლიობას, რომელთა გამოყენებითაც დგება სიტყვები და წინადადებები. ენა არის სიმბოლოთა სისტემა, ხოლო მეტყველება ამ სისტემის რეალიზება. მეტყველება ურთიერთობის პროცესია, ხოლო ენა საშუალება. კომუნიკაციის პროცესში, ვერბალური კომუნიკაციის პარალელურად არანაკლებ მნიშვნელოვანია პარალინგვისტური ნიშნების ამოცნობა, როგორიცაა სახის გამომეტყველება, ქესტიკულაცია, სხეულის პოზა, დისტანცია მოსაუბრესა და მსმენელს შორის, ინტონაცია, ხმის ტონი და ა.შ. პარალინგვისტური ნიშნები მსმენელს ინფორმაციის უკეთ გაგებაში ეხმარება და მოიხსენიება, როგორც არავერბალური კომუნიკაციის მახასიათებლები. კომუნიკაციის პროცესი ყოველთვის სოციალურია, რადგან მოსაუბრის გარდა, აუცილებლად მსმენელს მოიცავს და ხორციელდება როგორც ვერბალურად, ასევე, არავერბალურად. ინტერნეტის დამკვირვებამ კიდევ უფრო დააჩქარა ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე. თანამედროვე ტექნოლოგიები საზღვრებს შლის, როგორც საზოგადოების შიგნით არსებულ ცალკეულ ფენებს შორის, ასევე, ქვეყნებს შორისაც. ადრე ადამიანები სხვადასხვა საშუალებით ცდილობდნენ სხვებისათვის ხმა მიეწვდინათ და გარკვეული ინფორმაცია მიეწოდებინათ. დღეს, შეიცვალა ამ ინფორმაციის მიწოდების საშუალებები, თუმცა მიზანი უცვლელია, ინფორმაციის გადაცემა ნებისმიერ დროსა და სივრცეში. მასობრივი კომუნიკაცია ეს არის პროცესი, როცა პროფესიონალი კომუნიკატორები ქმნიან და იყენებენ მედიას გზავნილების სწრაფად, უწყვეტ და მასშტაბურად გავრცელებისათვის, რათა დიდ აუდიტორიებში აღძრან ნაგულისხმევი მნიშვნელობები მათზე სხვადასხვა სახით ზემოქმედების მიზნით. ლიტ. 5.

ავტ.

4.6.2.6.7. -დ ფორმატიან ფორმათა სინტაქსური ფუნქცია და ფორმალური შეთანხმების საკითხი (K14 ხელნაწერის საფუძველზე). /დ. იობიძე/. ჟურნალი სპეკალი. – 2023. – #17. – ქართ., ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.55804/jtsuSPEKALI-17-16>

ძველ ქართულში სახელს მოთხრობით, მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში - თ სუფიქსიანი მრავლობითის საერთო ფორმა აქვს. ზოგჯერ თანიანი მრავლობითის ფორმა გამოიყენება მოქმედებითისა და ვითარებითის ფუნქციითაც. ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე - თა სუფიქსიანი სახელები ფორმდება - დ(ა) მარკერით. შედეგად, ვიღებთ ასეთ ფორმებს: გონიერ-

თადა, საუნჯეთად, სხეულთად... სტატიაში განხილულია მსგავსი, R-თა-დ(ა), სტრუქტურის ფორმები და მოცემულია მათი წარმოქმნის მიზეზების დადგენის ცდა. ლიტ. 18.

ავტ.

4.6.2.6.8. ზმნური მართვის უნარის მქონე მიმღეობიანი შესიტყვება გელათური ხელნაწერის (K14) მიხედვით. /დ. იობიძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 84-87. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

ძველი ქართული ენის ძეგლების მიხედვით, ინფინიტიურ და მიმღეობურ ფორმებს აქვს ზმნური შესიტყვების შექმნის უნარი. ასეთი კონსტრუქციები მიუთითებს ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე, კერძოდ, როდესაც სახელზმნური ერთეულები აქტანტებს იკავშირებდნენ სათანადო ზმნური ფორმების მსგავსად. ისტორიული გრამატიკის თვალსაზრისით, საინტერესოა მიმღეობური ფორმების მიერ შექმნილი შესიტყვების ანალიზი. ძველი ქართული ენის ნიმუშები ცხადყოფს, რომ მიმღეობა ქმნის სპეციფიკურ სინტაგმას, კერძოდ, როგორც მოსალოდნელია ზმნური შესიტყვების შემთხვევაში. XII საუკუნის გელათური ხელნაწერის (K14) მასალის საფუძველზე სტატიაში განხილულია ისეთი ენობრივი ფაქტები, რომლებშიც მიმღეობური ფორმები ქმნიან ზმნური შესიტყვების კონსტრუქციას და სახელს იმავე ბრუნვაში შეიწყობენ, როგორც მოსალოდნელია სათანადო ზმნის შემთხვევაში. ასეთ შესიტყვებებში მიმღეობური ფორმები ნათესაობითბრუნვიანი უბრალო დამატების ნაცვლად, შეიწყობენ მიცემითბრუნვიან აქტანტს და ქმნიან სახელთან ზმნური შეხამების მოდელს. ლიტ. 4.

ავტ.

4.6.2.6.9. ბიბლიური აბრაამისა და სარას საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემა - ტრანსლიტერაციის საკითხები. /ლ. ციხელაშვილი, ე. ნავროზაშვილი/. ჟურნალი სპეკალი. – 2023. – #17. – ქართ., ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.55804/jtsuSPEKALI-17-21>

შესაქმის წიგნში უფალი აღთქმას აძლევს აბრამს, რომ გახდება მრავალრიცხოვანი შთამომავლობის მამამთავარი და უდიდესი მისიით აღჭურვის ნიშნად სახელს უცვლის მასაც და მის მეუღლესაც – სარასაც [შეს. 17:5, 15]. სტატიის მიზანს წარმოადგენს, ვაჩვენოთ, რა ფორმით (ბერძნული თუ არაბერძნული, აღმოსავლური ლიტერატურულ-ტექსტობრივი ტრადიციის გათვალისწინებით) გადმოჰქონდათ ძველ მთარგმნელ-რედაქტორებს ქართულად აბრაამისა და სარას ორიგინალური და მოდიფიცირებული სახელები. საკითხი შესწავლილია ყველა სავარაუდებელ უცხოენოვან წყაროსთან მიმართების გათვალისწინებით. მოცულობიდან გამომდინარე, სტატია იბეჭდება ორ ნაწილად: პირველ ნაწილში განხილულია აღნიშნულ საკუთარ სახელთა ტრანსლიტერაციის საკითხი ძველი აღთქმის წიგნებში, ხოლო მეორეში – ახალ აღთქმაში, ლექციონარებში, ასევე, ძველი და საშუალო ქართულის სხვა წერილობით ძეგლებსა და ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანებში. ლიტ. 36.

ავტ.

4.6.2.6.10. სინტაქსური ასიმილაციის შემთხვევები გურამ დოჩანაშვილის რომანში „ლოდი ნასაყდრალი“. /მ. კობერიძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 98-105. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

გაანალიზებულია სინტაქსური ასიმილაციის შემთხვევები გურამ დოჩანაშვილის რომანში „ლოდი ნასაყდრალი“. მწერალი სიტყვათა კლასის შესაცვლელად იყენებს: 1. ლექსიკურ ტრანსფორმაციას (სიტყვაწარმოებას); 2. წინადადების ლოგიკურ-გრამატიკული ფუნქციის შეცვლას (სინტაქსურ ასიმილაციას). სინტაქსური ასიმილაციის (შესიტყვების შეკუმშვის,

ანალოგიის, სინონიმის) შედეგად სიტყვებში გარკვეული ცვლილებები ხდება. თავისი ლექსიკურ-მორფოლოგიური კლასიდან გამოსული სიტყვა კარგავს სინტაქსურ ურთიერთობას, რის შედეგადაც უსუსტდება იმ მორფემათა როლი, რომლებსაც აღარა აქვთ მნიშვნელობა ახალ ვითარებაში დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ ამასთან ერთად მას შეუძლია, შეინახოს ის თავისებურებანი, რომელნიც ხელს არ უშლიან ახალ კონსტრუქციულ ვითარებას. ამ უკანასკნელს წინადადების სტრუქტურულ თავისებურებათა დასადგენად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. გურამ დოჩანაშვილი მოვლენების ან ფაქტების დასახასიათებლად იყენებს სინტაქსურ ასიმილაციას. ანალოგიისა და სინონიმის საფუძველზე სიტყვათა კლასი იცვლის გრამატიკულ როლს. საინტერესოა, ისტორიულ პირებთან ან მოვლენებთან გავლებულია პარალელები. აღსანიშნავია არსებითი სახელის გაზედსართება, ზედსართავი სახელის, რიცხვითი სახელის, ნაცვალსახელის გაარსებითება, ზმნის გადასვლა კოორდინაციული რიგიდან სუბორდინაციულ რიგში, ზმნიზედის გადასვლა ზედსართავ სახელსა და თანდებულში. მწერალი ხშირად იყენებს მოქმედებითი ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილ ლექსიკურ ერთეულებს (იძულებითი, დამატებითი, სმენითი, გასვლითი...), როგორც სინტაქსური ასიმილაციის წყაროს, სადაც ბრუნვის ნიშანი დერივატის ფუნქციას ასრულებს. სიტყვათა კლასის ამგვარი შენაცვლება უნდა განვასხვავოთ ომონიმური პარალელისაგან, რადგანაც აქ უკვე არა მარტო ასიმილაცია გვაქვს, არამედ სტაბილურად შენაცვლება; სიტყვები უკვე „მორფემებად“ (ნაწილობრივ სიტყვებად) არიან ქცეულნი და ვეღარ უბრუნდებიან თავიანთ პირვანდელ მნიშვნელობას. ამ მხრივ, ყოველი ანალიზური სიტყვა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სრული და ნაწილობრივი სიტყვათა შეერთება. სიტყვათა კლასის შენაცვლებისას სხვადასხვა ტიპის სიტყვების სუბორდინაციულ თუ კოორდინაციულ ელემენტებად გადაქცევას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან თავისთავადი სიტყვები (მეტყველების ნაწილები) ქმნიან ურთიერთს შორის მიმართებას, ე.ი. გრამატიკული (სინტაქსური) დონის ერთეულებად გვევლინებიან, ხოლო დამხმარე ამ მიმართების დამყარების ერთ-ერთი საშუალებაა. ლიტ. 9.

ავტ.

4.6.2.6.11. გრამატიკალიზებული ჩანს ელემენტი და მასთან დაკავშირებული სირთულეები კორპუსლინგვისტიკაში. /მ. რუხაძე/. ჟურნალი სპეკალი. – 2023. – #17. – ქართ., ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.55804/jtsuSPEKALI-17-17>

განხილულია ცოცხალ ენობრივ სისტემაში მიმდინარე გრამატიკალიზაციის პროცესი, წარმოდგენილია ამ პროცესის განმსაზღვრელი ძირითადი თეორიული დებულებები, აღწერილია გრამატიკალიზებული ჩანს ელემენტის ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები, განხილულია მასთან დაკავშირებული სირთულეები კორპუსლინგვისტიკაში. ლიტ.8.

ავტ.

4.6.2.6.12. ძირითადი პრინციპები ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების სენტიმენტ-ანალიზისათვის. /ე. ქადაგიშვილი/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 240-243. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

სენტიმენტანალიზი არის ბუნებრივი ენის დამუშავების სახე, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას ტექსტის სენტიმენტის (ემოციის) შესახებ - დადებითია იგი (რაღაცის ან ვიღაცის მიმართ), უარყოფითია თუ ნეიტრალური დამოკიდებულების მაჩვენებელია; სტატიაში წარმოდგენილი ყველა მაგალითი არის ქართული ენის პოლიტიკური კორპუსიდან. პოლიტიკური დისკურსი შეიძლება განვმარტოთ, როგორც პოლიტიკური კომუნიკაცია, რომელსაც იყენებენ პოლიტიკო-

სები თავიან საჯარო გამოსვლებში, დაგეგმილ (საინაუგურაციო ტექსტები) თუ დაუგეგმავ მეტყველებაში (სატელევიზიო გადაცემები, დისკუსიებში მონაწილეობა, საპარლამენტო გამოსვლები და ა.შ.). სენტიმენტანალიზის კვლევას აქვს უპირატესად სამი ერთმანეთთან დაკავშირებული და ამავდროულად, ერთმანეთისგან განსხვავებული დონე. ესენია: დოკუმენტის დონე; წინადადების დონე; ასპექტის დონე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე დიდი უპირატესობა სენტიმენტის კვლევის ასპექტის დონეს აქვს. ასევე ვიმსჯელებთ მეტყველების ნაწილების როლზე სენტიმენტის განსაზღვრაში - ამ შემთხვევაში, უპირატესად, შემოვიფარგლებით ზედსართავი და არსებითი სახელებით. ჩვეულებრივ, სემანტიკით ნეიტრალურ არსებით სახელს შესაძლოა დაერთოს დადებითი ან უარყოფითი შინაარსის ზედსართავი სახელი და შესაბამისად, აზრის სენტიმენტიც შეიცვალოს - გახდეს იგი პოზიტიური ან ნეგატიური; თუმცა, შესაძლოა აბსოლუტურად სხვა სურათი გვქონდეს, თუ არსებით სახელსაც გააჩნია საკუთარი სენტიმენტი. სტატიაში ვიმსჯელებთ არსებითი და ზედსართავი სახელების კომბინაციებზე და განვსაზღვრავთ, რა და რა ტიპის კომბინაციები შეიძლება გვქონდეს, აგრეთვე, წარმოვადგენთ ძირითად წესებს, რომელიც ამ კომბინაციების გაანალიზების შედეგად მივიღეთ. კომბინაციებზე დაყრდნობით და კონტექსტების გაანალიზების შედეგად გამოირკვა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი სენტიმენტის განსაზღვრის პროცესში არის არა ცალკეული სიტყვები, არამედ ფრაზები და ხშირ შემთხვევაში, სენტიმენტის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა სახელური ფრაზები (NP), არამედ ზმნური ფრაზები (VP). ლიტ. 15.

ავტ.

4.6.2.6.13. „ჯერ-არს ყოფად“ და „ყოფად არს“ ტიპის აღწერითი წარმოების ურთიერთმიმართებისათვის. /მ. ღამბაშიძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 258-263. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

მოდალობისა და დროის კატეგორიის კავშირი სხვადასხვა ენის მონაცემთა საფუძველზე შენიშნულია არაერთ ლინგვისტურ კვლევაში. ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს, ნათელი მოჰყვინოს მომავალი დროისა და მოდალური სემანტიკის მიმართებას ძველსა და საშუალო ქართულ ენაში მყოფადის გამოხატვის აღწერითი მოდელის მიხედვით. ძველ ქართულ ენაში მომავლის გამოხატველი ე.წ. კატეგორიული მყოფადის ფორმები (ყოფად არს, მისლვად არს...) გულისხმობდა, ერთი მხრივ, მომავალში აუცილებლად მოსახდენ მოქმედებას, ანუ მოქმედების აუცილებლობას (ეპისტემური მოდალობა), მეორე მხრივ, გარკვეული ქმედების შესრულების ვალდებულებას (დეონტური მოდალობა). ლოგიკურად, დეონტური მოდალური სემანტიკის გამოხატველმა ფორმამ შეიძლება განივითაროს ეპისტემური მოდალური შინაარსი, რადგან ორივე სემანტიკა ემყარება დარწმუნებულობას – როგორც მზრძანებელი პირი დარწმუნებულია, რომ მის მიერ მოთხოვნილი ქმედება აუცილებლად შესასრულებელი და საჭიროა, ისე ეპისტემური აუცილებლობის შემთხვევაში მოლაპარაკე პირი დარწმუნებულია ამა თუ იმ ფაქტის ჭეშმარიტებაში. ეპისტემური და დეონტური მოდალური სემანტიკის გამოსახატავად ძველ ქართულ ენაში მყოფადის აღწერითი მოდელის (ყოფად არს) გარდა, გამოიყენებოდა ჯერს-არს მოდალურზმნიანი კონსტრუქცია. აღსანიშნავია, რომ ამ კონსტრუქციაშიც რთულ ზმნასთან ერთად მონაწილეობს ვითარებითში დასმული მასდარი, ისევე, როგორც მყოფადის გამოხატვის აღწერით მოდელში. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებები ყოფად არს და ჯერ-არს ყოფად ტიპის კონსტრუქციების წარმომავლობასთან დაკავშირებით. სტატიაში შესაბამისი მსჯელობისა და მაგალითების საფუძველზე ჩვენ უარყოფთ ყოფად არს ფორმის ჯერ-არს ყოფად კონსტრუქციისაგან მომდინარეობას და წარმოვადგენთ არგუმენტირებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ჯერ-არს ყოფად და ყოფად არს ტიპის

ფორმები ეპისტემური და დეონტური მოდალური სემანტიკის გამომხატველ ორ პარალელურ დამოუკიდებელ ლექსიკურ (ჯერ-არს ყოფად) და გრამატიკულ (ყოფად არს) საშუალებას უნდა წარმოადგენდეს. ლიტ. 20.

ავტ.

4.6.2.6.14. ქართული მასალა თურქული ფონოტაქტიკის კრილში. /მ. ჯიქია/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 300-305. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

თურქული ენების ფონოტაქტიკური სტრატეგიით სიტყვის ბოლო მარცვალში /o/-ს – ფართო ბაგისმიერ ხმოვანს – ვიწრო ბაგისმიერი /u/ ხმოვანი ენაცვლება. დღეს თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქედის ქართული დასახელება თორთომი თურქმა Tortum-ად გარდათქვა; ჭოროხი თურქულად Çoruh-ად დამკვიდრდა. სავარაუდოდ იყო ბათომი (გურულ დიალექტში დღესაც ბათომია), დამკვიდრდა კი თურქული ყაიდით – ბათუმი. თურქული მოდემის ადამიანთათვის გადაულახავი არტიკულაციური მომენტია მარცვლის დასაწყისში ორი ან მეტი თანხმოვნის წარმოთქმა. ოდენ თურქული წარმომავლობის სიტყვები მარცვალს CCV(C) შემადგენლობით არ შეიცავენ. არაეროვნული სიტყვები მარცვლის დასაწყისში ორი ან მეტი თანხმოვნით (რაც უპირატესად ანლაუტს ემთხვევა) „გათურქულებისას“ განიცდიან ფონოლოგიურ დამუშავებას. ე.წ. პროთეზით (მარცვლის დასაწყისში ორ თანხმოვანს წინ დაემატება ხმოვანი) და ეპენტეზით (მარცვლის დასაწყისში ორი თანხმოვანი განიხშება და შუაში ჯდება ხმოვანი). ამით დაიძლევა მარცვლის დასაწყისში თანხმოვანთა თავმოყრა. პროთეზის მოქმედების არეს წარმოვაჩენთ ქართული ტოპონიმური სივრციდან. სპერი – მხარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ამჟამად თურქეთის პროვინცია İspir – ისპირი. პროთეტული ფორმით შეგვხვდა სტეფანწმინდა 1595 წელს შედგენილ ფისკალურ დოკუმენტში, გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში: هانمزناندا /istefänzmnda/. ქართული ტოპონიმი სკარები ოსმალთა დევთერდარის მიერ გადატანილ იქნა ასე : براسكار /iskarb/. ამავე დოკუმენტში ეპენტეტური ხმოვნით გაფორმებული ეროვნული ტოპონიმებია: ბლორდა – /bulurza/, დუგარი – /dugar/, ზრესკი – /zirsk/, თმოგვი – /tumk/, ფრუტი – /purud/, ღრტილა – /yirdla/, წრე – /zire/, წრიოხი – /ziriox/, წყორდა – /zuyurza/, წყრუთი – /zuyurt/ და სხვ. პროთეზის კერძო შემთხვევაში ხმოვანი წინ ემატება /r/-თი დაწყებულ უცხოენოვან სიტყვებს (საკუთრივ თურქული წარმომავლობის სიტყვა /r/-თი არ იწყება): თურქ. Rum – Urum, Rus – Urus, იტალ. roba – თურქ. urba, არაბ. rub' – روبر თურქ. urup, სპ. ruspi – თურქ. orospu და სხვ. თურქულად თარგმნისას „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელებიდან როსტევანი და ფრიდონი „დაექვემდებარნენ“ თურქულის ფონოტაქტიკურ თავისებურებას: Eretevan (ანუ /რ/-ს წინ გაჩნდა ხმოვანი და Feridun – ქართულისეული /ფრი-/ მარცვლის თანხმოვნებში „ჩაჯდა“ /e/ ხმოვანი. პროთეზული ფაქტის მანიფესტაციაა ჩვენი დედაქალაქის სახელი Tiflis - თურქმა ვერ წარმოთქვა /თბი-/ მარცვლის /tb/ კომპლექსი, განახმო იგი და მხოლოდ ვიწრო /i/ ხმოვნის ჩასმის შემდეგ „გაიმართა წელში“. ჩვენებურებზე ისეთი ძლიერია თურქულის გავლენა, რომ მათ მეტყველებაშიც თიბლიზი დადასტურდა. ლიტ. 8.

ავტ.

4.6.2.6.15. კვაზიერგატიული კონსტრუქციები ქართული ენის დიალექტებში. /ც. ბენდელიანი/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 20-33. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

სტატიაში კვაზიერგატიული კონსტრუქციები გაანალიზებულია ქართული ენის დიალექტებში საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული სამეტყველო კოდების მიხედვით, გამოქვეყნებული დიალექტური, ასევე, საკუთარი მასალების საფუძველზე. აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში გავრცელებული ასეთი სახის კონსტრუქციები ამ

დიალექტათვის ადრეული პერიოდებიდანვე დამახასიათებელი არ უნდა ყოფილიყო, ის თანდათან დასავლური დიალექტებიდან არის გავრცელებული. ამ არეალში იზოვება სინტაქსური ანალოგიის კანონის დარღვევის შემთხვევებიც, რომელიც ეხება, ერთი მხრივ, როცა ორშემასმენლიან კონსტრუქციაში გარდამავალი ზმნა ახლოს არ არის და გარდაუვალ ზმნასთან მოთხრობითშია დასმული ქვემდებარე, მეორე მხრივ, ორი შემასმენლიდან ორივე გარდაუვალია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შესაძლოა, იყოს მოდელის გამეორება. მეგრული კონსტრუქციის „კოჩიქ დოღურუ“ ანალოგები გვხვდება დასავლურ დიალექტებში: კაცმა მოკვდა, ცხონდა, დაბერდა. ამ შემთხვევაში სემანტიკა მოძრაობას არ გამოხატავს, არც აქტიური სემანტიკა ამ კონსტრუქციაში ზედაპირულად არ არის. სიკვდილი ან ცხონება, ან დაბერება არ არის ნებელობითი აქტი, მასში სუბიექტის გამომხატველი ზმნის სემანტიკა სულის მოძრაობას/სხეულში მიმდინარე ცვლილებებს უკავშირდება. ამ ტიპის ზმნებს შეიძლება ეწოდოს სულიერგზისტენციალური ტიპის ზმნები. ნაშრომში გათვალისწინებულია სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეტყველო არეალების ვითარება, სადაც გვხვდება კვაზიერგატიული და კვაზინომინატიური კონსტრუქციები, ასევე, -მან მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის პოლიფუნქციობა, მუჰაჯირთა მეტყველებაში კვაზიერგატიულ კონსტრუქციაში მოთხრობითისა და სახელობითი ბრუნვების ფუნქციათა რეინტერპრეტაციის საფუძველზე შექმნილი განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის ფუნქციები. სტატიაში განხილულია კვაზიერგატიული კონსტრუქციის გამოვლენის სტრატეგიკაციული ვარიანტულობა, მისი კლება-მატება მიგრაციების დროს. ლიტ. 30.

ავტ.

4.6.2.6.16. არქაული ლექსიკური ერთეულები მერისის ხეობის მეტყველების მიხედვით. /ც. ბერიძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 34-38. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

აჭარა სამი საუკუნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო ქართულ ენობრივ გარემოს და თურქული ენის გავლენას განიცდიდა, რამაც გარკვეული კვალი დატოვა აჭაურთა მეტყველებაში, თუმცა, საბედნიეროდ, აჭარის მკვიდრებმა სათუთად მოუარეს ქართულ ენას და დღემდე შემოგვინახეს ის ლექსიკური ერთეულები, რომლითაც ჩვენი წინაპრები საუბრობდნენ. საკვლევად ავიღეთ ზემო აჭარის ერთ-ერთი ხეობის – მერისის ცოცხალი მეტყველება. დიალექტური ტექსტები ჩავიწერეთ ხეობის სოფლებში: გუნდაურში, გარეტყეში, ინაშარიძეებში, ნამონასტრევში, სილიბაურსა და სიხალიძეებში. ჩაწერილმა ტექსტებმა ცხადყო, რომ აჭაური მეტყველება მრავალფეროვანია ფონეტიკური თუ გრამატიკული პროცესებით. ხეობის ლინგვისტური პორტრეტისათვის საინტერესოა ლექსიკური მხარეც. მერისის ხეობის მეტყველებაში მრავლად გვხვდება არქაული ქართული გრამატიკული თუ ლექსიკური ფორმები. სიტყვათა ნაწილი იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, ნაწილი კი მეტ-ნაკლებად შეცვლილი სემანტიკით დასტურდება. ისეთი სიტყვებიც გამოვლინდა, რომლებიც სხვა ხეობაში არ გვხვდება. წარმოდგენილ სტატიაში გაანალიზებულია მერისის ხეობაში დადასტურებული არქაული ლექსიკური ერთეულები როგორც ფორმოზოგიური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. ლიტ. 11.

ავტ.

4.6.2.6.17. ახალი ანზანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის ეგიდით განხორციელებული ენობრივი პოლიტიკა 20-30-იანი წლების აფხაზეთში. /თ. გვანცელაძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 47-54. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან 1940 წლამდეც და შემდეგაც ენობრივ პოლიტიკას გეგმავდნენ და მკაცრად აკონტროლებდნენ საბჭოთა კავშირის

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მისი სტრუქტურები (განყოფილებები, საორგანიზაციო ბიურო და პოლიტბიურო), მაგრამ ამ მიმართულებით ყოველდღიური საქმიანობის შესასრულებლად 1925 წლიდან ამოქმედდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ეროვნებათა საბჭოსთან არსებული ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტი (შემოკლებით: აასცკ), რომელსაც თავისი ფილიალები ჰქონდა ყველა რესპუბლიკაში, ავტონომიებსა და მსხვილ ოლქებში. ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის ფილიალები არსებობდა საქართველოს სსრ-შიც: თბილისში მოქმედებდა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ-ს ახალი ანბანის კომიტეტები, ხოლო თითო კომიტეტი მუშაობდა სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში. ყველა ამ კომიტეტთან მოსკოვის კომიტეტს უშუალო კონტაქტი ჰქონდა. საქართველოს ეროვნულ არქივში, საქართველოს შსს-ს არქივსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში ინახება მრავალი დოკუმენტი, რომლებშიც ნაჩვენებია, რომ აასცკ პრაქტიკულად წარმართავდა ენობრივ პოლიტიკას აფხაზეთში: გეგმავდა და აფინანსებდა კონკრეტულ სამუშაოებს წვრილმანების ჩათვლით, მუდმივად აკონტროლებდა ავტონომიაში მიმდინარე ენობრივ პროცესებს, განსაკუთრებით ზრუნავდა ავტონომიის სატიტულო ხალხის ენის - აფხაზურის განვითარებასა და ფუნქციონირების სფეროთა გაზრდაზე, მკაცრად აფასებდა შეცდომებსა და გადახვევებს საბჭოთა ენობრივი პოლიტიკიდან. წინამდებარე ნაშრომში საარქივო მასალებზე დაყრდნობით წარმოდგენილია აასცკ-ის მიერ კონტროლირებული შემდეგი პროექტები: • 1925 წელს აფხაზური სამწიგნობრო ენისათვის შეიქმნა და 1926 წელს დაკანონდა ნ. მარის [N. Marr] ანალიზური დამწერლობა, რომელიც ემყარებოდა უპირატესად ლათინურ ასოებს, თუმცა მასში შერეული იყო ბერძნული ასოებიც. ეს დამწერლობა მეტად რთული იყო მოსწავლეებისათვის; • ნ. მარის დამწერლობა 1928 წელს შეცვალა ნ. იაკოვლევისა და ე. პოლივანოვის, ს. ჭანბასა და მ. ჰაშბას მიერ შედგენილმა ლათინიზებულმა დამწერლობამ; • იაკოვლევის ჯგუფის მიერ შექმნილი ლათინიზებული ანბანიც რთული და წინააღმდეგობრივი იყო, ამიტომ დაკანონებისთანავე დაიწყო მისი დახვეწა და ასო-ნიშანთა რაოდენობის შემცირება, რაშიც აფხაზ კოლეგებს კონსულტაციას უწევდნენ ქართველი და რუსი კოლეგები, აგრეთვე აასცკ-ს ექსპერტები და სპეციალისტები; • 1937 წლის მაისში კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის XV კონფერენციაზე გადაწყდა აფხაზური სალიტერატურო ენის გადაყვანა ქართულ დამწერლობაზე და დაიწყო აფხაზი და ქართველი ენათმეცნიერების მიერ სათანადო პროექტების შედგენა, პრესაში განთავსება და დისკუსიები; • 1937 წლის 4-5 დეკემბერს სოხუმში გამართულ საგანგებო თათბირზე დამტკიცდა ქართული დამწერლობის საფუძველზე შექმნილი დამწერლობა, რომლის ავტორები იყვნენ დიმიტრი გულია, სიმონ ჯანაშია და აკაკი შანიძე. თათბირში აფხაზ და ქართველ სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობდნენ აასცკ-ს დელეგაცია პროფ. ალექსანდრ გრენის მეთაურობით; • მომდევნო ეტაპზე ქართულ გრაფიკაზე აგებული დამწერლობის დანერგვის სამუშაოებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სოხუმელი, თბილისელი, მოსკოველი და ლენინგრადელი სპეციალისტები (ენათმეცნიერები, ფსიქოლოგები, გრაფიკოსები, პოლიგრაფისტები...), ასევე დასახელებული ქალაქების 20-მდე დაწესებულება; • აასცკ-მა შეიმუშავა სტამბის ლინოტიპებისა და ხელით საბეჭდი მანქანების კლავიატურაზე აფხაზურ ასოთა განლაგების სქემა, მათი განაწილება მარჯვენა და მარცხენა ხელის მოქმედების არეალებში; • აასცკ ადგენდა ლიმიტებს ლენინგრადის მაქს გელცის ქარხანაში აფხაზური ლინოტიპებისა და ყაზანის საბეჭდი მანქანების ქარხანაში აფხაზური საბეჭდი მანქანების დამზადებისა და აფხაზეთის დაწესებულებებისათვის მიყიდვის შესახებ. მისი ნებართვის გარეშე ამ ქარხნებს უფლება არ ჰქონდათ ვინმესთვის დაემზადებინათ და მიეწოდებინათ თავიანთი პროდუქცია; • აასცკ აფინანსებდა აფხაზ მეცნიერთა ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ ექსპედიციებს, ჩაწერილი ფოლკლორული და დიალექტური მასალის

გამოცემას, ნ. იაკოვლევის „აფხაზური ენის გრამატიკის“, ა. გენკოს „აფხაზურ-რუსული ლექსიკონის“, აფხაზური ზღაპრების კრებულის გამოცემას დედნის ენასა და რუსულ ენაზე; • ასევე ასევე ადგენდა აფხაზური ტერმინოლოგიური ლექსიკონის, ორთოგრაფიული ლექსიკონის, ორენოვანი (აფხაზურ-რუსული და აფხაზურ-ქართული) ლექსიკონების, მარქსიზმ-ლენინიზმის „კლასიკოსთა“ თხზულებების აფხაზურად თარგმნის გეგმებს, გამოყოფდა სათანადო თანხებს; • ასევე აფხაზეთის ახალი ანბანის კომიტეტისაგან სისტემატურად მოითხოვდა, განიხილავდა და ამტკიცებდა საფინანსო და სამუშაო ანგარიშებს, ამტკიცებდა ახალ სამუშაო გეგმებს და ა.შ. ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და დეტალური კონტროლის ამგვარი ცენტრალიზებული მართვის სისტემა სრულიად გამორიცხავს სეპარატისტთა და მათ მხარდამჭერთა იმ მოსაზრებას, თითქოს 1938 წლიდან აფხაზური ენისათვის შექმნილი ქართული გრაფიკა დანერგილ იქნა აფხაზთა ნების გარეშე, მათი გაქართველების მიზნით. მთავარი აქ ისაა, რომ ამგვარ საკითხთა გადაწყვეტის ტოტალური სისტემა თვითნებობას გამორიცხავდა. ლიტ. 6.

ავტ.

4.6.2.6.18. -ზე/-ში თანდებულებიანი ფორმები ქართული ენის ტაოურ დიალექტში. /მ. თედორაძე, თ. მაჭავარიანი/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 93-100. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია -ზე და -ში თანდებულების ფორმოზრები ტრანსფორმაცია: -ზე < ზედა, -ში < შიდა. ცვლილება დასტურდება არა მხოლოდ სალიტერატურო ენაში, არამედ დიალექტების დონეზეც. რიგ კილოებში, მათ შორის ტაოურშიც, -ში, -ზე თანდებულები წარმოდგენილია როგორც ამოსავალი ფორმით, ასევე ფონეტიკური ვარიანტებით. სტატიაში განხილულია -ზე და -ში თანდებულების რეალიზების შემთხვევები, ფონეტიკური ვარიანტები, სემანტიკური ნიუანსები ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა კილოებთან მიმართებით. საანალიზოდ ავიღეთ აწსუ-ს პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაცული მასალა, რომელიც ჩაწერილია 2011-2022 წლებში ტაოს სოფლებში მოწყობილი ექსპედიციების პერიოდში; აგრეთვე გამოქვეყნებული ტაოური ტექსტები (ფუტკარაძე 1993; ფაღვა... 2020). ტაოურში -ზე თანდებული გვხვდება -ზე, -ზესაც, -ზედა, -ზედან ნაირსახეობებით. გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით; გამოხატავს: ა) საგნის ადგილმდებარეობას, ბ) დროს, გ) შედარებითი, უფროობით ხარისხს. ცალკეულ შემთხვევებში -ზე იხმარება -ში და -თვის თანდებულების ნაცვლად: -ში დასტურდება შემდეგი ვარიანტებით: -ში, -ჩი, -შისაც, -შიგან, -შიგა. გამოხატავს: ა) შიგნით მყოფობას, ბ) დროს. -ში თანდებული გვხვდება -თან, -ზე თანდებულების ფუნქციითაც. ტაოელ ქართველთა მეტყველებაში თანდებულის პოზიციები, სემანტიკური ნიუანსები, ფონეტიკური ვარიანტები ზოგადად ქართული სამწიგნობრო ენისა და დიალექტების მსგავსია. ამავე დროს დაცულია არქაული წარმოების ნიმუშებიც. გამოვლინდა საკუთრივ ტაოელ ქართველთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმებიც, რაც დიალექტის შინაგანი განვითარებით შესაძლოა აიხსნას. ლიტ. 12.

ავტ.

4.6.2.6.19. ენობრივი ეთიკის გამოხატვის საკითხისათვის ფერეიდნულ დიალექტში. /თ. ნინიძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 150-155. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

ერთიანი ქართველური სამყაროს ორგანული ნაწილი - ფერეიდნული დიალექტი დღეს მოწყვეტილია საკუთარ ენობრივ და კულტურულ სივრცეს და უცხო ქვეყნის ფარგლებს ეკუთვნის. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში „ენობრივი კუნძულის“ სახელით არის ცნობილი.

როგორც არნოლდ ჩიქობავა წერდა, ქართული ენა ერთადერთი ძაფია, რომელიც ფერეიდნულ ქართველობას აკავშირებს ქართულ კულტურასთან. კულტურა კი, უპირველეს ყოვლისა, იმ ენობრივი ერთეულებით გამოიხატება, რომელსაც ევფემისტური/თავაზიანობის დატვირთვა აქვს. ამ ასპექტით ფერეიდნულ დიალექტში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე საინტერესო შემთხვევა, კერძოდ: 1. ფერეიდნულ დიალექტში გვიანდელი ფორმებია ბატონო და ქალბატონო. ქართული სალიტერატურო ენის გავლენით ფერეიდნულ დიალექტში მიმართვის აღნიშნული ფორმები დღეს ფეხს იკიდებს. 2. ზმნური ფორმები განსხვავებულია ადრესატის მიხედვით. ფერეიდნული ტექსტებში ენობრივი ეთიკითაა შეპირობებული „მოკვდომა“ და „ჩაკვდომა“ ზმნურ ფორმათა გამოყენება. აქ მო- და ჩა- ზმნისწინებს სემანტიკური დიფერენციაციის ფუნქცია აქვთ. 3. ფერეიდნულ დიალექტში ერიდებიან ზოგიერთი ისეთი ზმნის გამოყენებას, რომელსაც სხვა კონტექსტში უარყოფითი დატვირთვა აქვს (მაგ., „მოგება“). 4. სხვა დიალექტების მსგავსად, ტაბუირებულია ზოგიერთი არსებითი სახელი, მაგ., გველი: ცურავი - გველი (თავად ცურაობა ჩანაცვლებულია ნასესხობით - მალავნობა. მცურავი - მალავნი). სტატიაში წარმოდგენილია ფერეიდნულში ენობრივი ეტიკეტით შეპირობებული ამ და სხვა ფორმათა ანალიზი სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტებთან მიმართებით. ლიტ. 7.

ავტ.

4.6.2.6.20. დიალექტური ფრაზეოლოგიური ლექსიკიდან (მესხურ-ფერეიდნული მასალა) – I. /ჟ. ვეიქრიშვილი/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 169-174. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

ქართული ენის დიალექტების ისტორიისათვის მეტად ფასეულია ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შესწავლა, რამდენადაც ისინი ათვალსაჩინოებენ ენის ზოგად გამომსახველობით ძალას, ბუნებასა და სოციალურ გარემოზე ხალხის დაკვირვების შედეგს, ინახავენ საუკუნეებგამოვლილ სიტყვებს და აცოცხლებენ ენობრივი კოლექტივის ცხოვრების გზას. ნაშრომში წარმოდგენილია რამდენიმე იდიომის შეპირისპირებითი ანალიზი მესხურ და ფერეიდნულ დიალექტთა მონაცემებზე დაყრდნობით. მესხურის შესახებ მსჯელობა ემყარება ქვემოიმერეთში (ხოლის რაიონში) იმერულ გარემოცვაში მოქცეული ახალი სოფლის ახალშენის მეტყველებას, რომლის მატარებლები არიან 100 წლის წინათ სამხრეთ საქართველოდან, ადიგენი-ახალციხის რაიონებიდან, გადმოსახლებული მესხები, ხოლო ფერეიდნულში იგულისხმება 400 წლის წინათ საქართველოდან სპარსეთში ტყვედწაყვანილი და ფერეიდნულში ჩასახლებული ასიათასობით ქართველის დღევანდელი მეტყველება. გეოგრაფიული თუ ისტორიული ვითარების გამო, ახალშენელთა მესხური ბევრ სერთოს ავლენს ფერეიდნულთან, ამიტომაც, რომ ჩვენს მეტყველებაში იდიომების სახით ჯერ კიდევ დაცული (მაგრამ თანამედროვეთათვის სრულიად გაუგებარი) ზოგიერთი ფორმის ახსნა-დაზუსტება შესაძლებელი გახდა ფერეიდნულის მონაცემთა გათვალისწინებითაც. ასეთებია: 1. ნაფაშვარზე იღრიალე (მესხური), შდრ. ნაფაშვარი (ფერეიდნული); 2. პირს ფარგალი არა აქვს (მესხური), შდრ. პირლავაშა (ფერეიდნული); 3. ფუშრუკი ორთქლით შეეწია (მესხური), შდრ. ფუშრუკი (ფერეიდნული). ამ მიმართულებით მომავალში ჩატარებული კვლევა ბევრ საინტერესო ფორმას გამოავლენს. ლიტ. 4.

ავტ.

4.6.2.6.21. ქართველური ენები და ნოსტრატული მაკრო-ოჯახის ჰიპოთეზა. /მ. ჩუხუა/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 209-215. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

ნოსტრატულ ენათა თეორია ამ ეტაპზე დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ქართველური და თვით კლასიკური ნოსტრატული ენების შიდა ნათესაობის მიმართაც პასუხაუცემელი კითხვებია დაგროვილი; ვინაიდან არ არის წარმოდგენილი და დადგენილი ბგერათშესატყვისობათა სისტემა აღნიშნული მაკრო-ოჯახისთვის სავარაუდო ენათა ოჯახებს შორის. ხოლო აწ უკვე წარმოდგენილი ე.წ. ბგერათშესატყვისობები არც რეგულარულია და არც კანონზომიერი; მით უფრო ვერ ვისაუბრებთ მათ სისტემურობაზე. მართალია, თითოეორი ურთიერთდაკავშირებულ ძირში მართლაც რეალიზდება გარკვეული მსგავსებები, მაგრამ ამგვარი დამთხვევები შეიძლება აიხსნას არა ნათესაობით, არამედ შემთხვევითი მსგავსებით, ან სულაც ძირ-ფუძეთა სესხებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი იქნებოდა იმ მონაცემთა გათვალისწინება, რაც ქართველურ ენა-კილოთა მატარებელი ეთნიკური ჯგუფების პირველსაცხოვრისისა და პროტოკულტურის რეკონსტრუქციის პრობლემებს შეეხება. ეს საკითხი გლობალურ ჭრილში საერთოდ არ დასმულა ქართველური ენებისა და ნოსტრატული მაკროოჯახის ჰიპოთეზის ფარგლებში. ლიტ. 21.

ავტ.

4.6.2.6.22. შეთანხმებული მუშაობა და თანამშრომლობა ტერმინოლოგიაში. /ქ. გალინსკი/. შრომათა კრებული ტერმინოლოგიის საკითხები. – 2022-2023. – #V – გვ. 24-53. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ.

შეთანხმება და თანამშრომლობა ტერმინოლოგიაში სამეცნიერო ლიტერატურის ინტერესის სფეროდ მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქცა, თუმცა ის ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ მაშინ უნდა წარმოქმნილიყო, როცა ადამიანებმა გაიაზრეს დარგობრივი ცნებების მნიშვნელობა. ეს, ალბათ, კაცობრიობის წარმოშობისთანავე მოხდა. შემეცნებითი აზროვნება არის ადამიანის გონების ბუნებრივი ნაწილი, სწორედ ის, რაც მას განასხვავებს სხვა ცოცხალი არსებებისაგან. ამგვარად, დარგობრივი ურთიერთობის თავდაპირველი ფორმა სამეტყველო ენის განვითარებამდეც უნდა არსებულებოდა. მხოლოდ დამწერლობის სისტემების ჩამოყალიბების შემდეგ გაჩნდა მასალა, რომელზე დაკვირვებითაც შესაძლებელია დარგობრივი ენის განვითარებაზე თვალის მიდევნება. ამან ერთდროულად განაპირობა ორი რამ: ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების წინსვლა და მასთან ერთად განვითარებული საზოგადოებრივი წყობის შექმნა. მრეწველობის სწრაფი განვითარების კვალდაკვალ გაჩნდა სხვადასხვა ენაზე ტერმინოლოგიის შესამუშავებლად ქვეყნებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობა. ეს განსაკუთრებით შეეხებოდა ტერმინოლოგიის მეთოდოლოგიის საკითხებს, რამაც საბოლოოდ ხელი შეუწყო კიდევ ტერმინოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარებას, ასევე სხვადასხვა ტერმინოლოგიური ორგანიზაციისა თუ ინსტიტუციის ჩამოყალიბებას მთელ მსოფლიოში. სამეცნიერო და ტექნიკური ცნებების თვალსაჩინო ზრდის გათვალისწინებით ყველა დარგსა თუ საგანში, აუცილებელია ტერმინოლოგიური ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით. ცხრ. 1, ლიტ. 27.

ავტ.

4.6.2.6.23. ნასესხები სიტყვების ქართულ ენაში შემოსვლის უარყოფითი გავლენა და შედეგები. /მ. მჭედლიშვილი/. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ონლაინჟურნალი „ETAGTSU“ – 2024. – #9. – 17 გვ. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ.

რამდენადაც გლობალიზაცია მრავალმხრივი ფენომენია, სარგებელთან ერთად ის საფრთხესაც შეიცავს საქართველოს მსგავსი პატარა ერებისთვის. წინამდებარე სტატია იკვლევს უარყოფით გავლენას, რომელიც თან სდევს ნეოლოგიზმების, როგორც ლექსიკური ნასესხობების ენაში დამკვიდრებას, შეისწავლის „საერთაშორისო“ სიტყვების ქართულ ენაში დამკვიდრების

სხვადასხვა ეტაპებს და ამ პროცესების თანმხლებ შედეგებს. საკვლევ მასალად აღებულია ლექსიკა სხვადასხვა რედაქტორის მიერ მე-20 საუკუნეში გამოქვეყნებული სამი „უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან“ (1904, 1933 და 1989) და აჩვენებს, თუ როგორ ჩანაცვლდა და დაიკარგა ქართული წარმოშობის სიტყვები უცხოური ეკვივალენტების შეთვისების პროცესში. სტატიაში ასევე განხილულია ზოგიერთი სტრუქტურული და მორფოლოგიური დარღვევა, რომლების უცხოური ნასესხობების ქართულ ენაში დამკვიდრებას მოსდევს შედეგად. ლიტ. 27.

ავტ.

4.6.2.6.24. საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე: ქართული ენის თარგმნითი და ტერმინოლოგიური პრობლემები საკანონმდებლო დაახლოების კონტექსტში. /ნ. გოგია/. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ონლაინჟურნალი „ETAGTSU“. – 2024. – #9. – 9 გვ. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ.

ამ სტატიაში განხილულია საქართველოს სამთავრობო დაწესებულებებში მიმდინარე სამართლებრივი თარგმნის პროცესი და საკანონმდებლო დაახლოების ფარგლებში დამკვიდრებული ახალი ტერმინოლოგიის გავლენა. ასევე საუბარია იურიდიული ფრაზების არაეკვივალენტობასა და ტერმინების არათანამიმდევრულ გამოყენებაზე. მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, თუ რა გავლენას ახდენს არასწორი თარგმანი სამართლებრივი თარგმნის ხარისხზე და შესაბამისად, რამდენად აუცილებელია პროფესიული უნარების გაუმჯობესება მთარგმნელობითი საქმიანობისათვის. დასასრულს, ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირის კანონმდებლობის მთარგმნელთათვის საჭირო მითითებების, რჩევებისა და სახელმძღვანელოების ნაკლებობაზე, ასევე იურიდიული მთარგმნელობითი პროგრამების შემუშავების აუცილებლობაზე, რათა ენის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები მომზადებულნი შეხვდნენ დინამიურ და მაღალტექნოლოგიურ სამუშაოებს იმ დროისათვის, როდესაც საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. ლიტ. 8.

ავტ.

4.6.2.6.25. ჰიბრიდული ომი - XXI საუკუნის ტერმინი. /თ. ხატიაშვილი/. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ონლაინჟურნალი „ETAGTSU“. – 2024. – #9. – 10 გვ. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ბოლო ათწლეულია მსოფლიო პოლიტიკა მოიცვა ტერმინმა ჰიბრიდული ომი. შესაბამისად, მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მოვლენების აღწერა თუ ანალიზი, სამხედრო, სამეცნიერო და პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე მათი ფართოდ გაშუქება მედია- თუ ინტერნეტსივრცეში მჭიდროდ უკავშირდება ამ ტერმინს; თუმცაღა წარმართული მოქმედებების შესახებ ნაშრომების, სტატიების, წერილებისა და ნათარგმნი დოქტრინული მასალის გამოქვეყნება აღნიშნული ტერმინის განსხვავებული ფორმების გავრცელების ხელშემწყობიცაა, რადგან დღესდღეობით არ არსებობს ქართული სტანდარტიზებული და უნიფიცირებული სამხედრო ტერმინოლოგია. ჰიბრიდული ომის პარალელურად გამოიყენება ტერმინები: ჰიბრიდული ოპერაციები, ჰიბრიდული ომები, ჰიბრიდული საბრძოლო მოქმედებები. საგულისხმოა ორი ინგლისური ტერმინის, hybrid war-ისა და hybrid warfare-ს, აღრევა (ქართულენოვან მასალებში), შესაბამისად, ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგ შემთხვევებზე: • ორივე ინგლისური ტერმინის ერთი ქართული ტერმინით, ჰიბრიდული ომით, გამოხატვაზე; • hybrid warfare-ს რამდენიმე შესატყვისის, ჰიბრიდული ოპერაციები, ჰიბრიდული ომები, ჰიბრიდული საბრძოლო მოქმედებები, დამკვიდრებაზე. ჩვენი კვლევის მიზანია აღნიშნული შესატყვისის სემანტიკურ-შინარსობრივი გააზრება და მისი შესწავლა ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი სამხედრო დოქტრინების მიხედვით, რადგან მიგვაჩნია, რომ ქართული შესატყვისის დადგენის ამოსავალი ტერმინის არსის სწორად გაგებაშია. აღნიშნული ტერმინის ისტორიისა და

ეტიმოლოგიის კვლევა ეყრდნობა ჰიბრიდული ომის მოდელის, ტიპებისა და მეთოდების განსაზღვრას, რაც, თავის მხრივ, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ომად ან კონფლიქტად კვალიფიკაციას უკავშირდება. შესწავლილი მასალის საფუძველზე ნათელია, რომ ტერმინის დასადგენად აუცილებელია მისი შინაარსობრივი გააზრება, რადგან კონტექსტის შეცვლა იწვევს ტერმინის მრავალმნიშვნელობიანობასაც და მის არასწორ გამოყენებასაც. ინგლისური ტერმინების სწორი ქართული შესატყვისების ძებნისას დგება თანამედროვე ტერმინოლოგიური მუშაობის ჰარმონიზაციის საკითხი. სამხედრო სპეციალისტების დიდი ინტერესის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სათანადო ტერმინის დადგენის პროცესში სამხედრო სპეციალისტების ჩართულობა (პირადი ინტერვიუ სამხედრო სპეციალისტთან). ლიტ. 31.

ავტ.

4.6.2.6.26. ლექსიკური ფრაზების კვლევა ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა კორპუსში და მისი გავლენა სასწავლო ლექსიკოგრაფიაზე. /მ. მახათაძე/. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ონლაინჟურნალი „ETAGTSU“. – 2024. – #9. – 20 გვ. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გამართული ენობრივი მიმოქცევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ლექსიკური ფრაზების, გამოთქმებისა თუ მრავალკომპონენტიანი ლექსიკური კლასტერების გამოყენებაა. ისინი ხშირად ხმარებული სიტყვათა მიმდევრობებია, რომლებიც დისკურსის წარმოებისას ფუნდამენტურ ფუნქციას ასრულებენ, კონკრეტულ კონტექსტში მნიშვნელობის ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს და ტექსტის სტრუქტურირებისას თანამიმდევრულობის განცდას აჩენენ. წინამდებარე სტატიაში არსებული კვლევა წარმართულია კორპუსზე დამყარებული მეთოდოლოგიით. ნაშრომის ემპირიული ბაზა მოიცავს ინგლისური ენის 65 ქართველ შემსწავლელთა წერილობით მასალას, რომელიც რეპრეზენტატიული უნდა იყოს არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ თვისებრივადაც. ენობრივი სიმდიდრის, სიტყვათხმარების, ენობრივი ქცევის ნორმების შესწავლის მიზნით, შევქმენით ცხრა მილიონამდე სიტყვისგან შემდგარი ინგლისური ენის ქართველი შემსწავლელების სასწავლო კორპუსი (GLEAN). სასწავლო კორპუსში გამოყავით ჟანრთა ოთხი კატეგორია (ესეისტიკა, აკადემიური, პუბლიცისტური, სასაუბრო) და მათი ქვეკატეგორიები. კვლევის მიზნებია: ა) რა სტრუქტურის მქონე მრავალკომპონენტიან ლექსიკურ მოდელებს ვხვდებით ჩვენ მიერ შექმნილ სასწავლო კორპუსში? ბ) მოვახდინოთ სამ- და ოთხკომპონენტიანი ლექსიკური ფრაზების ფუნქციური ტაქსონომიის სისტემატიზაცია; გ) წარმოვაჩინოთ რა ღირებულება აქვს სასწავლო კორპუსის მონაცემებს სასწავლო ლექსიკოგრაფიულ საქმიანობაში, მაგალითად, როგორიცაა საილუსტრაციო წინადადებები, გამოყენების შენიშვნები, „დახმარების ველები“. შედეგად მივიღეთ 42 ლექსიკური ფრაზა, რომელიც GLEAN სასწავლო კორპუსის სხვადასხვა დისციპლინაში (ლიტერატურა, ლინგვისტიკა, პრესა, ბლოგ პოსტები და ა.შ.) გამოიკვეთა და ნიმუშის სახით კვლევის შედეგების გათვალისწინებით წარმოვადგენთ სასწავლო ლექსიკონისათვის შექმნილ სიტყვა სტატიას. ლიტ. 32.

ავტ.

4.6.2.6.27. პოლისემიურ ტერმინთა მართვისათვის. /ნ. ჩხაიძე/. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ონლაინჟურნალი „ETAGTSU“. – 2024. – #9. – 14 გვ. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ტრადიციულად აღიარებული ტერმინოლოგიის უნივოკალური ბუნება ტერმინოლოგიის განვითარებასთან ერთად (რასაც თან მოჰყვა პოლისემიის, ომონიმიისა და სინონიმიის გაჩენა) შეიცვალა. აღნიშნულმა ევოლუციამ, ტერმინების სტრუქტურა საერთო ლექსიკის სიტყვების სტრუქტურას დაუახლოვა და მათ შორის საზღვარი ბუნდოვანი გახდა. ასევე გახშირდა,

საერთო ლექსიკის სიტყვების ტერმინოლოგიზაცია, ტერმინების დეტერმინოლოგიზაცია და მეტაფორიზაციის გზით ტერმინების დარგიდან დარგში მიგრაცია. მიმდინარე ტენდენციამ დღის წესრიგში დააყენა არსებული ტერმინოლოგიური და ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკოლოგიური თეორიების ხელახალი შეფასების აუცილებლობა, ტერმინოლოგიის დამუშავების, მართვისა და ლექსიკონებში ვიზუალიზაციისათვის საჭირო ახალი მეთოდოლოგიების ჩამოსაყალიბებლად. სტატიაში წარმოდგენილია ტერმინოლოგიის მნიშვნელობის ანალიზის ახალი მიდგომა. ლექსიკოლოგიური თეორიების (განმარტებით-კომბინატორული ლექსიკოლოგია, სემანტიკური ხიდები და ჩარჩოსემანტიკაზე დაფუძნებული ტერმინოლოგია) სინთეზირებითა და ტრანსფორმაციით, ასევე, ეტიმოლოგიური და დეფინიციითა ანალიზის გამოყენებით, ჩვენი მიზანია პოლისემიური ტერმინების მნიშვნელობის სრული ექსპლიკაცია. გარდა ლექსიკოლოგიური თეორიებისა, კვლევის პროცესში ემპირიის ანალიზისათვის გამოვიყენეთ ელექტრონული რესურსები და პროგრამული ინსტრუმენტები. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია იძლევა ახალ პერსპექტივას ტერმინოლოგიური სალექსიკონო სიტყვა-სტატიის შედგენაზე. ლიტ. 31.

ავტ.

4.6.2.6.28. ენა და მანიპულაცია: გაზღაითინგი სამეტყველო აქტების თეორიის თვალსაზრისით. /ვ. ფურცელაძე/. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ონლაინჟურნალი „ETAGTSU“. – 2024. – #9. – 16 გვ. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გაზღაითინგი, ფსიქოლოგიური მანიპულაციის ფორმა, რომლის ფარგლებშიც ადამიანს აიძულებენ დაეჭვდეს საკუთარი აღქმის, ან მეხსიერების სისწორეში, წარმოადგენს დისკურსის ცალკეულ ჟანრს, მრავალი პრაგმატიკული მახასიათებლებით. თუმცა, ლინგვისტური თვალსაზრისით იგი ნაკლებად არის შესწავლილი. წინამდებარე სტატია განიხილავს გაზღაითინგის პრაგმატიკულ ასპექტებს სამეტყველო აქტების თეორიის (Austin, 1962; Searle, 1979) თვალსაზრისით. ემპირიული მასალა მოიცავს დიალოგების ნაწყვეტებს პ. ჰამილტონის პიესის ("Gas Light", 1938) მიხედვით გადაღებული მხატვრული ფილმებიდან: "Gaslight", 1940; "Gaslight", 1944. კვლევამ ცხადყო, რომ გაზღაითინგის ფარგლებში ვერბალური მანიპულაცია უმეტესად ასერტივების ტიპის სამეტყველო აქტების გამოყენებაზეა დაფუძნებული. ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად გაზღაითინგის დისკურსისთვის დამახასიათებელი ასერტივების სამი სახეობა გამოვლინდა: 1. ექსპლიციტური ასერტივი, სადაც ნაგულისხმევი გზავნილი გამოყენებულ ელოკუციურ აქტს ემთხვევა; 2. შეფარვითი ასერტივი, რომელიც მტკიცებულებას სხვა ილოკუციური აქტის მეშვეობით გამოხატავს, და 3. ინკლუზიური ასერტივი, რომელიც გზავნილს ასერტივში ჩაქსოვილი განსხვავებული ილოკუციური აქტის მეშვეობით გადმოსცემს, მაგალითად, ასერტივში ნაგულისხმევი დირექტივის, ან კომისივის სახით. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ გაზღაითინგის კონტექსტში ასერტივი მორგების ორმაგ მიმართულებას (ინგ.: double direction of fit) იძენს, რაც, ჩვეულებრივ, აღნიშნული ტიპის სამეტყველო აქტისთვის არ არის დამახასიათებელი. ლიტ. 16.

ავტ.

4.6.2.6.29. აფორიზმების ეკვივალენტობისა საკითხი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში (ერთი აფორიზმის მაგალითზე). /მ. გობიანიძე/. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ონლაინჟურნალი „ETAGTSU“. – 2024. – #9. – 11 გვ. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის გამორჩეული ეპოსია ცნობილი თავისი ღრმა კულტურული და ლიტერატურული

მნიშვნელობით. პოემა ჩვენამდე მოღწეულია 160-ზე მეტი ხელნაწერით და თარგმნილია 58 ენაზე. ნაშრომში საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში ერთი აფორიზმის თარგმნის სირთულეებისა და სტრატეგიების შესახებ. განხილულია შემდეგი აფორიზმი - „ოდეს ტურფა გაიფედეს, აღარა ღირს არცა ჩირად“. ნაშრომში წარმოდგენილია პოემის სამი ინგლისურენოვანი თარგმანი: მარჯორი სკოტ უორდროპის (1912), ვენერა ურუშაძისა (1968) და ლინ კოფინის (2015) თარგმანები. თითოეული მთარგმნელი განსხვავებულად უდგება აფორიზმის კულტურული და ენობრივი კონცეპტების თარგმანებს. მარჯორი უორდროპის თარგმანში მაქსიმალური სიზუსტე და ერთგულებაა ორიგინალის მიმართ. მისი თარგმანი, „When the lovely is cheapened, it is no longer worth even dried fruit“, სიტყვასიტყვითი თარგმანია, თუმცა ექსპრესიულობა და იდიომატური გამოთქმის მნიშვნელობა თარგმანში დაკარგულია. ვენერა ურუშაძის თარგმანი უფრო თავისუფალია და ინტერპრეტაციული მიდგომითაა გამორჩეული. მისი თარგმანი, „Thus speaks the rose that is only a soulless, inanimate flower“, იდეურად გადმოსცემს პოემის მთავარ აზრს, აქცენტს აკეთებს კულტურულ კონტექსტზე და ცდილობს აფორიზმი შინაარსობრივად და ლინგვისტურად ბუნებრივად ჟღერდეს ინგლისურ ენაზე. ლინ კოფინის თარგმანი, რომელიც დოდონა კიზირიას პწკარედულ თარგმანს ეყრდნობა, წარმოადგენს ბალანსს ორიგინალის და ინგლისურენოვანი მკითხველისთვის უფრო გასაგებ კონცეფციებს შორის. კოფინი იყენებს იდიომატურ გამოთქმას „it is not worth a fig anywhere“, რაც უფრო ბუნებრივად ჟღერს ინგლისური ენის კონტექსტში და ამავდროულად ინარჩუნებს ორიგინალის აზრს. სტატია დეტალურად განიხილავს თითოეული თარგმანის მიდგომას და მათ უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს, რაც აფორიზმის თარგმნის პროცესს ასახავს როგორც ენობრივ, ისე კულტურულ გამოწვევად. თითოეული მთარგმნელი ცდილობს შეინარჩუნოს რუსთაველის სიბრძნე და პოეტური სტილი, თუმცა მათ მიერ გამოყენებული მეთოდები განსხვავებულია. თარგმანის სირთულე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აფორიზმებს, როგორც მხატვრულ და ფილოსოფიური გამონათქვამებს, რთულად მოეძებნება ეკვივალენტები სხვა ენებზე. კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) მხარდაჭერით (გრანტის ნომერი PHDF-22-851). ლიტ. 18.

ავტ.

4.6.2.6.30. ზოონიმების სტილისტური და სემანტიკური ექსპრესია ინგლისურენოვან ზღაპრებში.

/მ. ღარიბაშვილი, შ. ლაზავიაშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2023. – #1(36). – გვ. 111-117. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2023.01.36.16>

ზღაპარი ხალხური სიბრძნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი და პოპულარული ჟანრია. იგი ძალზე დიდი ხნის წინათ ზეპირად შეუქმნია ჩვენს წინაპრებს. ზღაპრები უხვად გვხვდება მსოფლიოს მრავალ ენაზე. უშუალოდ, ზღაპრის ენა განსხვავდება კულტურული კონტექსტის მიხედვით, რომელსაც, უმთავრესად, ახასიათებს ამზის თხრობის მარტივი და პირდაპირი ფორმა, რაც კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდის ფართო აუდიტორიისთვის და ადვილად აღსაქმელს საზოგადოებისათვის, მათ შორის ბავშვებისთვის. თუმცა, თხრობის სიმარტივე არ ნიშნავს იმას, რომ ზღაპრის ტექსტი მოკლებულია მხატვრულ შეფერილობას. პირიქით, მასში უხვად ვხვდებით პოეზიის ელემენტებსა თუ მხატვრული ენის გამომხატველობით არაერთ საშუალებას, როგორიცაა მეტაფორა-მეტონიმია, ეპითეტი, შედარება, სიმბოლიზმი და ა.შ. კვლევის მიზანს წარმოადგენს ინგლისურენოვან ზღაპრებში ზოონიმების, როგორც მთავარი პერსონაჟების, სტილისტური და სემანტიკური ექსპრესიულობის დადგენა და იმის გარკვევა, თუ რა დოზით, ფორმით, კონტექსტითა და საშუალებებით ხდება ინგლისურენოვან ზღაპრებში

ამ ლინგვისტური მოვლენების ასახვა. კვლევისას გამოყენებულ იქნა ანალიზის მეთოდი, რის საფუძველზეც გაანალიზდა ჯაკობის მიერ შედგენილი ინგლისურენოვანი ზღაპრების კრებული. კერძოდ, დეტალურად გადაიხედა ის ზღაპრები, რომლის მთავარ პერსონაჟებად ადამიანების გარდა, ფაუნის წარმომადგენლების სახით, სხვა ცოცხალი არსებებიც გვევლინებიან. კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ზღაპრის დისკურსზე დაკვირვება და იმის გააზრება-გაანალიზება, თუ როგორ მეტყველებენ ან მოქმედებენ მთავარი პერსონაჟის როლში გამოსული ფაუნის წარმომადგენელი ცოცხალი არსებები. ლიტ. 3.

ავტ.

4.6.2.6.31. უარყოფითი ემოციის გამომხატველი ზოგი სტილისტიკური კატეგორია გოდერძი ჩოხელის რომანებში. /შ. წიგნაძე/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2023. – #1(36). – გვ. 118-122. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2023.01.36.17>

გოდერძი ჩოხელი ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი მწერალია მშობლიური ენის სიღრმისეული წვდომით, სამყაროს ფერადოვანი აღქმით, ექსპრესიული ენით, სისადავითა და, ამავედროულად, სიტყვაუხვობით. მწერლის ნიჭი ვლინდება იმაში, თუ როგორ შეძლებს თავისი ნააზრევო, ნაცნობი, მშობლიური ამბები თუ თქმულებები მიიტანოს მკითხველამდე. რას შეარჩევს, როგორ და რითი გაამდიდრებს სალიტერატურო ენას. გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ენობრივი სამყაროს მასაზრდოებელი ის კუთხეა, იმ ხალხის მეტყველებაა, რომლის წიაღშიც აღიზარდა - ეს არის გუდამაყარი და მთიულურ-გუდამაყრული დიალექტი. მის შემოქმედებაში უხვად გვხვდება ხალხური გამოთქმები, რომლებიც უშუალოდ ხალხური ხატოვანი მეტყველებიდან იღებს სათავეს: 1. ერთი მოხუცი ქალი სულს ებრძვის და წუთიწუთზე სიკვდილს ელოდება ხოზაშიო. 2. - შავეთში, აბა სად წავალ, ჩემ წილ სამარეს ამოვავსებ. გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებში დიდ ადგილს იკავებს სიტყვათა ისეთი ფენა, როგორიც არის ანტონიმები. ანტონიმები წარმოადგენენ საუკეთესო საშუალებას წინადადებათა ანტითეზური წყობისათვის მხატვრული გამოსახვის მიზნით, ოქსიმორონის შესაქმნელად. სიკვდილს გაუმარჯოს! თქვა დეკანოზმა. გაუმარჯოს! გაუმარჯოს! ცოცხალ სიკვდილს გაუმარჯოს! გოდერძი ჩოხელი ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო სიტყვების ერთმანეთთან შედარებით, ერთმანეთთან შეპირისპირებით ქმნის ოქსიმორონის შინაარსს. აღნიშნულის გარდა, გოდერძი ჩოხელის რომანებში მრავლად ვხვდებით გაპიროვნების მაგალითებს: 1. სადაც უამრავი ცოცხალი მოთხრობა დადის. 2. დადის ეს სიტყვა ჭირში და ლხინში. გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში სტილისტიკურ საშუალებებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით შედარებას, ტროპული მეტყველების ერთ-ერთ საშუალებას. გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებში ერთდროულად იგრძნობა სიხარული და სევდა, სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი. როგორც თვითონ წერდა: „სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა“; „სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა“. გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ მის ნაწარმოებებში მრავლად ვხვდებით სხვადასხვა სტილისტიკური საშუალებების გამოყენებას, რომელთა შორის აღსანიშნავია: შედარება, ანტითეზა, გაპიროვნება, ხატოვანი სიტყვა-თქმანი, სინონიმები, ანტონიმები და ა.შ. მის ნაწარმოებებში ერთდროულად იგრძნობა მწუხარება, დარდი, სევდა, სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი. გოდერძი ჩოხელის შემოქმედება წაგავს მთის ძირიდან მოჩუხჩუხე წყაროს, რომლის გემოც ბევრმა არ იცის და თუ შესთავაზებ, - მიირთვიო, თავს შეიკავებს - რა ვიცი, გაფილტრული არ არის და რამე არ მავნოსო“. ლიტ. 5.

ავტ.

6.3. ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია

6.3.1. ფილოსოფია, მეცნიერების და ტექნიკის ისტორია და ფილოსოფია

4.6.3.1.1. თავისუფლების ქართულ-ბრიტანული ისტორია. /პ. გერგაია/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2023. – #1(36). – გვ. 140-149. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2023.01.36.21>

განმარტოებული საკუთარ კაბინეტში და შთაგონებული ინტელექტის პრობლემებით, დროდადრო კვლავ გავაკითხავ თავისუფლების „ნათლიმამას“ იმ იმედით, რომ მის მიერ ნაბოძები აზროვნების უსაზღვრო სივრცე კვლავ მომცემს ახალ ინტელექტუალურ საზრდოს. დიახ, ანარქიზმი იმსახურებს სერიოზულ კვლევას, რადგან ბოლოს და ბოლოს მთავარი მასთან ადამიანია, რომელიც თავისი ბუნებით ამბივალენტური არსებაა და თვითონ არის ღრმა და სერიოზული შესწავლის საგანი. აზროვნების მეცნიერება ეხება ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს, ეხება მას ანარქიზმიც, ოღონდ მის იმ ნაწილს, რომელიც ინდივიდუალურ თავისუფლებასთან ასოცირდება, რომელიც ყველა კულტურულ-ისტორიულ ეპოქაში ადამიანისთვის საარსებო პურის მოპოვებისთვის ბრძოლის თითქმის ადეკვატური გამხდარა. ლიტ. 5.

ავტ.

4.6.3.1.2. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გააზრება დიმიტრი უზნაძის ფილოსოფიაში. /გ. თევდორაძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 101-105. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/PUTK.2024.28.10>

დიმიტრი უზნაძე თავისუფლად შეიძლება დავასახელოთ XX საუკუნის იმ ქართველ ფილოსოფოსთა შორის, ვინც დიდი წვლილი შეიტანა ისტორიის ფილოსოფიური კვლევის საქმეში. იგი გარკვეული დროის განმავლობაში სკოლებში თავად ასწავლიდა ისტორიას და რამდენიმე სახელმძღვანელოც კი გამოაქვეყნა. ფილოსოფიურმა და პედაგოგიურმა განსწავლულობამ, აზროვნების სიღრმემ, აგრეთვე ისტორიის სწავლების სოლიდურმა გამოცდილებამ დიმიტრი უზნაძეს მისცა შესაძლებლობა შეექმნა საყურადღებო ნაშრომები ისტორიის ფილოსოფიაში. დიმიტრი უზნაძე ომისა და სიკვდილის ფენომენთა მკაცრი მეცნიერული გააზრებით და დასაბუთებით ცდილობს ჩაგვახედოს სიცოცხლის აზრში. მისი შეხედულებით, ისტორიას ადამიანები ქმნიან და ყველაფერი ამ ისტორიაში ბევრად არის დამოკიდებული ადამიანების მუხტზე – რისთვის იღვწიან ისინი, რამდენად აქვთ გაცნობიერებული თავიანთი ქმედებები. ისტორიის ფილოსოფიის კვლევის დროს დიმიტრი უზნაძე აქტიურად განიხილავს ომის თემას: ხომ არ უნდა მივიჩნიოთ ომი კაცობრიობის მუდმივ თანამგზავრად? პასუხი ამ შემთხვევაში ცალსახად უარყოფითია. მართალია, ომი ბადებს ჰანიბალებს და ჟანა დარკებს, ამაღლებული სულის რაინდებსა და გმირებს, მაგრამ მისი გამოცხადება ისტორიის საზრისის მიმნიჭებლად მაინც გამორიცხულია. ლიტ. 6.

ავტ.

6.3.3. თეოლოგია

4.6.3.3.1. ათონის მრავალთავის ერთი მინაწერის საიდუმლო. /ი. ნაცვლიშვილი/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 173-180. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

ათონის X საუკუნით დათარიღებულმა მრავალთავმა აღმოჩენისთანავე მიიპყრო მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან ის ტაოკლარჯული ისტორიულ-კულტურული სივრცის შესაფასებლად მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა; შეიცავს ისეთ ტექსტებს, რომლებიც სხვა ხელნაწერებით არ შემონახულა. ერთ-ერთი მათგანია „კოლაელი ყრმების წამება“, რომელიც კოლის ხეობაში ქრისტიანობასთან წარმართობის ბრძოლის მძაფრ სურათს ასახავს. თავად ამბისა თუ ტექსტის ან მისი სავარაუდო წერილობითი წყაროს მეტ-ნაკლები სიზუსტით დათარიღება, რაც დაბეჯითებით თითქმის ორი საუკუნეა ვერ ხერხდება, ნათელს მოჰფენს ქართული ისტორიული და სულიერი კულტურის არაერთ მნიშვნელოვან საკითხს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულად მიგვაჩნია ათონური ხელნაწერის არშიაზე განთავსებული მინაწერი, რომლის მიხედვითაც, კოლაელი ყრმები უწამებიათ „ჟამსა დორიმეს სამცხეს პატრონისსა, რომელი იყო რწმენით კერპთაყვანისმცემელი“. სამწუხაროდ, ეს ცნობა სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არ არის ყურადღებული, არადა ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს თხზულებაში განვითარებული მოვლენების პოლიტიკურ-გეოგრაფიულ სივრცესა და ქრონოლოგიაზე და უკავშირდება კრებულის სხვა მინაწერებს მამამთავარ თუ ეპისკოპოს არსენის შესახებ, რომლებიც მას დედნიდან უნდა გადმოჰყოლოდა. მინაწერებზე დაკვირვებამ, სხვა წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებლობა მოგცვა, გამოგვეთქვა ლოგიკური ვარაუდები; კერძოდ: ხომ არ არის ხელნაწერის მამამთავარი არსენი გრიგოლ ხანძთელის მოწაფე, IX საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის კათალიკოსად აღსაყდრებული არსენი? მით უმეტეს, რომ ის სამცხიდან იყო და, როგორც სამცხის დიდაზნაურის შვილს, ხელი მიუწვდებოდა იმ მხარის საგვარეულო, ჩვენთვის უცნობ ქრონიკებსა თუ ჩანაწერებზე; ხოლო დორიმე მთავრის შესახებ მინაწერი, ჩვენი აზრით, უნდა ეკუთვნოდეს ან ტაო-კლარჯეთის მონასტრიდან ათონზე გადასულ ბერს, ან სამცხელი წარმომავლობის ათონელ მოღვაწეს, კერძოდ, ჩორჩანელ-ჩორდვანელთა წრიდან, რამდენადაც მას ეს ცნობა შეიძლება სამცხის ფეოდალთა საგვარეულო ქრონიკებიდან თუ სხვა ტიპის წყაროებიდან ჰქონოდა. ლიტ. 8.

ავტ.

6.3.4. რელიგიათმცოდნეობა

4.6.3.4.1. კონსტანტინოპოლისა და მოსკოვის საპატრიარქოებს შორის არჩევანში და ანტიოქიის ეკლესია (ავტოკეფალიის თუ ავტონომიის საკითხი). /ქ. პავლიაშვილი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2021. – # XXI. – გვ. 17-24. – ინგლ. რეზ.:ქართ. ინგლ.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე „სადავო ეკლესიების“ საკითხმა უაღრესად აქტუალური ხასიათი შეიძინა და მართლმადიდებლურ სამყაროში ეკლესიათაშორის ურთიერთობას დაძაბულობა შეჰმატა; ამკარად გამოიკვეთა სქიზმის საშიშროება, რაც განპირობებულია საეკლესიო საზღვრების ხელახალი გადანაწილებით. საბჭოთა იმპერიის დაშლას მოჰყვა ერთა თვითგამორკვევის პროცესში გაღვივებული სეპარატიზმი და საეკლესიო საზღვრების ხელახალი გადანაწილების ამბიცია, რაც გამოვლინდა ცალკეული ეპარქიების ავტოკეფალიის მოპოვების სურვილსა და ამ მიმართულებით მეცადინეობაში. საქართველოს მაგალითზე, აღნიშნულმა თავი იჩინა სოხუმისა და ცხინვალის ეპარქიებში. აფხაზეთის სამღვდელოებაში

ჩამოყალიბდა საეკლესიო დამოუკიდებლობის ურთიერთგანსხვავებული ფორმის მოთხოვნა: პრობერძნული დაჯგუფება (არქიმანდრიტი დოროთედბარი) ითხოვს საეკლესიო ავტოკეფალიას კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან და სხვა გზას არაკანონიკურად მიიჩნევს, ხოლო „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია“ (არქიმანდრიტი ბესარიონ აპლია) ითხოვს ავტონომიის სტატუსს მოსკოვის საპატრიარქოსგან. ავტონომიის სტატუსი, აპლიას აზრით, საფუძველი გახდება მომავალი ავტოკეფალიისათვის, ე.ი. ფაქტობრივად ითხოვს სოხუმ-ბიჭვინთის ეპარქიის ავტონომიური უფლებით რუსეთის ეკლესიაზე დაქვემდებარებას. აფხაზეთის ეკლესიაზე მოპოვებული „უფლების“ შენარჩუნებისათვის მოსკოვის საპატრიარქომ მთელი ძალისხმევა წარმართა მართლმადიდებლურ სამყაროში ისეთი ეკლესიის ძიებისაკენ, რომელიც დაეხმარებოდა აფხაზეთის ეკლესიას პრობლემის მოგვარებაში, ანუ აღიარებდა მის თვითმოწესებებს საეკლესიო წყაროების გათვალისწინებით და ისტორიული გამოცდილებით. ასეთ ეკლესიად მოსკოვის საპატრიარქომ ანტიოქიის ეკლესია შეარჩია. საქართველოს საპატრიარქო მუდმივად მეთვალყურეობს მართლმადიდებელ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს, მართლმადიდებელი ეკლესიების აფხაზეთის საკითხისადმი მიდგომას. ამ მიმართულებით განვითარებულ მოვლენასა თუ ფაქტს საქართველოს ეკლესია დიდი სიფრთხილით ეკიდება. საქართველოს ეკლესიისათვის ნათელია, რომ აღნიშნული შეხვედრა მართლმადიდებლური სამყაროსათვის რთულ პერიოდში შედგა, როდესაც უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობამ სათავე დაუდო საეკლესიო განხეთქილებას; მართლმადიდებლური სამყარო პირობითად გაიყო ორ - რუსულ და ბერძნულ ბანაკებად. ანტიოქიის ეკლესია აღმოჩნდა ე.წ. რუსულ ბანაკში, ქართველ ანალიტიკოსთა ნაწილი ანტიოქიისა და აფხაზეთის პრეზიდენტების შეხვედრას ნეგატიურ შეფასებას აძლევს და მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიის ეკლესიასთან ექვარისტული კავშირი უნდა გაწყვიტოს; საჯარო განცხადებებით დაგმოს ანტიოქიის საპატრიარქოს შეჭრის მცდელობები საქართველოს ეკლესიის შიდა საქმეებში: მსოფლიო პატრიარქისა და სხვა პატრიარქებისადმი საგანგებო მიმართვებში ანტიოქიის საპატრიარქოს არამეგობრულ და უღირს ქმედებებზე მიუთითოს. ლიტ. 23.

ავტ.

6.4. ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა)

6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

4.6.4.1.1. ხატწერის განვითარების პარადიგმა საბჭოთა საქართველოს ეკლესიაში. /თ. ინწკირველი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2023. – ტ. 17. – #4. – გვ. 138-142. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ხატწერის ტრადიცია საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ საბოლოოდ დაიკარგა. მისი განახლების პრობლემა მთელი სიმძაფრით XX საუკუნის ბოლოს დადგა, როდესაც გაირკვა, რომ აღარავის ჰქონდა ცოდნა იმის შესახებ, თუ რა სპეციფიკური მოთხოვნები აქვს მართლმადიდებელ ეკლესიას ხატწერისადმი, ანუ, რას წარმოადგენს ხატწერის კანონიკა. დღეს გავრცელებული თეორიის მიხედვით არსებობს ხატწერის ერთადერთი მხატვრული ენა, რომელიც მთელი საქრისტიანოს მონაპოვარია და

შესაფერისია სახარებისეული ჭეშმარიტების გადმოსაცემად. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის დაკვეთით შესრულებული მოხატულობები თბილისის სიონისა და დიდუბის ღმრთისმშობლის ტაძრებისა, ისევე, როგორც ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძრის 1947 წელს შესრულებული მოხატულობა, ხატწერის კანონიკურობას არ უკავშირებს გამომსახველობის მხატვრულ სტილს, არამედ პირიქით, ამ მოხატულობათა ანალიზი და 142 Tea Intskirveli Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol. 17, no. 4, 2023 პატრიარქ კალისტრატეს არქივში დაცული მასალების შესწავლა ცხადყოფს, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების მიერ ხატწერის წესად მოაზრებულია თანამედროვე საზოგადოებისთვის მისაღები, ახალი მხატვრული ხერხებისა და ფორმების გამოყენება. ეს პოზიცია პასუხობს VII მსოფლიო საეკლესიო კრების განჩინებას, რომელიც საეკლესიო ხელოვნების შესასრულებლად აკურთხებს ყოველგვარ ტექნიკას. საქართველოში დიდი რაოდენობით ტაძართმშენებლობის საჭიროებამ და მათი გამშვენების მასშტაბურმა სამუშაოებმა კანონიკური ხატწერის მარტივ, ზედაპირულ გაგებას შეუწყო ხელი. ამ ფონზე საბჭოთა პერიოდში შექმნილი საეკლესიო მხატვრობის კონცეფციის ანალიზი ტრადიციის მართებულად გააზრებისა და განახლების საწინდარია. ლიტ. 6.

ავტ.

4.6.4.1.2. ახალი მიკვლევები თბილისის ურბანულ მემკვიდრეობაში. /მ. სურამელაშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2024. – ტ. 18. – #1. – გვ. 165-169. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბან ქვემო კალაში, ახლანდელ ლ. გუდიაშვილის მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ორი საცხოვრებელი სახლი: ლ. გუდიაშვილის მოედანი №6/ზ. ახოსპირელის I ჩიხი №1 და გ. აბესაძის ქ. №21. 2007 წლიდან ძეგლად აღრიცხული ეს შენობები სპეციალური კვლევის საგანი აქამდე არ ყოფილა. ლ. გუდიაშვილის მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორია შუა საუკუნეების ქალაქის ერთ-ერთ საცხოვრებელ და სავაჭრო ფუნქციის მქონე მიკროუბანს წარმოადგენდა. ახლად გამოვლენილი საარქივო დოკუმენტის მიხედვით, ის ბაზრის მოედნის სახელითაცაა მოხსენიებული - New Findings in Urban Heritage of Tbilisi 169 Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol. 18, no.1, 2024. აქ სახლობდნენ შეძლებული და წარჩინებული წარმომავლობის ოჯახები. 2018-2019 წლებში მიმდინარე რეაბილიტაციის დროს გაირკვა, რომ ზემოხსენებული საცხოვრებელი სახლები შეიცავს XVII, XVIII, XIX სს-ის შუა ხანების და XIX-ს-ის დასასრულის სამშენებლო ფენებს. საინტერესო და აქამდე უცნობი მასალები გამოვლინდა მათ შესახებ საარქივო კვლევის შედეგად, რაც მრავლისმთქმელია შუა საუკუნეების და XIX საუკუნის თბილისის ისტორიის უკეთ წარმოსაჩენად. სხვა უახლეს აღმოჩენებთან ერთად, ლ. გუდიაშვილის მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ორი საცხოვრებელი სახლის შესწავლამ შესწორება შეიტანა გასული საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოსაზრებაში, რომლის მიხედვით, თხუთმეტ საუკუნეზე მეტი ხნის უწყვეტი საქალაქო ცხოვრების მიუხედავად, თბილისში არ შემონახულა ძველი საცხოვრებელი სახლები. სურ. 2, ლიტ. 5.

ავტ.

4.6.4.1.3. სამუზეუმო განათლების როლი პიროვნების ჰარმონიული ჩამოყალიბების პროცესში. /ნ. ენდელაძე, ვ. მუჯირი/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2023. – #4(530). – გვ. 36-48. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
DOI: <https://doi.org/10.36073/1512-0996-2023-4-36-48>

წინა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე სულ უფრო იზრდება მუზეუმების საგანმანათლებლო როლი, რაც პიროვნების ჰარმონიული აღზრდისა და ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. დღეისათვის სამუზეუმო განათლება ახალ ხედვასა და მიდგომებს ითვალისწინებს. ჩვეულებრივი ექსკურსიები და სამუზეუმო ექსპონატების დათვალიერება ბევრ ქვეყანაში უკვე ვეღარ აკმაყოფილებს სამუზეუმო განათლების ფუნქციებს. მოზარდებთან მუშაობისას მუზეუმები აქცენტს აკეთებენ მათი თვალთახედვის, დაკვირვების, ინფორმაციის კლასიფიკაციისა და გენერირების უნარის განვითარებაზე, სამყაროს შემეცნებაზე. სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა შემეცნების აქტიურ და ინტერაქტიურ ფორმებს, თანამედროვე ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას. ყოველივე ეს მოითხოვს სერიოზულ რესურსებსა და დაფინანსებას, რათა სამუზეუმო განათლება იყოს სრულ კოორდინაციაში და ინტეგრირებული არსებულ ტრადიციულ განათლებასთან და უზრუნველყოს ახალი თაობების ჰარმონიული აღზრდის სისტემის მდგრადობა. შესაბამისად სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო პროგრამების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო პირების ურთიერთ-თანამშრომლობასა და კოორდინაციას როგორც რესურსებისა და ფინანსების მობილიზაციის, ისე სასწავლოსამეცნიერო კუთხით. ნაშრომის მიზანია მომავალი თაობების პიროვნული განვითარებისათვის სამუზეუმო განათლების როლის შეფასება ისტორიულ ასპექტში, იმავდროულად თანამედროვე ტენდენციების და გამოწვევების ჭრილში. ლიტ. 17.

ავტ.

4.6.4.1.4. სინამდვილის მხატვრული გარდასახვა. /ჯ. მარდანი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2022. – #XXII. – გვ. 60-69. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ხელოვნება და კერძოდ მისი სიტყვიერი დარგი - ლიტერატურა, როგორც ცნობიერების ფორმა, წარმოადგენს რეალობის ასახვას, მაგრამ არა მის ასლს, პირდაპირ გადაღებას, არამედ მხატვრულ გარდასახვას. ცნობილი ფრანგი მოღვაწე დენი დიდრო ცხოვრებისადმი ხელოვნების მიბაძვის ორ სახეს გამოყოფდა - ფოტოგრაფიულს, ე.ი. უიდეო, მორალურ ღირსებას მოკლებული, და ნეიტრალური-იდეური და მორალური, სწორედ ამ თვისების მატარებელია მხატვრული ლიტერატურა. მხატვრული შემოქმედება მთელი ობიექტური სინამდვილის ასახვას კი არ წარმოადგენს, არამედ იგი მხოლოდ ადამიანურ სამყაროს, საზოგადოებრივ სინამდვილეს, სულიერ და ინტელექტუალურ ცხოვრებას წარმოსახავს. მხატვრულ ნაწარმოებში ავტორი ახდენს ცხოვრების განზოგადოებას. ის სპეციფიკური საფუძველი კი, რომლის მეშვეობითაც შემოქმედი ახდენს სინამდვილის წარმოსახვას, არის შეთხზვა, გამონაგონი - „ქმნა არყოფილისა ყოფილად“. მხატვრული შეთხზვა და საერთოდ ფანტაზია იმ შემთხვევაშიც დიდ როლს თამაშობს, როდესაც მწერალი მიზნად ისახავს ისტორიული პიროვნების (პიროვნებების) ან მოვლენის განსახოვნებას. მხატვრული გამონაგონი ასეთი თემატიკის ნაწარმოებებს უფრო მეტ სიმართლის ელფერს ანიჭებს, ვიდრე მოვლენათა რეალური და ზუსტი წარმოსახვა (მაგ. გუსტავ ფლობერის „მადამ ბოვარი“, ლ. ქიაჩელის „ჰაკი აძბა“). მხატვრულ ნაწარმოებში სინამდვილიდან აღებული მასალის საფუძველზე ზნეობრივი ტენდენციები დიდი მხატვრული სულისკვეთებით არის გააზრებული. ნაწარმოებში არანაირ შემთხვევით ელემენტს არა აქვს ადგილი, მწერლის ყოველ სიტყვას, მხატვრულ „დეტალს“ უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია და საბოლოო ჯამში ცხოვრებისეული რეალობის მხატვრულ სიმართლედ გარდაქმნას ემსახურება, რომელიც უფრო ნამდვილია და დამაჯერებელი, ამიტომაც მკითხველზე მეტ მორალურ-ზნეობრივ და ესთეტიკურ ზეგავლენას ახდენს ვიდრე რეალური სინამდვილე. ლიტ. 6.

ავტ.

4.6.4.1.5. თეატრი და ქართული იდენტობა („ივერიის“ მიხედვით). /ქ. მანია/. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. – 2023. – #1. – გვ. 119-128. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

თეატრს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული იდენტობის გადარჩენისთვის, ვინაიდან რუსული მმართველობის პერიოდში თეატრი არა მარტო დასვენების ადგილს, არამედ ნაციონალური ენის საჯარო გამოყენების საშუალებას წარმოადგენდა. ქართველთა დენაციონალიზაციის პირობებში თეატრი უნდა გამხდარიყო იდენტობის შენარჩუნების უმთავრეს საშუალებად, გამოეფხიზლებინა საზოგადოება და განემტკიცებინა ეროვნული ცნობიერება. ე.ი. ქართულ თეატრს უნდა შეექმნა იდენტობის ახალი ნაციონალური მეხსიერების ადგილი. აღნიშნულიდან გამომდინარე განსხვავებული რაკურსით წარმოვადგენთ ქართული თეატრის ისტორიას ბეჭდური მედიის - ივერიის პუბლიკაციების ანალიზით. მასალათა მრავალფეროვნებაში მოცემულია ქართულ სცენაზე შესრულებულ წარმოდგენებზე მსჯელობა, პიესების, შემსრულებლების ხელოვნების კრიტიკული გარჩევა. ამასთან, მედიაში გაშუქებულია გამართული წარმოდგენების და წარმოდგენების ხელშემწყობთა შესახებ ინფორმაციები. მდიდარი და მრავალფეროვანი პუბლიკაციები გვიდასტურებს ქართული თეატრის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართველობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. წარმოდგენები იმართებოდა ქართულად, წარმოდგენის შემდეგ სადამო გრძელდებოდა ქართული ლექსების კითხვით, რაც შეკრებილ საზოგადოებას სენტიმენტებს უღვივებდა და უძლიერებდა. გარდა ამისა, წარმოდგენები ხშირ შემთხვევაში საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა: ეხმარებოდნენ ღარიბ მოსწავლეებს, აგრეთვე წყალდიდობით დაზარალებულებს, სკოლისა თუ სამკითხველოს დაარსებას უწევდნენ შემწეობას. ასეთი ფაქტები მისაბამი უნდა გამხდარიყო სრულიად საქართველოსთვის. ამდენად, თეატრი მრავალმხრივ ეწეოდა ეროვნულ საქმეს: აჯანსაღებდა დამსწრე საზოგადოების სულს, ეწეოდა ქველმოქმედებას, ადგენდა და აკავშირებდა ქართულ იდენტობას. ლიტ. 7.

ავტ.

6.4.2. არქიტექტურული დიზაინი

4.6.4.2.1. დიზაინ-აზროვნება არქიტექტორებისთვის: საერთაშორისო საგანმანათლებლო მოდელების კრიტიკა. /ნ. შავიშვილი, ნ. ახობაძე/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2024. – #1(531). – გვ. 39-53. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-1-39-53>

განხილულია საქართველოში დიზაინის მიმართულების სტუდენტებისათვის დიზაინ-აზროვნების სწავლების მიზანშეწონილობა. დიზაინ-აზროვნება არის მომხმარებელზე ორიენტირებული მეთოდი, რომელიც დაახლოებით 60 წლის წინ შეიქმნა და დიზაინის თითქმის ყველა სფეროში ფართოდ გამოიყენება, მათ შორის არქიტექტურაში. წამყვანი არქიტექტურული ფირმები დიზაინ-აზროვნებით ხელმძღვანელობენ. ამ მეთოდს ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს, რომლებიც უწუნებენ კრეატიულობის ნაკლებობას, ეწინააღმდეგებიან მის კოლექტიურ მუშაობას და სხვა. ამის საპირისპიროდ დიზაინ-აზროვნების მომხრეები ამტკიცებენ, რომ დიზაინ-აზროვნების მიდგომები სულაც არ ზღუდავს კრეატიულობას და რომ თანამედროვე არქიტექტურა იმდენად კომპლექსური გახდა, რომ მხოლოდ ერთი სფეროს წარმომადგენლები ვერ შეძლებენ ყველაფრის გათვალისწინებას. საინტერესოა, რომ ამ მეთოდოლოგიას მთავარი წინააღმდეგობა სწორედ იმ ქვეყანაში შეხვდა, სადაც დაიბადა – აშშ-ში. რაც შეეხება საქართველოს, სტატიის ავტორების მიერ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლაში ჩატარებული სტუდენტების

გამოკითხვით დადგინდა, რომ მათი უმრავლესობა დადებითადაა განწყობილი და აპირებს მომავალ საქმიანობაში გამოიყენოს დიზაინ-აზროვნება. სურ. 8, ლიტ. 23.

ავტ.

4.6.4.2.2. X საუკუნის რაჭის კანკელების მცენარეული ორნამენტების უცხოური ანალოგიების დადგენის მცდელობა. /ა. რეხვიაშვილი/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2024. – #1(531). – გვ. 9-18. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-1-9-18>

X საუკუნის რაჭის ქვის მხატვრული დამუშავების ფიგურულ-ორნამენტული რელიეფური ნიმუშები მხატვრულ-სტილისტური მსგავსების საფუძველზე სხვადასხვა ქრონოლოგიური საფეხურის სამ ინდივიდუალურ სახელოსნოში ერთიანდება. ამ ძეგლებისა და მათ შორის, ქვის კანკელების დეკორატიულ გაფორმებაში აღსანიშნავია მცენარეულ-გეომეტრიულ მოტივებზე აგებული მრავალფეროვანი ორნამენტული რეპერტუარი. აღნიშნულთაგან, წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია X საუკუნის რაჭის ქვის კანკელების მცენარეული ორნამენტის რამდენიმე სახასიათო მოტივი, რომლებიც განხილულია სხვა, თანადროული ქართული ძეგლების პარალელურ მასალასთან შედარების კონტექსტში, ხოლო VIII-IX საუკუნეების ISSN 1512-0996 www.shromebi.gtu.ge იტალიის, ხორვატიის, ერაყის, ავღანეთის, სირიისა და ეგვიპტის ქვაში, ხის მასალასა და სტუკოში შესრულებულ ძეგლებთან კომპარატივისტული ანალიზის საფუძველზე დადასტურებულია ქართულ მაგალითებში გამოყენებული დეკორატიული მოტივების უცხოური ანალოგიების არსებობის საკითხი, რაც, ფართო ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში X საუკუნის ქართული ხელოვნების თანადროულ აღმოსავლურ თუ დასავლურ ცივილიზაციებთან კავშირებსა და, შესაბამისად, ეპოქისთვის სახასიათო მხატვრული ტენდენციების ურთიერთგავლენა-შეძინებაზე უნდა მიანიშნებდეს. სურ. 30, ლიტ. 10.

ავტ.

6.4.3. საშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა (მუსიკათმცოდნეობა, თეატრთმცოდნეობა, დრამატურგია)

4.6.4.3.1. ოთარ თაქთაქიშვილის ვოკალური ციკლი „ნიკოლოზ ბარათაშვილის შვიდი ლექსი“. /ე. გოგოლიძე/. ქესჟ: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2023. – #2(28). – გვ. 17-31. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში წარმოდგენილია ოთარ თაქთაქიშვილის ვოკალური ციკლის „ნიკოლოზ ბარათაშვილის შვიდი ლექსი“ კომპლექსური ანალიზი. მისი კომპოზიციურ-შინაარსობრივი თავისებურებები, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ტექსტისა და მუსიკის ინტერპრეტაციის, ვოკალისა და საფორტეპიანო თანხლების ურთიერთქმედების სპეციფიკა. ყურადღება გამახვილებულია კონცერტმასიტერის საშემსრულებლო ასპექტებზე. სქემა 7, ლიტ. 19.

ავტ.

4.6.4.3.2. ელექტროაკუსტიკური მუსიკის საწყისები მიხეილ შუღლიაშვილის ნაწარმოებებში „ინვერსია“ და „მულტიპლიკაცია“. /ნ. ბარაბაძე/. ქესჟ: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2023. – #2(28). – გვ. 70-85. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია ქართული ელექტრონული/ელექტროაკუსტიკური მუსიკის საწყისები მიხეილ შუღლიაშვილის ნაწარმოებებში „ინვერსია“ და „მულტიპლიკაცია“. კვლევის მთავარ ობიექტად წარმოდგენილია მიხეილ შუღლიაშვილის საკომპოზიტორო მიდგომები, ესთეტიკა და

სააზროვნო პრინციპები, მათემატიკისა და ლოგიკის როლი მის შემოქმედებაში, სწრაფვა კონსტრუქციულობისკენ. სურ. 5, სქემა 2, ლიტ. 13.

ავტ.

4.6.4.3.3. ფ. ლისტის ფანტაზია კვაზი სონატა „დანტეს წაკითხვის შემდეგ“. /თ. ლიჩელი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია. – 2023. – #2(28). – გვ. 32-51. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ფერენც ლისტის ფანტაზია კვაზი სონატას „დანტეს წაკითხვის შემდეგ“ დიდი და სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია პიანისტთა რეპერტუარში. ეს ნაწარმოები სხვადასხვა დროს იქცევა მკვლევრების ყურადღებას, თუმცა მწირია ლიტერატურა, სადაც ნაწარმოები შემსრულებლის რაკურსიდანაა შესწავლილი. სტატიაში განხილულია ლისტის ფანტაზია კვაზი სონატის შექმნის ისტორია, კომპოზიციურ-დრამატურგიული თავისებურებები, ფანტაზიურობისა და ერთნაწილიანი სონატის პრინციპების ურთიერთქმედების ასპექტები. სხვადასხვა პიანისტთა და საკუთარ სამემსრულებლო გამოცდილებაზე დაყრდნობით ავტორი განიხილავს ნაწარმოების ინტერპრეტაციის საკითხებს. სურ. 9, ცხრ. 1, ლიტ. 7.

ავტ.

4.6.4.3.4. ევრიპიდეს ფედრას მხატვრული სახის გარდასახვა ბრიტანულ და ქართულ თეატრალურ სივრცეში. /თ. სიბაშვილი/. ჟურნალი სპეკალი. – 2023. – #17. – ქართ., ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.55804/jtsuSPEKALI-17-7>

ტომას სტერნზ ელიოტი თავის ესეში „ტრადიცია და პიროვნული ნიჭიერება“ წერს: „როცა ხელოვნების ახალი ნიმუში იქმნება, ის უმაღლეს ახდენს ზეგავლენას მანამდე შექმნილ ხელოვნების ყველა ნიმუშზე. არსებული ძეგლები ერთურთს შორის აყალიბებენ იდეალურ წესრიგს, რაც იცვლება ახალი (ჭეშმარიტად ახალი) ხელოვნების ნიმუშის გავლენით. არსებული წესრიგი მანამ ითვლება სრულყოფილად, სანამ ახალი ქმნილება გამოჩნდებოდეს, რადგან, წესრიგმა სიახლის მოძალებას რომ გაუძლოს, მთელი არსებული წესრიგი, თუნდაც მცირედ, მაგრამ მაინც უნდა შეიცვალოს და ასევე იცვლება მიმართება, დამოკიდებულება, შეფასება ხელოვნების თითოეული ქმნილებისა დანარჩენებთან შედარებით. ეს არის შეგუება, შეხამება ძველსა და ახალს შორის“ [ინტერნეტ რესურსი 1]. შესაბამისად, როცა ფედრას სახის მხატვრულ გარდასახვაზე მოგითხრობთ, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება სხვადასხვა ეპოქაში არსებულ ფედრას სახეებს, აუცილებელია, სწორედ ევრიპიდეს „ჰიპოლიტოსით“ დავიწყო, რადგანაც, ევრიპიდესეული ფედრას სახე ბერძნული ტრაგედიის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ლიტერატურულ ხასიათადაა მიჩნეული. ლიტ. 8.

ავტ.

6.4.4. ფოლკლორისტიკა

4.6.4.4.1. ფოლკლორულ-მითოლოგიური რეალიები შოთა ნიშნიანძის პოეზიაში. /ნ. ნიკოლაძე-ლომსიანიძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 142-149. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

ქართული ლიტერატურის ისტორიამ, ისე როგორც მსოფლიო ისტორიამ, იცის ბევრი შემოქმედი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მე-20 საუკუნის ქართული პოეზიის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს შოთა ნიშნიანძეს. შოთა ნიშნიანძემ არაერთი ხალხური ნაწარმოები გააცოცხლა, შთაბერა მას თავისი პოეტური სული და ქართველ ხალხს მიაწოდა ღრმაიდეური და მაღალმხატვრული შესანიშნავი ორიგინალური ლექსები. პოეტი თავის ლექსებში ხშირად

მიმართავს მითოსურ პლასტებს, ქართველი ხალხის უძველესი რწმენით, მზეს და მთვარეს, როგორც ღვთაებებს; ინტერპრეტაციით იყენებს ნახევრადმითოსური, საგმირო, უძველესი ეპოსის ფრაგმენტებს, პერსონაჟებს ხალხური „ამირანიანიდან“, საუბრობს პრომეთეს მიერ ზევსისათვის ცეცხლის მოპარვის შესახებ. მის პოეზიაში არცთუ იშვიათად არის ჩართული სხვა მითოსური პერსონაჟებიც: დალი, ალი, როკაპი, ჭინკა, დევი, ოჩოკოჩი, გველემაპი, ურჩხული და სხვები. ხშირად მოუხმობს მითოსურ ღმერთებსა და გმირებს; იყენებს ბიბლიურ სახეებს, მოტივებსა და სიუჟეტებს. ასევე, შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში მრავლად არის განფენილი ხალხური ლექს-სიმღერები. ტექსტები შესულია როგორც უცვლელად, ასევე, ნაწილობრივი ცვლილებებით. ნაშრომში მოგვყავს შესაბამისი ნიმუშები. შეიძლება ითქვას, რომ შოთა ნიშნიანიძის ლექსების უმრავლესობას სიუჟეტით, მოტივებით, სახეებით ზეპირსიტყვიერების გავლენა ამჩნევია. ხალხური შემოქმედების გამოყენებით პოეტის ლექსები მეტი ბუნებრივობით, უბრალოებითა და მუსიკალობით გამოირჩევა, რითაც მკვიდრ ადგილს იჭერს მკითხველის გულსა და გონებაში. ლიტ. 1.

ავტ.

4.6.4.4.2. ხალხური შემოქმედების ასახვისათვის ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებში. /ე. ვარდოშვილი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2022. – XXII. – გვ. 50-59. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ფოლკლორულ მასალას იყენებს ყაზბეგი მხატვრულ, ეთნოგრაფიული და ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულებებში. ეთნოგრაფიული ხასიათის წერილი „მოხვევები და იმათი ცხოვრება“, რომელიც გაზეთ „დროებაში“ 1880 წელს გამოქვეყნდა და წარმოადგენს მისი შემოქმედების ერთგვარ საფუძველს. „ნამწყემსარის მოგონებანში“ იგი წერს: „მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით... როგორც ეს ყველა ჩავისმინე და გავიგე, გადავწყვიტე მოთხრობებად გადმოგცეთ და გაგაცნოთ ამ ხალხის ჩვეულება, ხასიათი და წესები“ (ყაზბეგი). აქ ყაზბეგმა ნათლად განსაზღვრა თავისი ცხოვრების მიზანი და მხატვრულ ქმნილებათა არსი. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი თავად კრებდა და ავრცელებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. 1885 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა მის მიერ ჩაწერილი ლექსები, სათაურით „სახალხო ლექსები ხევში შეკრებილი ა. მოჩუბარიძისაგან“. 1886 წელს კი ცალკე წიგნად გამოიცა „სახალხო ლექსები, მოხვევითა და მოხვევის სიმღერები“. ხალხური სიტყვიერების გავლენა შეინიშნება მის ლირიკულ ლექსებშიც. ლიტ. 5.

ავტ.

6.4.5. კვლევები კინოხელოვნების, რადიოსა და ტელევიზიის სფეროში

4.6.4.5.1. ტექნოლოგიური პროგრესი - კინოხელოვნების განვითარების მნიშვნელოვანი წყარო. /გ. ხარებავა/. ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული. – 2024. – #4(14). – გვ. 133-139. – ქართ., ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კინოტექნოლოგიების განვითარება და ადამიანის შემოქმედებითი ფანტაზია მჭიდროდაა გადაჯაჭვული. ზოგჯერ შემოქმედებითი აზროვნება აძლევს ტექნოლოგიურ განვითარებას ბიძგს, ხოლო ზოგჯერ პირიქით - ტექნოლოგიური წინსვლა ხდება შემოქმედებითი სიახლეების მოტივაცია. ლიტ. 4.

ავტ.

4.6.4.5.2. რელიგიური თემატიკის ასახვის ასპექტები პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ კინემატოგრაფში. /ზ. ჯორჯაძე/. ჟურნალი სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი. – 2023. – #3(93). – გვ. 155-160. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

საქართველოს პოსტსაბჭოთა, დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდში რელიგიის თავისუფლებამ, საბჭოთა მარწუხებისგან გათავისუფლებულმა ათეისტურმა შეხედულებებმა საზოგადოების ცნობიერებაში აზროვნებისა და განსჯის სულ სხვა ნაკადი შემოიტანა. საზოგადოება ბინალურმა სულისკვეთებამ მოიცვა – ეროვნულ-განმათავისუფლებელმა და სარწმუნოებრივმა. ეროვნული განუყოფელი გახდა სარწმუნოებრივისაგან. პოსტსაბჭოთა პერიოდში საზოგადოებრივ-სოციალური მოთხოვნა შეიქმნა გადაღებულიყო ფილმები რელიგიურ თემატიკაზე, აქამდე ართქმულ ან ტაბუირებულ თემებზე. პრიორიტეტული გახდა როგორც საბჭოთა პერიოდის, ასევე თანამედროვე სასულიერო პირთა პარადიგმები. დაიწერა სცენარები ცნობილ ავტორთა ნაწარმოებების მიხედვით. რადგან ოფიციალური ცენზურა აღარ არსებობდა, შესაძლებლობა შეიქმნა თავისუფალი ინტერპრეტაციისა. ნაშრომი მოიცავს შემდეგ საკითხებს: საბჭოთა ათეისტური პერიოდის განმავლობაში შექმნილი სარწმუნოებრივი ვაკუუმის შევსება, საზოგადოების სხვადასხვა ფენის რელიგიური შემეცნების ამაღლება, ისტორიული ანალების მაგალითზე რელიგიური სწავლების გავრცელება. სარწმუნოებრივად ინდიფერენტული ფენების გათვითცნობიერება რიტუალური წეს-ჩვეულებებიდან ზოგად-რელიგიურ საკითხებზე რაციონალური მსჯელობის პერსპექტივებამდე. თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულება სარწმუნოებისადმი და საზოგადოებრივ-სოციალური მოთხოვნა კინემატოგრაფიაში რელიგიური თემატიკის ასახვისა, რელიგიური თემების აქტუალობა. ათეისტური სტერეოტიპების დამლევა, თანამედროვე ხელოვანების მიერ რელიგიური თემატიკის ასახვა კინემატოგრაფში, საბჭოთა პერიოდში ტაბუდადებულ რელიგიურ თემებზე შექმნილი ნაწარმოებების ახლებური აღქმა და გააზრება. პოსტსაბჭოთა პერიოდში ცენზურის არარსებობის გამო ქართულ კინემატოგრაფში თანამედროვე რეჟისორების მიერ რელიგიურ თემატიკის, სარწმუნოებრივი საკითხის, სასულიერო პირების ინტერპრეტირებულად ასახვა. მღვდელმსახურთა ეკრანზე წარმოჩინების ახალი ასპექტები პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ფილმების პარადიგმებით, ახალი ხედვა და განწყობები, „ანთიმოზ ივერიელი“ (რეჟისორი გიული ჭოხონელიძე, 2001), „აღსარება“ (რეჟისორი ზაზა ურუშაძე, 2018), „ბეჭდების მბრძანებელი“ (რეჟისორი გია ბარაბაძე, 2020) – რა კითხვებს გააჩენს? როგორ მიიღებს თანამედროვე მაყურებელი რელიგიური თემების განახლებულ ან სტილი ზებულ ვარიანტებს, პერცეფციების (აღქმის) როგორ ხარისხს გამოავლენს? დადებითია თუ არა ასეთი თამამი ინტერპრეტირება რელიგიური თემატიკისა, თეოლოგიაში მეცნიერული წვდომის უკმარისობაა თუ გამიზნულად კეთდება? ახდენს თუ არა იგი ზეგავლენას მაყურებლის ცნობიერებაზე? – ამას დრო გვიჩვენებს. ლიტ. 8.

ავტ.

4.6.4.5.3. ცოტა რამ კინოების შესახებ. /ლ. მენაბდიშვილი/. ჟურნალი სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი. – 2023. – #3(93). – გვ. 73-83. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის თემაა ორი დარგის ურთიერთობის დიალექტიკა, ლიტერატურა, რომელიც გამოსახვის საშუალებად იყენებს სიტყვას, მეტყველებას, ენას და ამბავს გადმოგვცემს წერილობით; და კინოხელოვნება, რომელშიც ხდება ლიტერატურის, თეატრის, სახვითი ხელოვნების და მუსიკის სინთეზი, რომელთა მეშვეობითაც იქმნება კინოგამოსახულება. ერთმანეთის პირისპირ მსურს დავაყენო ხელოვნების უძველესი და უახლესი ეს ორი დარგი და ვეცადო გავარკვიო რა დადებითი და რა უარყოფითი შედეგი მოგვცა ამ სინთეზმა. დასმული საკითხის გადაჭრის თვალსაჩინოებისათვის ავირჩიე მსოფლიო კინემატოგრაფიის ერთ-ერთი გენიალური წარმომადგენლის, დიდი იტალიელი რეჟისორის, ლუკინო ვისკონტის მიერ

განხორციელებული ეკრანიზაციები. აქვე გაჩნდება კითხვა, რატომ ლუკინო ვისკონტი? როდესაც საკვლევ თემას ვირჩევდი, დავინტერესდი თეატრალურ უნივერსიტეტში მსოფლიო კინოს ისტორიაში დაცული დისერტაციებით, ამ მიმართულებით კვლევები მწირი აღმოჩნდა რაც გახდა ჩემი სადისერტაციო თემის ინსპირაციის საფუძველი. საჭიროდ მივიჩნიე, ქართული კინემატოგრაფიის კვლევების გვერდით გვემსჯელა და გვესაუბრა მსოფლიო კინემატოგრაფიის კვლევებზე, რათა კინემატოგრაფიით დაინტერესებულმა პირებმა, ჩემი კვლევის საფუძველზე, შეძლონ ანალიზი რა ავიღეთ ან რა უნდა ავიღოთ მსოფლიო კინემატოგრაფიის გამოცდილებიდან, რომ ქართული კინოხელოვნება გახდეს სრულყოფილიანი წევრი მსოფლიო კინემატოგრაფიისა. კინოენის ბუნების შესახებ დისკუსიების შეჯამებით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კინოს ენა მირეულად განსხვავდება ლიტერატურის ენისაგან. მათი ნიშნები ბუნებით ფუნდამენტურად განსხვავებულია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ფილმის ენის ნიშნებს მნიშვნელოვანი მსგავსება აქვთ დანიშნულ ობიექტებთან, ისინი მაინც არიან ნიშნები და არა თავად რეალობის ობიექტები. მაშინაც კი, როცა კადრში ჩნდება ბუნებრივი საგანი (არა ადამიანის მიერ შექმნილი), ფილმში ის ყოველთვის ატარებს გარკვეულ მნიშვნელობას, მუშაობს მთლიანობაში იმ ცენტრალურ იდეაზე, რისი გადაცემაც სურს რეჟისორს მაყურებლისთვის. კინოენის ელემენტები შედის ნიშანთა სისტემაში, რომელიც განსაზღვრულია მთელი რიგი სოციალურ-კულტურული ფაქტორებით, მათ შორის, ეროვნული კულტურის ტიპი, „ეპოქის სული“, დომინანტური იდეოლოგიები, ფილმის კუთვნილება გარკვეულ ჟანრში, მისი სტილისტური მახასიათებლები, პიროვნება, ცხოვრებისეული გამოცდილება და ფილმის გემოვნება. როგორ უნდა შეარჩიოს რეჟისორმა ლიტერატურული ნაწარმოები, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნას საკუთარი ხელწერის ფილმი, არსებობს რამე, უკვე მიღებული კრიტერიუმი ეკრანიზაციის ისტორიაში? პატარ-პატარა ხრიკები ცნობილია: ლიტერატურის ტექსტი რაც უფრო გამჭვირვალეა და მსუბუქი, მით უკეთ ითარგმნება კინოენაზე; დეტექტიური ისტორიები, სათავგადასავლო ჟანრი ლიტერატურაშიც გაცილებით სავსეა მოქმედებებით, რასაც ასე იხდენ ფილმი; და სხვა უამრავი. მდარე ლიტერატურიდან შეიძლება გაკეთდეს კარგად სანახავი ფილმი და კლასიკური ნაწარმოები შეიძლება ვერ მოირგოს ეკრანმა; არსებობს სიტუაციები, ზოგადი შინაარსი, პერსონაჟთა სახეები, რომელიც კარგად იკითხება, მაგრამ კინოში მისი ადაპტირება თითქმის შეუძლებელია. ხშირ შემთხვევაში ფილმი „დალატობს“ პირველწყაროს, მაგრამ მას იმდენად ახალ განზომილებაში გადაჰყავს ლიტერატურული ნაწარმოები, რომ ფილმი ბევრად უპირატესი ხდება პირველწყაროზე. სწორედ ფილმის შემქმნელთა ახალი ხედვა გვაძლევს იმის საშუალებას გავიგოთ რა აერთიანებს და რა ზღუდე არსებობს ლიტერატურულ და კინოენას შორის. ლიტ. 8.

ავტ.

4.6.4.5.4. დიდი და პატარა ქალაქები ქართულ კინოში. /თ. თურმანიძე/. ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული. – 2024. – #4(14). – გვ. 100-103. – ქართ., ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კინოში ასახული ქალაქების ფუნქციის ცვლის პროცესზე დაკვირვება, თავად საზოგადოების განვითარებაზე, კულტურულ, ისტორიულ თუ პოლიტიკურ ცვლილებებზე დაკვირვების ტოლფასია. თითოეული ეპოქა ქალაქის საკუთარ ხატებას ქმნის კინოში. ლიტ. 3.

ავტ.

6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები

4.6.5.1. საუნივერსიტეტო განათლება და ეროვნული პოლიტიკა სამცხე-ჯავახეთში. /მ. ბერიძე/.
მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. – 2023. – #1.
– გვ. 136-152. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ოცდაათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საუნივერსიტეტო ცხოვრებით ცხოვრობს სამხრეთ საქართველო, ახალციხე, ახალქალაქი. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მისმა ახალგაზრდა მეცნიერებმა კურსი სამხრეთისაკენ აიღეს. ყველაზე შორეულ სოფელშიც კი შეაღწია ახალგაზრდულმა ენერგიამ. დედაქალაქმა ხელახლა აღმოაჩინა მესხეთი, რომელიც ყოველთვის პატრიოტიზმისა და ეროვნული თვითმყოფადობის, ქართული კულტურის სათავეების სიმბოლო იყო. 1990 წელს გაიხსნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი. მასთან ერთად, ერთი ბრძანებით, შეიქმნა რვა საგანმანათლებლო დანაყოფი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ისტორიის გამოცდას გაუძლო მხოლოდ ახალციხემ, რომელიც დღევანდლამდე მოვიდა, როგორც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი მდებარეობს ორ გეოგრაფიულ პუნქტში - ახალციხესა და ახალქალაქში და აგრძელებს იმ უძველეს საგანმანათლებლო ტრადიციებს, რომელიც თან ახლდა მესხეთს მთელი ისტორიის მანძილზე. უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა რეგიონულ საგანმანათლებლო დაწესებულებად და აქვს ამბიცია, რეგიონის ადმინისტრაციასთან ერთად შექმნას სამცხე-ჯავახეთის მომავალი. მის ჩამოყალიბებას პირველ რიგში მოჰყვა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ეს პროცესი გრძელდება. უნივერსიტეტში ქართველებთან ერთად სწავლობენ არაქართულსკოლადამთავრებული სტუდენტები. სომეხი ახალგაზრდები გადიან ერთწლიან სახელმწიფო პროგრამას, რის შემდეგაც მათთვის პრობლემა აღარ არის სახელმწიფო ენაზე სწავლა და შესაბამისი სპეციალობის მიღება. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს სახელმწიფო ენის შესწავლისა და ეროვნულ უმცირესობათა სახელმწიფოსთან ინტეგრაციის პროცესში. ამ ყველაფერს შედეგად მოჰყვა ის, რომ სახელმწიფო ენა თავის ფუნქციას ასრულებს არაქართულენოვან ადმინისტრაციულ დაწესებულებებში, რომელშიც უკვე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მოვიდნენ რეგიონული მართვის ორგანოებში. უნივერსიტეტმა ხელი შეუწყო ბევრი ისეთი დარგის განვითარებას, რომელიც დეფიციტური იყო მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, ამიტომაც უმაღლესი დაწესებულების განვითარება, ახალი სპეციალობებისა და მიმართულებების შექმნა რეგიონის მოთხოვნებთან არის დაკავშირებული. დიდია ასევე უნივერსიტეტის როლი მესხეთში ხელოვნების სხვადასხვა დარგის, ლიტერატურის და საგამომცემლო საქმიანობის განვითარებაში. ლიტ. 9.

ავტ.

4.6.5.2. ყრუთა თემი და სახელმწიფო ენა. /თ. მახარობლიძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2024. – #31. – გვ. 53-56. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

საქართველოში მცხოვრები ყრუთა თემი დაახლოებით 2500 ადამიანს აერთიანებს. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყრუები წარმოადგენენ ლინგვისტურ უმცირესობას. ამ თემის წევრების საკომუნიკაციო ენა არის ქართული ჟესტური ენა, რომელიც არის დამოუკიდებელი ბუნებრივი ენა და არ გახლავთ ქართული სამეტყველო ენის კოპირებადი ვერსია. სამწუხაროდ, ყრუთა განათლების საკითხები სერიოზულ სამუშაოს საჭიროებს და აქ გვაქვს დიდი ჩავარდნა, რაც პირდაპირ აისახება ამ თემის წევრების (განსაკუთრებით ახალგაზრდების) პირად ცხოვრებაზე, მათ კარიერულ და პროფესიულ პერსპექტივებზე. ერთ-ერთი დიდი პრობლემა, რაც ამ თემის წევრებს ძალიან აწუხებთ, არის ის, რომ ამ საზოგადოების წევრების დიდმა ნაწილმა კარგად არ იცის ან ძალიან ცუდად იცის სახელმწიფო ენა – ქართული

სამეტყველო ენა. ქართული ენის სათანადო არცოდნის გამო ყრუები ერიდებიან წერილობით კომუნიკაციებს სოციალურ ქსელებშიც კი და ამჯობინებენ ისევ მხოლოდ ერთმანეთთან იქონიონ ურთიერთობა ქართულ ჟესტურ ენაზე. წინამდებარე სტატიაში საუბარია ყრუთა თემისთვის სახელმწიფო ენის შესწავლის მეთოდებისა და აგრამატიზმის აღმოფხვრის ამოცანების შესახებ. ლიტ. 6.

ავტ.

4.6.5.3. ალერსისა და მოფერების გამომხატველი ლექსიკა ოტია იოსელიანის შემოქმედებაში. /მ. მიქაძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2024. – #31. – გვ. 57-66. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

მოფერება-ალერსის სემანტიკის მქონე სინონიმური ველი ალერსი არის სიყვარულით, ნაზი გრძნობით მოპყრობა, მოფერება, ხოლო ის ვინც ალერსი იცის, ვისაც ალერსი სჩვევია, არის ალერსიანი (ქეგლი). სულხან-საბა ორბელიანთან ალერსი განმარტებულია, როგორც სიტყვით შექცევა (ორბელიანი 1993:23). ამ სემანტიკურ ველში განვიხილეთ ალერსი, ალერსიანი, ის ვინც ეალერსება და ვისაც ეალერსება; ალერსის გამომხატველი სიტყვები, რომლებიც მოფერება-ალერსის მნიშვნელობით გამოიყენება, პირფერი, პირფერობა, პირფერობს; აგრეთვე ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც დასტურდება ამ სემანტიკურ ველში. ალერსი: ფერება, ფერობა, სიყვარულობა, ლამუნი, ლაციცი, ფოფინი, თათუნი, ცაცუნი, ღლაბუცი; ალერსიანი: მოალერსე, მომფერებელი, დამყვავებელი; საფერებელი, საფერაო, სალოლიავო; მოფერება-ალერსის გამომხატველი სინონიმები: პატარა, პაწაწა, პაწია, პაწაწინა, პაწაწკინა, პაწაწკინტელა, პაწაწ(კ)უნტელა, კიკნა, კიკნელა, ნამცეცა, ნალევა, ნაგალა, მოცუცქნული, პუჭურა, ბუჭულა, მინიატურული, მორჩილი, ცუცნა-კუცნა, ცუცუნა, თითის სიგრძე, თითისოდენა, თითისტოლა, ნეკისოდენა, ერთი ციდა, კრუხის პალო... საალერსო სიტყვებად ქართულ სინონიმთა ლექსიკონში წარმოდგენილია გენაცვალე! გენაცვა! დაგენაცვლე! შენი კვნესამე! კესანე! გეთაყვა! თავს შემოგევლე, (შენ) შემოგევლე, შენი ჭირიმე! შენი სულის ჭირიმე! შენი სატკივარი მე! თავს შემოგევლე! შენ შემოგევლე! შენი კუჭისა! მიტირე, მტლად დაგედე, ჭირი მოგჭამე, ჭირი მოგპარე, დედაშვილობამ და ა.შ. ლიტ. 6.

ავტ.

4.6.5.4. საქორწინო ლექსიკა და ხატოვანი თქმები ტაო-კლარჯულში. /ე. ფუტყარაძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2023. – XXVII. – გვ. 232-238. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

ტაოკლარჯული დიალექტების ლექსიკისადმი ინტერესი კვლავ აქტუალურია. თურქული ენის გავლენით აღნიშნული ლექსიკა იცვლება. მართალია, არაერთი სტატია თუ მონოგრაფიაა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ლექსიკის დარგობრივი კუთხით ანალიზი და შედარება სხვა დიალექტების მონაცემებთან უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნის დიალექტის ლექსიკურ თავისებურებათა შესახებ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ისეთი მყარი ინსტიტუტის ლექსიკაზე დაკვირვება, როგორიცაა საქორწინო ურთიერთობები თუ წეს-ჩვეულებები. გამოვლინდა არაერთი საინტერესო ლექსიკური ერთეული და ხატოვანი სიტყვა-თქმა. ეს ლექსიკური ერთეულები თუ ხატოვანი თქმები არა მხოლოდ ლექსიკოლოგიური, არამედ ეთნოკულტუროლოგიური კუთხითაც სახასიათო და მნიშვნელოვანი მასალაა. გარდა აღნიშნულისა, ტაოკლარჯული კილოები ყოველდღიურად განიცდის თურქული ენის ძლიერ გავლენას და, შესაბამისად, ჯერ კიდევ გადარჩენილი თითოეული ლექსიკური ერთეულის აღნუსხვა - შესწავლა ისევ მნიშვნელოვან, საშურ და აქტუალურ საკითხად რჩება. ლექსიკურ ერთეულთა ანალიზისას ვეყრდნობით 2004-2018 წლებში ჩვენ მიერ ჩაწერილ და სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ ტექსტებს. ლიტ. 18.

ავტ.

4.6.5.5. სიძულვილის ენა და გენდერი საქართველოში. /თ. თოთიბაძე/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 106-112. – ქართ.; რუზ.: ინგლ.

მიუხედავად იმისა, რომ გენდერულ-ფემინისტური კვლევები მსოფლიოში 1960-იანი წლებიდან საკმაოდ პოპულარულია, ეს პრობლემა ალბათ არასდროს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც დღეს, ჩვენს რეალობაში. მართალია, ქალი და მამაკაცი, კონსტიტუციის მიხედვით, თანასწორნი არიან, საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმული სტერეოტიპებიდან გამომდინარე, რეალური სურათი ძალზედ განსხვავებული და საკმაოდ მძიმეა. კერძოდ, საქართველოში ყოველწლიურად იმატებს ქალზე ოჯახური ძალადობისა და სელექციური აბორტის ფაქტები. არანაკლებია ფემიციდის მსხვერპლი ქალების რიცხვიც. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, დაადგინოს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ქართულ საზოგადოებას სიძულვილის ენასთან მიმართებით, რამდენად ხშირად გამოიყენება ის სოციალურ სივრცეში და გამოავლინოს მისი ენობრივი მახასიათებლები. კვლევა ჩატარდა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. ემპირიული მასალა შეკრებილია: 1) ელექტრონულად გავრცელებული კითხვარის პასუხებიდან, 2) სოციალური ქსელებიდან (Facebook, TikTok, Instagram, Youtube). მასალა დამუშავებულია ხელით, რადგანაც, ქართული ენა და სიძულვილის ენა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე იშვიათად იძლევა საშუალებას, რომ გამოვიყენოთ კომპიუტერული ლინგვისტური პროგრამები. ელექტრონული კითხვარის პასუხებიდან და სოციალური ქსელებიდან ამოკრეფილი ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქართული საზოგადოება ხშირად იყენებს ქალის წინააღმდეგ სიძულვილის ენას და ეს განპირობებულია განსხვავებული რელიგიური, პოლიტიკური, სექსუალური ორიენტაციისა თუ აზრის მიუღებლობით. ლიტ. 4.

ავტ.

4.6.5.6. გასტრონომიული ლექსიკა ზემო იმერულში. /მ. მწყერაშვილი/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 135-141. – ქართ.; რუზ.: ინგლ.

ყოველი ენის ლექსიკური ფონდის უმნიშვნელოვანესი ნაწილია გასტრონომიული ლექსიკა. მასში ხელშესახებადაა წარმოდგენილი ამა თუ იმ ეთნოსის ყოფა-ცხოვრების, ისტორიისა და კულტურის სპეციფიკური ნიშნები. სხვადასხვა ხალხის მიერ გამოყენებულ გასტრონომიზმთა სემანტიკური და ფუნქციური მახასიათებლები ენობრივ-კულტურული მსგავსება-განსხვავებების გამოხატულებას, რაც განპირობებულია გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, კლიმატური პირობებით, რელიგიური წეს-ჩვეულებებითა და სხვა ფაქტორებით. გასტრონომიულ ლექსიკაში ინტენსიურად და თვალსაჩინოდ ვლინდება კულტურისა და ენის ურთიერთქმედება, რაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლინგვოკულტუროლოგიის თვალსაზრისით. ამ მხრივ, უდავოდ საინტერესოა ქართული სამზარეულო, რომელიც მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის ნიშანდობლივი ტრადიციული კერძებით. ქართული გასტრონომიული ლექსიკა ჯერჯერობით სათანადოდ, ჯეროვნად არაა შესწავლილი. ამიტომაც ამ მიმართულებით კვლევების წარმოება აუცილებელია; მით უმეტეს იმ ფონზე, როცა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი სწრაფი ტემპით ვითარდება და ამის კვალობაზე იცვლება, უმჯობესდება ადამიანის ცხოვრების, შრომისა და ყოფის პირობები, რაც კულინარიულ ლექსიკაშიც აისახება. ამჟამად ჩვენი კვლევის ობიექტია ზემოიმერულში გამოყენებული გასტრონომიული ლექსიკა, გასტრონომიზმთა თემატური ჯგუფები და ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტები. გასტრონომიზმები საინტერესოა იმ მხრივაც, თუ როგორ რეალიზდებიან ისინი ყოფით-სასაუბრო მეტყველებაში ცალკეული

გამოთქმების, ფრაზებისა თუ ფრაზეოლოგიზმების სახით, ე.ი. ლექსიკურ-სემანტიკური ასპექტით. ლიტ. 6.

ავტ.

4.6.5.7. ცარიზმის ენობრივი პოლიტიკა დასავლეთ საქართველოში მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ემიგრაციული პრესის მიხედვით. /ლ. ფაჩულია/. ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა. – 2024. – XXVIII. – გვ. 162-168. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

საერთო ქართველურ ენობრივ სივრცეში ქართული ენის ფუნქციონირების საკითხი პრობლემად იქცა 1801 წლიდან, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, როდესაც ქართული ენა მეფის რუსეთის იმპერიაში თანდათანობით იზღუდებოდა და იკრძალებოდა კიდევ სკოლებში, სახელმწიფო დაწესებულებებში და ა.შ. მთელი XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში ქართველი საზოგადო და საეკლესიო მოღვაწეები შეუპოვრად იბრძოდნენ რუსეთის ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მეფის რუსეთის ენობრივი პოლიტიკა დასავლეთ საქართველოში მიზნად ისახავდა ქართული ენის შევიწროება-განდევნას და საბოლოოდ ამოძირკვას სამრევლო სკოლებიდან და ეკლესიიდან. წინამდებარე სტატია ეხება ცარიზმის ენობრივი პოლიტიკის განხილვა-გაანალიზებას დასავლეთ საქართველოში XX საუკუნის დასაწყისის ემიგრაციული პრესის, კერძოდ, გაზეთ „საქართველოს“ პუბლიკაციების მიხედვით, რომელიც გამოდიოდა პარიზში, ბერლინში, ნიუ იორკსა და სტამბოლში. მეფის რუსეთის ანტიქართული პოლიტიკის გატარებას დასავლეთ საქართველოში თითქოს ხელს უწყობდა და ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა საერთო-ქართველური ფუძე ენის დაშლა სამ დიალექტად და ამის საფუძველზე მონათესავე ქართველური ენების (ქართულის, ზანურისა და სვანურის) წარმოშობა, რომლებიც ასიმეტრიულად ვითარდებოდნენ. ეს გარემოება აძლევდა საბაზს რუს მოხელეებს ეთქვათ, რომ ქართული არ იყო მეგრელების მშობლიური ენა, რაც საფრთხეს უქმნიდა ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებას. მაგრამ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მაღალმა ეროვნულმა თვითშეგნებამ არ მისცა საშუალება მეფის რუსეთს თავისი ანტიქართული პოლიტიკის განხორციელებისა. ლიტ. 11.

ავტ.

4.6.5.8. ბიბლიოთეკის წარმოშობა ძველ საბერძნეთსა და რომში (ტრადიციული შეხედულებების რევიზირება). /გ. ჭიჭინაძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2024. – #1(23). – გვ. 165-173. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.14>

ანტიკური ბერძნული ბიბლიოთეკის წარმოშობასთან დაკავშირებით რამდენიმე ცნობილი ისტორია არსებობს, თუმცა, ვფიქრობთ, მათ გარკვეული ხარვეზი ახლავს. პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ დადასტურებული არ არის ლიცეუმების არსებობა არისტოტელეს დროს და შესაბამისად, ფილოსოფოსის, რომელიც ბიბლიოთეკის პირველ შემქმნელად ითვლება, წიგნები, სავარაუდოდ, განთავსებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ადგილას. ამ ტიპის სადავო შეხედულებებზე ვამახვილებთ ყურადღებას წინამდებარე სტატიაში. ლიტ. 16.

ავტ.

4.6.5.9. ირონიის სოციო-პრაგმატიკული ფუნქცია სოციალურ მედიაში. /მ. ნიქაბაძე/. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ონლაინჟურნალი „ETAGTSU“. – 2024. – #9. – 14 გვ. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ.

ზოგადი დახასიათებისამებრ, ირონია გამოხატავს კრიტიკისა და ზიზღის შემცველ დამოკიდებულებას და გულისხმობს ნათქვამის საპირისპიროს (Grice, 1967). წინამდებარე სტატია იკვლევს ირონიის სოციო-პრაგმატიკულ ფუნქციას სოციალურ ქსელში (ინსტაგრამი) და იძიებს შემდეგ საკითხებს: 1. რატომ ირჩევს მთქმელი ირონიას აზრის გამოსახატად და როგორ არის ირონია დაშიფრული ნათქვამში? 2. როგორ ახდენს მკითხველი ირონიის დეკოდირებას ინსტაგრამიდან აღებული მაგალითებში? 3. მიუხედავად თავისი ნეგატიური ბუნებისა, შესაძლებელია თუ არა, რომ ირონია დადებით სოციალურ ფუნქციას ასრულებდეს? აღნიშნულზე დაყრდნობით, სტატია წარმოადგენს იოჰან დეკმანის ხელოვნების ნინუშების ფოტო-მასალის ანალიზს, რომელიც გაზიარებულია მისივე ინსტაგრამის გვერდზე. წინამდებარე სტატიაში ჩვენ ასევე შევეცდებით გამოვიძიოთ, რა არის ავტორის მიზანი და განზრახვა, და თუ როგორ ახდენს ის შეხედულებების ფორმულირებას აღნიშნული კვლევისთვის შერჩეულ მაგალითებში. ამასთანავე, სტატია შეისწავლის კომენტარების სექციას, სადაც გვერდის მნახველი (მკითხველი) გამოხატავს საკუთარ აზრს. პრაგმატიკის თვალსაზრისით, აღნიშნული კვლევა ეყრდნობა შემდეგ კომპონენტებს: 1. ინსტაგრამ-გვერდის მფლობელისა და მისი მნახველის ზოგადი ფონური ცოდნა, მათი წარმოდგენა სამყაროზე (Colston & Katz, 2005); 2. ირონიის სიტუაციური ხასიათი (Kotthoff, 2003); 3. ირონია როგორც ალუზიური თვალთმაქცობა (Kumon-Nakamura et al., 1995). სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით კვლევა ეფუძნება დიუსის, კაპლანისა და ვინერის კატეგორიებს: 1. იუმორი, 2. სოციალური სტატუსის ამაღლება, 3. აგრესია, 4. ემოციური კონტროლი (Dews et al., 2009). საკვლევი მასალის ბუნებიდან გამომდინარე სტატიაში ასევე შემოთავაზებულია ჰიპოთეზა მეხუთე კატეგორიის არსებობის შესახებ, რომელიც ემატება აღნიშნულ ოთხს. ეს არის „ემფატური მოწოდება ცვლილებისკენ“. ლიტ. 31.

ავტ.

4.6.5.10. ვარლამ ჩერქეზიშვილის შესახებ. /ვ. გერგაია/. მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. – 2023. – #2. – გვ. 115-127. – ინგლ.; რეზ.:ქართ., ინგლ.

განმარტოებული საკუთარ კაბინეტში და შთაგონებული ინტელექტის პრობლემებით, დროდადრო კვლავ გავაკითხავ თავისუფლების „ნათლი-მამას“ იმ იმედით, რომ მის მიერ ნაბოძები აზროვნების უსაზღვრო სივრცე კვლავ მომცემს ახალ ინტელექტუალურ საზრდოს. დიახ, ანარქიზმი იმსახურებს სერიოზულ კვლევას, რადგან ბოლოს და ბოლოს მთავარი მასთან ადამიანია, რომელიც თავისი ბუნებით ამბივალენტური არსებაა და თვითონ არის ღრმა და სერიოზული შესწავლის საგანი. აზროვნების მეცნიერება ეხება ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს, ეხება მას ანარქიზმიც, ოღონდ მის იმ ნაწილს, რომელიც ინდივიდუალურ თვისუფლებასთან ასოცირდება, რომელიც ყველა კულტურულ-ისტორიულ ეპოქაში ადამიანისთვის საარსებო პურის მოპოვებისთვის ბრძოლის თითქმის ადეკვატური გამხდარა. ლიტ. 3.

ავტ.

ავტორთა საძიებელი

აბაშიძე ზ. – 4.6.1.1.5.
აღფაიძე თ. – 4.6.2.6.1.
ანანეიშვილი გ. – 4.6.1.1.5.
ახალაძე ლ. – 4.6.1.1.12.
ახვლედიანი ც. – 4.6.2.6.2.
ახობაძე ნ. – 4.6.4.2.1
ბარაბაძე ნ. – 4.6.4.3.2.
ბაღდადელიშვილი დ. – 4.6.2.1.1.
ბახტაძე მ. – 4.6.1.1.10.
ბენდელიანი ც. – 4.6.2.6.15.
ბერიძე მ. – 4.6.5.1.
ბერიძე ც. – 4.6.2.6.16.
გალინსკი ქ. – 4.6.2.6.22.
გამყრელიძე ალ. – 4.6.2.2.1.
გერგაია პ. – 4.6.3.1.1.; – 4.6.5.10.
გვანცელაძე გ. – 4.6.2.2.2.
გვანცელაძე თ. – 4.6.2.6.17.
გვილაშა რ. – 4.6.2.2.3.
გობიანიძე მ. – 4.6.2.6.29.
გოგია ნ. – 4.6.2.6.24.
გოგოლიძე ე. – 4.6.4.3.1.
დათუაშვილი მ. – 4.6.1.1.7.
დევიძე თ. – 4.6.2.2.6.
ენდელაძე ვ. – 4.6.2.4.9., 4.6.2.5.11.
ენდელაძე ნ. – 4.6.4.1.3.
ვარდოშვილი ე. – 4.6.4.4.2.
ზედგინიძე ნ. – 4.6.2.2.4.
ზექალაშვილი რ. – 4.6.2.2.5.
თავიდაშვილი ნ. – 4.6.2.6.3.
თედორაძე მ. – 4.6.2.6.18.
თევდორაძე გ. – 4.6.3.1.2.
თოთიბაძე თ. – 4.6.5.5.
თოფურია ე. – 4.6.2.6.4.
თურმანიძე თ. – 4.6.4.5.4.
თხელიძე ნ. – 4.6.1.1.7.
იობიძე დ. – 4.6.2.6.7.; 4.6.2.6.8.
ინჭკირველი თ. – 4.6.4.1.1.
კაკაურიძე მ. – 4.6.2.6.5.
კალანდია გ. – 4.6.1.1.2
კახიძე ა. – 4.6.1.2.1.
კახიძე ე. – 4.6.1.2.1.
კიკვიძე ზ. – 4.6.2.5.5. , 4.6.2.5.14.
კობერიძე მ. – 4.6.2.6.10.

კოსტავა თ. – 4.6. 1.1.8.
 კუტივაძე ნ. – 4.6.2.4.6., 4.6.2.5.13.
 კუცია ნ. – 4.6.2.3.1.
 ლაზვიაშვილი შ. – 4.6.2.6.30.
 ლანჩავა ო. – 4.6.1.2.2.
 ლაღაძე ს. – 4.6.2.6.6.
 ლეთოდიაწი ა. – 4.6.2.5.1.
 ლიჩელი თ. – 4.6.4.3.3.
 ლომთათიძე თ. – 4.6.1.1.11.
 მაკარაძე ე. – 4.6.1.1.3.
 მაღაყმაძე რ. – 4.6.1.1.11.
 მანია ქ. – 4.6.4.1.5.
 მარსაგიშვილი მ. – 4.6.1.1.9.
 მარღანია ჯ. – 4.6.4.1.4.
 მაჭავარიანი თ. – 4.6.2.4.7., 4.6.2.4.10., 4.6.2.6.18.
 მახათაძე მ. – 4.6.2.6.26.
 მახარობლიძე თ. – 4.6.5.2.
 მელიქიძე დ. – 4.6.2.2.1.
 მენაბდიშვილი ლ. – 4.6.4.5.3.
 მეტრეველი რ. – 4.6.1.1.1.
 მინდიაშვილი ნ. – 4.6.2.3.1.
 მიქაძე მ. – 4.6.5.3
 მუჯირი ვ. – 4.6.4.1.3.
 მწყერაშვილი მ. – 4.6.5.6.
 მჭედლიშვილი მ. – 4.6.2.6.23.
 ნავროზაშვილი ე. – 4.6.2.6.9.
 ნაცვლიშვილი ი. – 4.6.2.6.12.
 ნარაკიძე ც. – 4.6.2.2.9.
 ნემსაძე ა. – 4.6.2.3.4.
 ნიკოლაძე-ლომსიანიძე ნ. – 4.6.4.4.1
 ნინიძე თ. – 4.6.2.6.19.
 ნიქაბაძე მ. – 4.6.5.9.
 პავლიაშვილი ქ. – 4.6.3.4.1.
 რატიაწი ი. – 4.6.2.4.1., 4.6.2.4.2.
 რეხვიაშვილი ა. – 4.6.4.2.2.
 რუსაძე ი. – 4.6.2.2.3., 4.6.2.2.7.
 რუხაძე მ. – 4.6.2.6.11.
 სადალაშვილი ნ. – 4.6.2.3.1.
 სანაია ფ. – 4.6.2.1.2., 4.6.2.1.3.
 სარავა ნ. – 4.6.1.2.2.
 სვანიძე რ. – 4.6.2.2.8.
 სიბაშვილი თ. – 4.6.4.3.4.
 სიხარულიძე თ. – 4.6.2.4.5., 4.6.2.5.2.
 სორდია გ. – 4.6.1.1.7.
 სულაბერიძე დ. – 4.6.1.2.2.

სურამელაშვილი მ. – 4.6.4.1.2.
 სურმანიძე ს. – 4.6.2.5.6.
 სუსარეიშვილი მ. – 4.6.2.4.8.
 ტყეზუჩავა ლ. – 4.6.2.4.4.
 უგრეხელიძე ი. – 4.6.1.2.2.
 ფაჩულია ლ. – 4.6.5.7.
 ფეიქრიშვილი ჟ. – 4.6.2.6.20.
 ფერაძე ნ. – 4.6.2.5.15.
 ფურცელაძე ვ. – 4.6.2.6.28.
 ფუტყარაძე ე. – 4.6.1.1.11., 4.6.5.4.
 ფუტყარაძე ქ. – 4.6.2.5.12.
 ქადაგიშვილი ე. – 4.6.2.6.12.
 ქარდავა მ. – 4.6.2.5.7.
 ქარციძე ნ. – 4.6.1.2.2.
 ქაცარავა მ. – 4.6.2.5.8.
 ქაჯაია მ. – 4.6.2.5.3.
 ლალანიძე მ. – 4.6.2.4.3.
 ღამბაშიძე მ. – 4.6.2.6.13.
 ღარიბაშვილი მ. – 4.6.2.6.30.
 შავიშვილი ნ. – 4.6.4.2.1.
 შურღია თ. – 4.6.2.3.3.
 ჩარკვიანი ი. – 4.6.1.1.7.
 ჩაჩხიანი არ. – 4.6.1.1.6.
 ჩაჩხუნაშვილი ც. – 4.6.4.1.2.
 ჩელებაძე ნ. – 4.6.1.1.11.
 ჩხაიძე ნ. – 4.6.2.6.27.
 ჩხატარაშვილი გ. – 4.6.1.2.1.
 ჩუხუა მ. – 4.6.2.6.21.
 ციხელაშვილი ლ. – 4.6.2.6.9.
 წიგნაძე შ. – 4.6.2.6.31.
 ჭიჭილეიშვილი მ. – 4.6.1.1.11.
 ჭიჭინაძე გ. – 4.6.5.8.
 ჭიჭინაძე მ. – 4.6.2.5.9.
 ჭიქაბერიძე მ. – 4.6.2.5.4.
 ჭუმბურიძე-შეწირული ე. – 4.6.2.3.5.
 ხარეზავა გ. – 4.6.4.5.1.
 ხატიაშვილი თ. – 4.6.2.6.25.
 ხინთიბიძე ე. – 4.6.2.3.2.
 ხორბალაძე გ. – 4.6.2.5.10.
 ჯაფარიძე ე. – 4.6.1.1.4.
 ჯიქია ლ. – 4.6.1.2.3.
 ჯიქია მ. – 4.6.2.6.14.
 ჯორჯაძე ზ. – 4.6.4.5.2.